№28 (295) ● 30 ივლისი, 2014 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 20 აგვისტოს

WWW.SAERTOGAZETI.GE

საერთო გაზეთი



საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო ნარკომაფიას, ფაქტობრივად, ომი გამოუცხადა, ეს კი ძალზე სარისკო და სახიფათოა

დავით გაგნიძე:

ირაკლი ღარიბაშვილს, ამ წესიერ და პატრიოტ ადამიანს, რომელმაც საქართველოზე გამავალი „სიკვდილის გზა“ ჩაჭრა, საზოგადოების მხარდაჭერა და თანადგომა ჭირდება

რა ბრალდებებს უყენებს მამუკა ნოზაძე ნინო ბურჯანაძეს და მის პარტიას?

მოხვდება თუ არა სხვათა განმსჯელი კუბლაშვილი განსასჯელის სკამზე?

რა სახსრებით ააშენა „ბუკიას ბაღში“ ოთხსართულიანი სასახლე კოტე კუბლაშვილის ვანელმა ცოლისდამ?

სააკაშვილის წაგებული ბრძოლები

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისა და უკრაინის ახლანდელი ხელისუფლების კონსულტანტის მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

დაფო ბეღუკაძე:

ჯოჯოხეთის ფილიალი დედამიწაზე, ანუ ქართული აბუ-გრეიბის კოშმარები

fragmentebi lado bedukaZis wignidan

საერთო გაზეთი – ვაზეთი ეოაზროვნე ეკითხველისთვის

პროკურატურამ მიხეილ სააკაშვილს და რამდენიმე ყოფილ მაღალჩინოსანს ბრალი წარუდგინა

საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გამოტანილი იქნა დადგენილება საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. საქმე ეხება 2007 წლის 07 ნოემბერს, მოძიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია "იმედში" შეჭრას და არკადი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონების დანაშაულებრივად ხელში ჩაგდებას. **მიხეილ სააკაშვილთან** ერთად, ბრალდების შესახებ დადგენილებები იქნა გამოტანილი: შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის **ივანე მერაბიშვილის,** ყოფილი გენერალური პროკურორის **ზურაბ ადეიშვილის,** თავდაცვის ყოფილი მინისტრის **დავით კეზერაშვილის** და თბილისის ყოფილი მერის **გიორგი უგულავას** მიმართ.

გამოძიებით დადგინდა შემდეგი: ტელეკომპანია "იმედი", ეთერში გასვლის დღიდან აქტიურად აშუქებდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. 2006-2007 წლებში „ტელეიმედით" გაშუქებული იქნა საზოგადოებისათვის განსაკუთრებით მტკივნეული და გახმაურებული საკითხები - სანდრო გირგვლიანის, ამირან რობაქიძის, ზურაბ ვაზაგაშვილის, ზურაბ ჟვანიას - საეჭვო ვითარებაში გარდაცვალებასთან დაკავშირებული სიუჟეტები. ასევე, 2007 წლის სექტემბერში "ტელეიმედის" ეთერით საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, ირაკლი ოქრუაშვილმა გააჟღერა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ მისთვის მიცემული დავალება, რომელიც ეხებოდა ა.პატარკაციშვილის ლიკვიდაციას. „ტელეიმედის" ეთერით გავრცელებულ ინფორმაციებზე მთავრობას სათანადო პასუხი არ ჰქონდა, ხსენებული კი ნეგატიურად მოქმედებდა იმდროინდელი მმართველი გუნდის რეიტინგზე, ამიტომ ხელისუფლების წარმომადგენლები პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით აქტიურად აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს არკადი პატარკაციშვილთან, ტელეკომპანია „იმედის" ხელში ჩაგდების მიზნით. ხელისუფლება და მისი ხელმძღვანელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მზად იყო, ა.პატარკაციშვილის თანხმობის შემთხვევაში „ტელეიმედი" გაეცვალა "საქართველოს რკინიგზაში", რომელიც იმ პერიოდში წარმოადგენდა საქართველოში ერთ-ერთ უმსხვილეს აქტივს, რაზეც მიიღო უარი. არკადი პატარკაციშვილის მხრიდან ტელეიმედის შენარჩუნებისათვის უფრო მეტი გარანტიის შექმნის მიზნით, ტელეკომპანია "იმედი" მართვის უფლებით გადაეცა - აშშ-ში რეგისტრირებულ მედიამაგნატს „NEWS CORP EUROPE Inc"-ს. მიუხედავად აღნიშნულისა, კრიტიკული სიუჟეტები და ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან შესაძლო დანაშაულების ღია ეთერით გაშუქება გახდა იმის მიზეზი, რომ ხელისუფლების ყველა შტომ, მისი მეთაურის, მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო არკადი პატარკაციშვილისა და მისი ოჯახის დევნა და შევიწროება.

2007 წლის ნოემბერში, საზოგადოებაში დაგროვილი მასობრივი უკმაყოფილება ხელისუფლების მიმართ საპროტესტო აქციებში გადაიზარდა. 2007 წლის 04 ნოემბერს, მ.სააკაშვილის დავალებით, შსს-ს შენობაში, ივანე მერაბიშვილის კაბინეტში გაიმართა საგანგებო თათბირი, რომელსაც ხელმძღვანელობდა თავად მერაბიშვილი. თათბირს ესწრებოდნენ გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი, თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი დათა ახალაია, თბილისის მერი გიგი უგულავა, და გუბერნატორები. ივანე მერაბიშვილის ხელმძღვანელობით მიმდინარე თათბირზე გადაწყდა, რომ უნდა შეედგინათ საპროტესტო აქციებში მონაწილე პირთა სია, რომელთა მიმართ უნდა განხორციელებულიყო დაშინება, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა, ხალხის ცემა და სხვადასხვა გზებით, მათ შორის ნარკოტიკების ჩადებით მათი დაპატიმრება. ოპოზიციის მხარდამჭერი ბიზნესმენებისთვის უნდა „მიეხედა" ფინანსური პოლიციის ყოფილ უფროსს და იმჟამად თავდაცვის მინისტრს დავით კეზერაშვილს. ი.მერაბიშვილმა თათბირის დროს წამოსთქვა შემდეგი შინაარსის ფრაზები: „გალახული კაცი საქართველოში არის ჩმორი და მაშინვე კარგავს გავლენას, ჯგუფები შექმენით, ცემეთ, თირკმელებში ურტყით, დაიჭირეთ, გადმოიბირეთ, ნარკოტიკები ჩაუდეთ, გარეთ ერთი ახალაია მიხედავს, შიგნით მეორე დახვდება."

თათბირზე ივანე მერაბიშვილის მიერ გაცემული დავალება - ადამიანების დაშინების, ცემისა და დაპატიმრების შესახებ სისრულეში მოყვანილ იქნა 2007 წლის 7 ნოემბერს, როდესაც გაიცა ბრძანება აქციის დარბევის თაობაზე.

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ გაცემული დანაშაულებრივი ბრძანების საფუძველზე, რუსთაველის გამზირზე და რიყის მიმდებარე ტერიტორიაზე სამართალდამცავების მხრიდან განხორციელდა მომიტინგეთა დარბევა, უკანონოდ გამოყენებული იქნა არალეტარული იარაღი (რეზინის ტყვიები), უმოწყალოდ სცემეს ასეულობით მოქალაქე, მათ შორის სახალხო დამცველი, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წევრები, ჟურნალისტები. სპეცრაზმი ფიზიკურად გაუსწორდა შეშინებულ მომიტინგეებს, რომლებიც თავს აფარებდნენ მაღაზიებსა და აფთიაქებს. 2007 წლის 7 ნოემბერს, ქვეყნის მთავარსარდლის მიხეილ სააკაშვილის მიერ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, თბილისში, თავისუფლების მოედნიდან რესპუბლიკის მოედნის ჩათვლით ტერიტორიაზე, უკანონოდ გამოყვანილი იქნა თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა, რომელიც ემსახურებოდა აღნიშნულ ტერიტორიაზე კონტროლის დამყარებას, რომ არ მომხდარიყო მოქალაქეთა ხელახალი გამოსვლა და რაიმე სახის პროტესტის გამოხატვა.

ამავე დღეს, დასახული გეგმის შესაბამისად ტელეკომპანია "იმედის" შენობაში ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, სრულიად უკანონოდ, შეიჭრა შსს-ს სპეციალური დანიშნულების რაზმი, რომლებმაც დაამსხვრიეს საეთერო ჩართვის აპარატურა, გამორთეს ტელეკომპანია „იმედის" მაუწყებლობა, ხოლო „ტელეიმედის" თანამშრომლები ცემით გამოაძევეს შენობიდან. ასევე, სპეციალური დანიშნულების რაზმი ტელევიზიის გარშემო პროტესტის გამოსახტად შეკრებილ ჟურნალისტებსა და მოქალაქეებსაც სასტიკად გაუსწორდა, გამოიყენეს ამასთან „ტელეიმედში" ძალისმიერი მეთოდით შეჭრისა და დაწესებულების უკანონოდ დაკავების სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად, ხელოვნურად შეიქმნა სისხლის სამართლის საქმის წარმოება, რომლის ფარგლებშიც შესაბამისი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში ეჭვმიტანილად იქნა ცნობილი არკადი პატარკაციშვილი და მის ქონებას, კერძოდ შპს „ტელეიმედს" დაედო ყადაღა, რითიც მესაკუთრესა და მფლობელს აეკრძალა შპს „ტელეიმედის" ქონების (მათ შორის, მის მფლობელობაში არსებული კერძო საეთერო მაუწყებლობის ლიცენზიის) განკარგვა და სარგებლობა. საზოგადოებას კი გენერალურმა პროკურატურამ წარუდგინა არკადი პატარკაციშვილსა და ერეკლე კოდუას შორის შემდგარი საუბრის ფალსიფიცირებული, კონტექსტიდან ამოჭრილი და შინაარსის შეცვლით დამონტაჟებული აუდიო ჩანაწერი.

ხელისუფლებისა და მისი მეთაურის, მიხეილ სააკაშვილის ქმედების მიმართ, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან უმკაცრესი რეაგირების მიუხედავად, მ.სააკაშვილის დავალებით და უმაღლესი თანამდებობის პირების, მათ შორის გიგი უგულავას, დავით კეზერაშვილის და სხვათა უშუალო ჩარევით, საბოლოო ჯამში, ზეწოლისა და დაშინების გზით პატარკაციშვილების ოჯახს ჩამოართვეს ტელეკომპანია "იმედი". ა.პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან ერთ კვირაში, კერძოდ 2008 წლის 19 ოებერვალს, ნოტარიუს მერი ბუბაშვილთან, ა.პატარკაციშვილის ნდობით აღჭურვილ პირს გიორგი ჯაოშვილს, მის სახელზე რიცხული ს/ს „ჯეი-ემ-ჯი კონსალტინგ გრუპი"-ის წილი, რომლის საკუთრებაშიც იყო „ტელეიმედი", წესდების მოთხოვნათა დარღვევით, გადააფორმებინეს ბიზნესმენ ჯოზეფ კეიზე. აღნიშნულ მოქმედებას ადგილზე ხელმძღვანელობდნენ დავით კეზერაშვილის დავალებით მოქმედი სამხედრო პოლიციის წარმომადგენლები და ხელისუფლების სხვა თანამდებობის პირები. იმავე დღეს გიორგი ჯაოშვილი მიერა მათ მიმართ რეზინის ტყვიები და ძალადობით აიძულეს დაეტოვებინათ ტერიტორია. ხსენებულის შემდეგ, დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ტელეკომპანია „იმედი"-ს ტერიტორია ბლოკირებული ჰქონდათ ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლებს. ტელეკომპანია "იმედის" დარბევის შედეგად ტექნიკური საშუალებების დაზიანების, დაკარგვის და მიუღებელი შემოსავლის სახით „იმედი"-ს ზიანმა შეადგინა 3 158 307 ლარი.

ამის შემდეგ, ქვეყნის მეთაურის მიხეილ სააკაშვილის დავალებით, უმაღლესი თანამდებობის პირებმა დაიწყეს პატარკაციშვილისთვის ტელეკომპანიის უკანონოდ ჩამორთმევის პროცესი. ტელეკომპანია „იმედის" შენობაში შეჭრის ვითომდა სამართლებრივი საფუძვლის შესაქმნელად „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის" თავმჯდომარეზე, ივანე მერაბიშვილის და ზურაბ ადეიშვილის მხრიდან განხორციელებული ზეწოლის შედეგად, „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის უხეში დარღვევით „ტელეიმედს" შეუჩერეს სამაუწყებლო ლიცენზია.

ოყვანეს ფინანსური პოლიციის შენობაში და აიძულეს გადამდგარიყო შპს „ტელეიმედის" დამფუძნებელი ფირმების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობიდან, რითაც ა.პატარკაციშვილის ოჯახი საბოლოოდ ჩამოაშორეს ტელევიზიას. მომდევნო დღეს, „ტელეიმედი"-ს წილი 5 წლის ვადით, სამართავად გადაეცა დავით კეზერაშვილთან დაახლოებულ პირს პაატა სირაძეს. „**NEWS CORP EUROPEITED INC**"-ს ცალმხრივად შეუწყდა შპს „ტელეიმედის" მართვის უფლება.

ამის შემდეგ უკვე დაიწყო ხელისუფლების მხრიდან ტელეკომპანიის გაკონტროლება, რაშიც მონაწილეობდნენ მაღალი თანამდებობის პირები, მათ შორის გიორგი უგულავა, რომელიც სრულად წარმართავდა და აკონტროლებდა არხის საინფორმაციო პოლიტიკას.

2012 წლის 18 ოქტომბერს, ოქტომბრის არჩევნებისა და ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, მაშინდელ ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პირებმა გიორგი არველაძემ, გიორგი კორახაშვილმა და გიორგი მიქელაძემ პატარკაციშვილების ოჯახს დაუბრუნეს 90%-იანი წილი ტელეკომპანია "იმედის".

მაშინდელი ხელისუფლებისა და მისი მეთაურის, მიხეილ სააკაშვილის მხრიდან პატარკაციშვილების ოჯახზე ზეწოლა არ შემოიფარგლა მხოლოდ "ტელეიმედის" უკანონოდ ხელში ჩაგდებით. ხელისუფლებამ პატარკაციშვილების ოჯახს ჩამოართვა მთაწმინდის პარკიც. კერძოდ, 2007 წლის 7 ნოემბერს, რუსთაველის გამზირზე მომიტინგეთა დაშლის პარალელურად, შს მინისტრის დავალებით მთაწმინდის პარკის ტერიტორიაზე, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეიჭრნენ შსს შეიარაღებული სპეცრაზმელები და ტერიტორიიდან უკანონოდ გამოაძევეს პარკის თანამშრომლები. იმავე დღეს, თბილისის მერიაში ჩატარდა პრესკონფერენცია, თითქოსდა, რომ შპს „ლინქსი" არ იხდიდა მთაწმინდის პარკის ოჯარის თანხას, რის გამოც თბილისის მთავრობამ შპს „ლინქსთან" სრულიად უკანონოდ, ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება, მაშინ როდესაც პატარკაციშვილის კუთვნილი კომპანია პირნათლად ასრულებდა ყველა აღებულ ვალდებულებას და არ არსებობდა არანაირი საფუძველი ხელშეკრულების შეწყვეტისთვის. ამასთან, პარლამენტის მიერ „მეწარმეთა შესახებ" კანონში საგანგებოდ შეტანილი ცვლილების შედეგად, შპს „ლინქსი"-ს დირექტორის თანამდებობაზე დანიშნეს გიორგი უგულავას მეგობარი გიორგი კირცხაია, რომელმაც ფირმის წინააღმდეგ ჩადენილ სხვა საზიანო ქმედებებთან ერთად სასამართლოდან გამოითხოვა ქობილისის მერიის მიმართ შეტანილი ყველა სასარჩელო მოთხოვნა.

მიხეილ სააკაშვილის და ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ზეწოლის კიდევ ერთი ფაქტია პატარკაციშვილების ოჯახისთვის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ჩამორთმევა. სხვადასხვა გზით, ზეწოლისა და დაშინების შემდეგ, ფიქტიურად გაფორმებული ხელშეკრულებების და დოკუმენტების შედეგად, რომ თითქოს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მესაკუთრე კომპანიას ვალი ჰქონდა კეზერაშვილის გავლენის ქვეშ მყოფი ოფშორული კომპანიის მიმართ, აღსრულების ეროვნული ბიუროს და სასამართლოს ჩარევით, ვალის გაქვითვის საფუძველით პატარკაციშვილების კუთვნილი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ქონება გადავიდა დავით კეზერაშვილის ოფშორული კომპანიის საკუთრებაში.

ხელისუფლების მხრიდან მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით არკადი პატარკაციშვილის ოჯახის მიმართ განხორციელებულ უკანონო ქმედებებს, შედეგად მოჰყვა ის, რომ 2008 წელს ა.პატარკაციშვილის მეუღლემ ინა გუდავაძემ სარჩელით მიმართა საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიას და მოითხოვა საქართველოს სახელმწიფოს მიერ უკანონოდ წართმეული ქონების დაბრუნება ან ქონების ექვივალენტი 400 000 000 აშშ დოლარის ანაზღაურება. მას შემდეგ, რაც მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები და მათი მეთაური მიხეილ სააკაშვილი დარწმუნდნენ, რომ პატარკაციშვილების ოჯახის წინააღმდეგ ჩადენილი ყველა ამ უკანონობის გამო, აუცილებლად წაგებდნენ პროცესს საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში, მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით, მაშინდელი ხელისუფლების სახელით მოქმედმა იუსტიციის მინისტრის მოადგილემ თინა ბურჯალიანმა პატარკაციშვილების ოჯახთან გააფორმა მემორანდუმი, რის საფუძველზეც ოჯახს დაუბრუნდა ყველა ზემოხსნებული ქონება, გარდა "ტელეიმედისა".

საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენელების და მისი მეთაურის მიხეილ სააკაშვილის უკანონო მოქმედებების შედეგად: დაირღვა არკადი პატარკაციშვილის ოჯახის საკუთრების უფლება, ხელყოფილ იქნა მოქალაქეთა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება, მრავალმა მოქალაქემ მიიღო სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება, მოხდა დამოუკიდებელი მედიის საქმიანობაში უკანონოდ ჩარევა და ხელის შეშლა, რამაც ფიზიკური და იურიდიული პირის, სახელმწიფოს და საზოგადოების კანონიერი უფლებების არსებითი დარღვევა გამოიწვია.

მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილის და გიორგი უგულავას მიმართ გამოიტანილია ბრალდების შესახებ დადგენილებები სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის.

გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 8 წლამდე ვადით.

ასევე, საზოგადოებას გვინდა ვაცნობოთ, რომ გამოძიება დასკვნით ფაზაშია შესული პროკურატურის მიერ ადრე გაცხადებულ სხვა სისხლის სამართლის საქმეებზეც, რომლებზეც მიხეილ სააკაშვილი დაბარებული იყო მოწმის სახით, რომელთა შედეგების შესახებ საზოგადოებას ეცნობება უახლოეს მომავალში.

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „გამომცემლობა საბჭოგლოში"; ტელ.: 599 95 31 90
ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ამოჭრილი ჯრჯასის ამიხედვით

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისა და კიევის ახლანდელი ხელისუფლების კონსულტანტის მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ საქართველოს მთავარმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა დაადასტურა მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, რომ თბილისში ჩამოსულ ამერიკის, დიდი ბრიტანეთისა და ისრაელის იურისტებს შესთავაზეს განსაკუთებით მნიშვნელოვან საქმეებში პროკურატურის მრჩეველის თანამდებობები. უცხოელი იურისტები ცნობილი არიან სახელმწიფოს პირველი პირების წინააღმდეგ წარმოებული საქმეების გამოძიებით.

მიხეილ სააკაშვილი ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ საქართველოში არ იმყოფება. უკრაინული სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ ხშირად „სტუმრობს“ კიევს, სადაც მისთვის ჩვეულ ავანტიურისტულ გარემოში იმყოფება, არაოფიციალურად კონსულტანციას უწევს ადგილობრივ ხელისუფლებას. საინტერესოა, რომ სააკაშვილი უკრაინაში მარტო არ ჩასულა – ამბოხებულ კიევში ჩაიყვანა თავისი ბიძა თემურ ალასანიაც.

სააკაშვილის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი პერიოდულად წამოიწევდა ხოლმე საქართველოს პოლიტიკურ ჰორიზონტზე, მაგრამ „ჰალსტუხების სახელგანთქმული მღეჭველის“ დანაშაულებების გამოძიება გაურკვეველი მიზეზებით წყდებოდა. „გაურკვეველი“ ზოგადად ნათქვამია; სინამდვილეში კი, სააკაშვილს მხარს უჭერენ ამერიკის პოლიტიკურ წრეებში და იყო შემთხვევები, როცა ისინი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ რაიმე პასუხიმგებლობას პოლიტიკურ დონეზე აფასებდნენ და თბილისს მკაცრი სანქციებითაც ემუქრებოდნენ. სააკაშვილმა პუტინის წინააღმდეგ გამოთქმული აგრესიული და ისტერიკული რეპლიკებით შეიქმნა ერთგვარი პოლიტიკური იმუნიტეტი და ასეთ ქცევას ის კვლავაც გააგრძელებს. ამით თავის ოკეანისგაღმელ კურატორებს, რომლებიც აშკარად მხარს უჭერენ მას, ერთგულებას უმტკიცებს და, სავარაუდოდ, სწორედ ისინი შეეცდებიან, ხელი შეუშალონ სამართლიანობის ასრულებას. არადა, ყოფილი პრეზიდენტის დანაშაულთა ერთობლიობას რამდენიმე სამუდამო პატიმრობა არ ეყოფა.

სამწუხაროდ, საქართველოს ახლანდელი ხელისუფლება ძალზე ჭრელია და სააკაშვილს იქ აშკარა და ფარული მომხრეებიც ჰყავს. სახელმწიფო მოხელეები წინააღმდეგობას უწევენ როგორც შიდა, ასევე გარეშე წნეხს – დასავლეთი ხელს აფარებს სააკაშვილს, ხალხს კი სურს, დამნაშავე სააკაშვილმა პასუხი აგოს.

საქართველო რთულ ეკონომიკურ და საგარეოპოლიტიკურ ვითარებაშია. რუსეთთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად ქვეყნის ახალი ხელმძღვანელობის მოკრძალებული ნაბიჯები შეიძლება გააცამტვეროს გეოპოლიტიკურმა პროცესებმა, რომლებსაც სათავე დაუდო ამერიკის დესტრუქციულმა საქმიანობამ უკრაინის საკითხში. იგულისხმება საქართველოსთვის ამერიკის მოკავშირის სტატუსის მინიჭება, რაც საბოლოო შედეგით გააუარესებს რუსეთ-საქართველოს ისედაც დაძაბულ ურთიერთობას.

საქართველოს ხელისუფლება შემდგომი პოლიტიკური და ეკონომიკური გადარჩენის გზებს ეძებს. ამის ფონზე, სააკაშვილის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი საქმის აღძვრა სავსებით ლოგიკურია.

დასავლეთს ლიდერი არ ჰყავს და ეს პუტინმაც „იცის“

„რუსეთს იმიტომაც გაუჩნდა დაუსჯელობის განცდა, რომ ბარაკ ობამას არ სურს იყოს მსოფლიო პოლიციელი“ – ეს არის The Times-ის სარედაქციო წერილის მთავარი გზავნილი.

„დასავლეთის უსუსრობის მიზეზით, პუტინი დაუსჯელად მოქმედებს და ამას ბოლო ათწლეულში მომხდარი ამბების ჯაჭვიც ადასტურებს. მას შემდეგ, რაც ბერლინის კედელი დაინგრა, რუსეთის შიგნით რეპრესიები და მთელ მსოფლიოში ამ ქვეყნის როლი ძალადობის გაღვებაში უგულებელყოფილია. რუსეთს მკაცრი პასუხი არ მოსთხოვეს 2008 წელს, როცა საქართველოსთან ომის შედეგად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა და ამ რეგიონებში თავისი ჯარი განალაგა. ყირიმის ანექსიის შემდეგაც კი დასავლეთის რეაქცია არ იყო ისეთი მძაფრი, რადგან დასავლეთს ბევრი რამ აქვს დასაკარგი.

ობამამ არაორაზროვნად მიანიშნა დასავლეთს, რომ ამერიკა აღარ აპირებს მსოფლიო წესრიგის დაცვას და შესაბამისად – დასავლეთის დაცვას. ობამამ პუტინს ჯერ კიდევ მაშინ მისცა შანსი დასავლეთის დამცავის მანტია მოერგო, როცა სირიის შესახებ შეთანხმების დადებისას მას შუამავლის როლი დააკისრა.

დასავლეთს არ ჰყავს მესაჭე, არ ჰყავს გამოკვეთილი ლიდერი. რუსეთის ლიდერი ხედავს, რომ დასავლეთს არ შესწევს ძალა, დაიცვას თავისი ინტერესები. მას რომ რუსეთის მოსათოკად სერიოზული განზრახვა ჰქონდეს, პოლონეთთან და ჩეხეთთან ერთად ერთობლივ სამხედრო სწავლებებს გამართავდა. დასავლეთს არ ესმის, რომ პუტინი ახალი რუსეთის მეფეა, რომელსაც ნაციონალისტური მისწრაფებები ამოძრავებს.

ბერლინის კედლის დანგრევამ გააჩინა ილუზია, რომ დასავლეთს აღარასოდეს მოუწევდა ომში ჩართვა. ბორტი **MH17**-ის ჩამოგდებამ დაანახვა მათ, რომ ომი შესაძლოა, თავისთავად მოვიდეს.

მოსკოვი კერძო არმიას ქმნის

მისი მოქმედების პოტენციურ ადგილად კავკასიაც მოიაზრება

რუსეთის მთავრობა და კანონმდებლები მუშაობენ კანონპროექტზე, რომელმაც მეზობელი სახელმწიფოები ააფორიაქა – შესაბამისი სამუშაო ჯგუფი ამზადებს ნიადაგს, შექმნან კერძო საწარმოები, რომლებიც უსაფრთხოების საკითხებზე იმუშავებენ. რუსული მედიის ცნობით, ეს იქნება ამერიკული Blackwater-ის მსგავსი სამხედრო კერძო კომპანია. რუსეთის პარლამენტმა შემოდგომაზე უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ამ ინიციატივის შესახებ.

პრეზიდენტ პუტინს მიაჩნია, რომ ასეთი სამხედრო ორგანიზაციები „სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ეროვნული ინტერესების საიმედო დამცავი ინსტრუმენტია“.

კერძო სამხედრო ორგანიზაციები ისეთ შემთხვევებში ამოქმედდებიან, „როცა რეგულარული შეიარაღებული ძალების მონაწილეობა პოლიტიკური ან იურიდილული მიზეზებით გართულებულია“ – ვკითხულობთ კანონპროექტში. ამ სტრუქტურებს ყოფილი შეიარაღებული ძალებისა და სპეცდანიშნულების თანამშრომლებისგან დაკომპლექტებენ და უსაფრთხოების ფედერალურ სამსახურს დაუქვემდებარებენ.

კანონპროექტის ავტორები არ მალავენ, რომ ამ სამხედრო კომპანიების თანამშრომლებს უპირველეს ყოვლისა გაგზავნიან უკრაინაში, ხოლო მათი მოქმედების პოტენციური ადგილი კავკასიაა. კერძო უწყების სამხედროები ჩანაცვლებენ რუსეთის არმიის ჯარისკაცებს კავკასიაში – კერძოდ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში.

გარდა პოსტსაბჭოთა სივრცისა, რუსეთის კერძო სამხედროების მომსახურებით შეიძლება დაინტერესდნენ რუსეთის საზღვრისგან ტერიტორიულად დაშორებული ქვეყნებიც. მაგალითად, ლიბიის ყოფილმა დიქტატორმა მუამარ კადაფიმ თავის დროზე თავისი ოპოზიციის წინააღმდეგ საბრძოლველად რუსი და უკრაინელი სამხედრო ექსპერტები მიიწვია.

თურქეთის „გეოპოლიტიკური მანევრები“ კავკასიაში და სამომავლო თამაში

მთავარ რეგონალურ მოთამაშეებს შორის, რომლებიც განსაზღვრავენ დიდი შუა აღმოსავლეთის მომავალს და უშუალო ზეგავლენას ახდენენ პოსტსაბჭოთა სივრცის, განსაკუთრებით კი კავკასიის გეოპოლოტიკურ ცვლილებებზე, თურქეთს განსაკუთრებული ადგილი უკავია. 1952 წელს ნატო-ში შესვლამ და მის ტერიტორიაზე ალიანსის სამხედრო ბაზების განთავსებან „ცივი ომის“ პერიოდში მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური როლი შეასრულა.

90-იანი წლების ბოლოს სამხრეთ კავკასიაში მომხდარმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა აიძულა თურქეთის პოლიტიკური ელიტა, მნიშვნელოვანი კორექტივები შეეტანა ქვეყნის საგარეოპოლიტიკურ მიმართულებაში. რუსეთის გეოპოლიტიკური სივრცის რღვევამ და საერთაშორისო არენაზე ახალი თურქულენოვანი სახელმწიფოების (აზერბაიჯანი, შუა აზიის რესპუბლიკები) წარმოქმნამ თურქეთს მისცა შანსი, მაქსიმალურად გამოიყენოს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ახალი კონფიგურაცია.

თურქეთი ცდილობს, კარგი ურთიერთობა დაამყაროს ახალ სახელმწიფოებთან, უფრო აქტიურად იმოქმედოს სამხრეთ კავკასიაში, თანაც ისე, რომ ამ რეგიონში რუსეთის ინტერესებიც გაითვალისწინოს. თურქეთის პოლიტიკა ამ რეგიონში მჭიდროდ უკავშირდება გლობალიზაციის პრობლემებს და „მსოფლიო წესრიგის“ ცვლილებებს – მისი ინტერესები ეხება როგორც სამხრეთკავკასიური რესპუბლიკების ნაციონალურ მისწრაფებებს, აგრეთვე მსოფლიოს დიდი ქვეყნების, უწინარესად ამერიკისა და რუსეთის ინტერესებს.

პოლიტიკური კავშირის კონფიგურაცია გადაჯაჭვულია საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეთა ეკონომიკურ ინტერესებთან. სამხრეთ კავკასიის გეოპოლიტიკურ თამაშებში მონაწილეობით თურქეთი ირიბად ჩართულია საქართველოს და აზერბაიჯანის ეთნოკონფლიქტებში. ამ რეგიონში მთავარი სტრატეგიული პარტნიორი ეთნიკურად დაახლოებული აზერბაიჯანია, თუმცა ეკონომიკური ურთიერთობის მასშტაბი რუსეთთან, საიდანაც მოხმარებული გაზის 60 პროცენტს იღებს, კვლავ მნიშვნელოვანია. სომხეთი ერთადერთია მეზობელ სახელმწიფოებს შორის, რომელთანაც თურქეთს დიპლომატიური ურთიერთობა არ გააჩნია.

დღესდღეობით, თურქეთს, ისევე როგორც ირანს, არ გააჩნია საკმარისი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური შესაძლებლობები, დომინანტური პოზიცია დაიკავოს სამხრეთ კავკასიაში და რეგიონიდან რუსეთი და დასავლეთი განდევნოს. თუმცა სამომავლო კონფიგურაციაში თავისი ადგილის დასამკვიდრებლად ემზადება.

მოხვდება თუ არა სხვათა განმსჯელი კუბლაშვილი განსასჯელის სკამზე?



ინტერვიუ, რომელსაც განმეორებით გთავაზობთ, „საერთო გაზეთში“ ერთი წლის წინათ გამოქვეყნდა. იქნებ ახლა მაინც მიაქციონ ყურადღება სათანადო ორგანოებმა იმ საგანგაშო ფაქტებს რაც ამ ინტერვიუშია მოყვანილი.

ეკა ბესელიას განცხადებას, კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტთან დაკავშირებით, თავად ბატონი კუბლაშვილი არასერიოზულსა და უსაფუძვლოს უწოდებს. იგი თავისი ვერსიის გასამყარებლად კონსტიტუციას იშველიებს, ჩემი იმპიჩმენტი საკითხი ვერანაირად ვერ დადგება, რადგან კონსტიტუციის თანახმად, იმპიჩმენტის საკითხი რომ დადგეს, ერთ-ერთი საკითხია დანაშაულზე წასწრება, ასეთი რამ კი არ ყოფილა, ამიტომ იმპიჩმენტის არანაირი საფუძველი არ არსებობსო.

„საერთო გაზეთს“ თავადაზნაურთა საკრებულოს წევრი, კომუნისტების პერიოდში შევარდნაძის მიერ რეპრესირებული **მიხეილ ბაბუნაშვილი** დაუკავშირდა და ამ ჩვენ „დანაშაულზე წაუსწრებელ“ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციები მოგვაწოდა.

— „ბუკიას ბაღში“ მდებარე ახალაშენებული უზარმაზარი სასახლე რომ ბატონი კოტეს კუთვნილება გახლავთ, ამის შესახებ არაერთხელ მოგვისმენია. საიდან აღმოჩნდა ამ ისტორიულ ბაღში კოტე კუბლაშვილი და როგორ აიშენა სრა-სასახლე ვფიქრობთ მარტო მკითხველს კი არა სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებსაც დააინტერესებს.

ორიოდ სიტყვით ამ ისტორიული ბაღის შესახებ. 1932 წელს კიევიდან ჩამოვიდა ცნობილი აგრონომი მირიან ბუკია. იმ ადგილზე სადაც ახლა სტუ-ის პირველი კორპუსი და ბუკიას ბაღია, ადრე ჭაობი იყო, სადაც გველები და ბაყაყები ბუდობდნენ. ამ ადამიანმა ბევრი იშრომა, ეს ჭაობი საკუთარი ხელით ამოაშრო, ჩამოიტანა იშვიათი ჯიშის ნერგები და ბაღი გააშენა. მერე მთავრობაში შევიდა წინადადებით და ერთი ჰექტარი მიწა საკუთრებაში გადასცეს. 1942 წელს მირიან ბუკია დაიჭირეს და გადაასახლეს, სადაც დაიღუპა. მისი ერთსართულიანი სახლი მდებარე იყალთოს ქ.№23 და მიწის მცირე ფართობი (400 კვ.მეტრი) მემკვიდრეობით ერგო მირიან ბუკიას შვილს, ლეილა ბუკიას, ბაღის დანარჩენი ტერიტორია კი მთავრობამ წაიღო. სწორედ ლეილა ბუკიას კარმიდამოზე დგას ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, კოტე კუბლაშვილის მეუღლის მარინა მესხისა და მისი დების მაია და ირმა მესხების კუთვნილი 4-სართულიანი სასახლე.

თბილისის მერიის 2003 წლის თებერვლის დადგენილებით (№032551), „ბუკიას ბაღი“ სარეკრიაციო ზონად გამოცხადდა და ვინაიდან სათანადო დაუფინანსებლობის გამო ბაღის სათანადო მოვლა-პატრონობა ვერ ხდებოდა იგი საპატრიარქოს გადაეცა. ჩვენი რესპოდენტის განცხადებით, საპატრიარქომ ბაღის მოვლა-პატრონობა მირიან ბუკიას შვილიშვილს, ასევე პროფესიონალ აგრონომს მიხეილ ბუკიას დაავალა და დღესაც ის უვლის.

ახლა კი იმის შესახებ, თუ როგორ მოხვდნენ მესხები ამ „გაუგებრობაში“. სასახლის მფლობელთა ცნობით, გასული საუკუნის 90-იან წლებში ვანიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული მაია მესხი ლეილა ბუკიასთან მდგმურად ცხოვრობდა. მან თურმე ისე შეაყვარა თავი დიასახლისს, რომ ამ უკანასკნელმა 2000 წლის 21 სექტემბერს ნოტარიულად გაუფორმა საცხოვრებელი სახლის გასხვისების ხელშეკრულება გარდაცვალებამდე რჩენის პირობით. ერთი სიტყვით, მაია მესხი კისრულობდა ვალდებულებას, რომ სიცოცხლის ბოლომდე შეინახავდა ლეილა ბუკიას და მისი გარდაცვალების შემდეგ ეს უძრავი ქონება მაია მესხს დარჩებოდა. ხსენებული ხელშეკრულება ნოტარიუსმა ეკატერინე ჩაჩანიძემ დაამოწმა, რომელიც მიხეილ ბაბუნაშვილის განცხადებით, კოტე კუბლაშვილის მეუღლის თანაკურსელია. რატომღაც ამ ხელშეკრულებაზე მითითებული არ არის მისამართი, მხოლოდ დიდუბის რაიონის ნოტარიატი წერია. ლეილა ბუკიას მიწის ფართობიც 400 კვ.მეტრის მაგივრად, 300 კვ.მ-დაა ნაჩვენები, რაც ნოტარიუსს ხელით გადაუსწორებია და 313 კვ.მ. მიუწერია. ოფიციალური დოკუმენტაციის მიხედვით, ლეილა ბუკია 300 კვ.მ მიწის ფართობს ფლობდა, რომელიც იყალთოს ქ. №23-ში მდებარეობდა.

ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან რამდენიმე თვეში, კერძოდ, 2001 წლის 17 მაისს ლეილა ბუკია უკვე ანდერძით უტოვებს მაია მესხს გარდაცვალებამდე რჩენის პირობით (სამიდღემჩიო აქტი) გადაცემულ ქონებას. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რაღა საჭირო იყო ანდერძი? კვალიფიციური იურისტების განცხადებით, გამსხვისებელ პირს ანუ ლეილა ბუკიას შეეძლო ხსენებული აქტი გაეუქმებინა, თუკი მეორე მხარე ვალდებულებას სათანადოდ არ შეასრულებდა. აქედან გამომდინარე, ეტყობა კუბლაშვილ-მესხებმა თავი დაიზღვიეს, მითუმეტეს, რომ როგორც ირკვევა, ისინი ლეილა ბუკიას ცუდად ექცეოდნენ. ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ ფაქტია, რომ დები ძალზე ჩქარობდნენ. სხვათა შორის, ამ სამიდღემჩიო აქტისა და ანდერძის გაფორმებამდე ლეილა ბუკიას ხსენებული მიწის ნაკვეთი (300 კვ.მ) თავის ნათესავზე, ჯონი ბუკიაზე გაუსხვისებია 3.000 ლარად (არსებობს 2000 წლის ივლისში გაფორმებული ნასყიდობის ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულება). საჯარო რეესტრის მიერ გაცემულ 2000 წლის 20 ივლისით დათარიღებულ ამონაწერში მიწის მეპატრონედ ჯონი ბუკიაა მითითებული. ასე რომ, იმ მიწას სხვა მეპატრონე ჰყავდა და საინტერესოა, როგორღა გააფორმეს ნოტარიუსებმა ზემოხსენებული დოკუმენტები? 2002 წლის 4 ივლისით დათარიღებულ საჯარო რეესტრის ამონაწერში უკვე მაია მესხი ფიქსირდება ამ მიწის მეპატრონედ. ამ უკანონობაში კოტე კუბლაშვილის კვალი უნდა ვეძიოთ, ცხადია, ვერცერთი ნოტარიუსი ვერ შებედავდა უარს თავის უშუალო უფროსს, ანუ იუსტიციის მინისტრის მოადგილეს.

ახალო ხელისუფლებავ და საპარლამენტო უმრავლესობავ, თუ მართლა გინდათ კოტე კუბლაშვილის იმპიჩმენტის საკითხის დაყენება, ამ წერილში კანონდარღვევათა იმდენი გამაოგნებელი ფაქტია, ხუთ კუბლაშვილს ეყოფა საიმპიჩმენტოდ...

კიდევ ერთი საგულისხმო დეტალი, სანამ სამიდღემჩიო

დე-ვანო-ზაციას აუცილებლად უნდა მოჰყვეს დე-მიხო-ზაცია და დე-კოტეი-ზაცია



აქტი გაფორმდებოდა, ანუ 2000 წლის 13 სექტემბერს ლეილა ბუკიამ კოტე კუბლაშვილის მეუღლეს, მარინა მესხს მინდობილობა მისცა ორი წლის ვადით, რომ მის მაგივრად ეწარმოებინა საქმიანობა ტექნიკურ საინვენტარიზაციო ბიუროში და საჯარო რეესტრში (ანდერძი და მინდობილობა დამოწმებულია გამსახურდიას გამზირის №8-ში მდებარე სანოტარო ბიუროში ნოტარიუს ანა როინიშვილის მიერ). კოტე კუბლაშვილის მეუღლე მხოლოდ ერთხელ ჩანს ოფიციალურად ამ საქმეში. სწორედ ამ მინდობილობის გაცემის შემდეგ იწყებენ კუბლაშვილი-მესხები აქტიურ მოქმედებას. უკვე სახლის მისამართიც იცვლება და გამსახურდიას გამზ. 26/23-ად ფიქსირდება, რაც ბუნებაში არ არსებობს. არ დაგვავიწყდეს, რომ ამ პერიოდში იუსტიციის მინისტრი უკვე მიხეილ სააკაშვილია, მისი მოადგილე კი კოტე კუბლაშვილი გახლავთ. ანდერძის გაფორმებიდან რამდენიმე დღეში (2001 წლის 5 ივნისი) ლეილა ბუკია მოულოდნელად გარდაიცვალა, რამაც ამ ქალბატონის ნათესავებში დიდი ეჭვი გააჩინა. ისინი ვარაუდობენ, რომ ყველა ეს მესხების სასარგებლოდ გაცემული დოკუმენტი, ლეილა ბუკიაზე ზეწოლის შედეგადაა მიღებული.

სხვათა შორის, ლეილა ბუკიას საეჭვო გარდაცვალებაზე თავის ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში პარტია „თავისუფალი საქართველოს“ წევრი გია ყრუაშვილიც საუბრობდა. იგი გარდაცვლილი ქალბატონის ნათესავის მონათხრობზე დაყრდნობით აცხადებდა, რომ მაია მესხი არასდროს ყოფილა ლეილა ბუკიას მდგმური, კუბლაშვილებს თვალი ჰქონდათ დადგმული იმ პრესტიჟულ ადგილზე, მარტოხელა ქალს მიუგზავნეს მაია მესხი ქონების ხელში ჩასაგდებად და მერე ეს ვერსია შექმნეს. ბუკიას ახლობლების ინფორმაციით, მაია მესხს ტერორში ჰყავდა მარტოხელა მოხუცი, ნათესავებს არ აკარებდა. თუ როგორმე მოვახერხებდით ნახვას, იგი ძალზე დათრგუნული და შეშინებული იყო, ჩურჩულით გველაპარაკებოდა, ერთი-ორჯერ სახეც ჰქონდა ჩალურჯებული, რაც მაიამ მოხუცის დაცემით ახსნაო. ამის შემდეგ ნათესავები მასთან შეხვედრას ველარ ახერხებდნენ და ლეილა მალევე გარდაცვლილა გაურკვეველ სიტუაციაში. მთელი ქონება ცხადია, კუბლაშვილებს დარჩათ. ლეილა ბუკიას ნათესავები დიდხანს დაობდნენ მაგრამ კოტე და პალიკო კუბლაშვილებთან რას გააწყობდნენ, იძულებული გახდნენ გაჩუმებულიყვნენო.

2002 წლის წლის ივლისში მაია მესხმა ოფიციალურად მიიღო მემკვიდრეობა. იმავე წლის მიწურულს მან განცხადებით მიმართა თბილისის მთავარ არქიტექტორს, რომ შეეთანხმებინათ მის კუთვნილ ნაკვეთზე არსებული ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლის რეკონსტრუქციის და მასზე სამსართულიანი სამბინიანი საცხოვრებელი სახლის დაშენების არქიტექტურული პროექტი, რაზეც თანხმობა მიიღო (ბრძანება №20/810 2.12.2002, რაზეც ხელს აწერს მთავარი არქიტექტორი ირაკლი ლოლაშვილი). ამის მერე იწყება გრანდიოზული მშენებლობა, ერთსართულიანი პატარა სახლის ადგილზე, 4-სართულიანი სასახლე წამოიჭიმა, რომლის საერთო ფართი 613 კვ.მ-ად ფიქსირდება. ეს სასახლე თურმე 1975 წელს დაბადებულ მაია მესხს აუშენებია, რომელიც ერთი დღეც არ ყოფილა დაკავებული სამეწარმეო საქმიანობით. ეს „საქმე“ რომ თეთრი ძაფითაა ნაკერი, შეუიარაღებელი თვალითაც აშკარად ჩანს. შემდეგ „გულუხვმა“ მაიამ თითო სართული საჩუქრად ჩამოურიგა დებს, მარინა და ირმა მესხებს.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ ყბადაღებული სახლის მშენებლობა იმ პერიოდს უკავშირდება, როდესაც კოტე კუბლაშვილს „მეგობრებმა“ მკურნალობისთვის საჭირო თანხა შეუგროვეს. ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშს, მისივე განცხადებით, ირაკლი ოქრუაშვილის თხოვნით 15.000 გერმანული მარკა გაულია. ეს თანხა მნიშვნელოვნად აღემატებოდა საჩუქრის ღირებულების კანონით დაშვებულ ოდენობას. ბატონ კუბლაშვილს, ანუ მინისტრის მოადგილეს, თავის ქონებრივ დეკლარაციაში ამ თანხასთან დაკავშირებით არანაირი ჩანაწერი არ გაუკეთებია. ქიბარ ხალვაშს თუ დავუჯერებთ, მაშინ კუბლაშვილს 200.000-მდე ევრო შეუგროვდა. ოღონდ მან არ იცის სხვა გადამხდელების ვინაობა. ცხადია, დეკლარაციაში არც ეს თანხა ასახულა. იურისტების განცხადებით ყველა საჩუქარი დეკლარაციაში უნდა აისახოს, არ აქვს მნიშვნელობა ის მკურნალობისთვის იყო თუ სხვა მიზნებისთვის. ქონების დეკლარაციის წარუდგენლობა ან მასში არასწორი მონაცემების მითითება, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს (სს-ის კოდექსის 335-ე მუხლი). რაც შეეხება ცოლისდის მიერ „ნაჩუქარ“ ქონებას, რომელიც 100.000 ლარად აქვთ შეფასებული, ბატონი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე 2004 წლიდან მოყოლებული თავის ქონებრივ დეკლარაციაში მასთან დაკავშირებით ურთიერთ განსხვავებულ ჩანაწერებს აკეთებს, ეს ქონება ხან საჩუქარია, ხან ფლობისა და სარგებლობის უფლებით გადაცემული. ორი წელი მას დეკლარაციაში თურმე იმიტომ არ შეჰქონდა, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაფორმება დასრულებული არ იყო, ამ რამდენიმე საათიანი პროცედურისთვის რა საჭირო იყო ორი წელი, იმიტომ ხომ არა, რომ ბატონ კუბლაშვილს გადასახადის გადახდისთვის აერიდებინა თავი?

საერთოდაც ამ ქონების წარმომავლობასთან დაკავშირებით კუბლაშვილის „ჩვენებების“ ცვლა კომპეტენტური წყაროს განმარტებით, სწორედ ქონების გადასახადის გადახდა-არგადახდას უკავშირდბა. თავს აღარ შეგაწყენთ სათანადო კანონმდებლობის დეტალებზე საუბრით. მესხი-კუბლაშვილების ეს ქონება 2006 წელს „თიბისი ბანკში“ ყოფილა იპოთეკით დატვირთული, რომლის სანაცვლოდაც მათ 100.000 დოლარის ოდენობის კრედიტი მიუღიათ, თუმცა არც ამ იპოთეკის შესახებაა დეკლარაციაში მითითებული, არადა ბატონ კოტეს აუცილებლად უნდა მიეთითებინა.

იმედია, ამ ყველაფერზე შესაბამისი უწყებები უფრო კომპეტენტურად იმსჯელებენ და დასკვნასაც გამოიტანენ.

მიხეილ ბაბუნაშვილის განცხადებით, კუბლაშვილს სინამდვილეში ეს კრედიტი არ აუღია. სავარაუდოდ, ეს დოკუმენტი იმისთვის გაკეთდა, რომ თითქოს ხსენებული სასახლე კრედიტის თანხით აშენდა.

მიხეილ ბაბუნაშვილი: „ბუკიას სახლი და მიწის ფართობი იყალთოს ქ. 23-ში რომ ირიცხებოდა, სადაც რეალურად მდებარეობს კიდეც, ყველა ტექნიკურ დოკუმენტში მითითებული. კუბლაშვილების დაინტერესების შემდეგ, რატომღაც მისამართი გამსახურდიას 26/23 გახდა, რაც ბუნებაში არ არსებობს. კუბლაშვილებმა მისამართი კი შეცვალეს, მაგრამ კვალი მაინც ვერ წაშალეს. ეს სახლი რომ „ბუკიას ბაღის“ კუთხეში, იყალთოს ქუჩაზე დგას, რად უნდა დიდი მტკიცება. რაც შეეხება მიწის ფართობს, ლეილა ბუკიას 300 კვ.მ ფართი ეკუთვნოდა, რომელიც როგორ აღმოჩნდა მესხი-კუბლაშვილების ხელში უკვე გითხარით. აქ არავითარი რეკონსტრუქცია არ მომხდარა, ძველი სახლი დაანგრიეს და მის ადგილზე ეს სასახლე წამოჭიმეს. შესაბამისი ექსპერტიზა ჩემი სიტყვების სიმართლეს დაადგენს. რეალურად კუბლაშვილები 800-900 კვ.მეტრს ფლობენ,

6 gv.

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

5 gv.

რა სახსრებით ააშენა „ბუკიას ბაღში“ ოთხსართულიანი სასახლე კოტე კუბლაშვილის ვანელმა ცოლისდამ?

თუმცა ეს ფართობი რეგისტრირებული არ არის,. დოკუმენტურად მათ 613 კვ.მ. ეკუთვნით, რაც ასევე უკანონოა, რადგან არსად არ ჩანს საიდან აიღეს ეს მონაცემი. მაინტერესებდა კუბლაშვილები ფაქტობრივად მიწის რა ფართს ფლობდნენ, ამზომველებიც დავიქირავე, მაგრამ კუბლაშვილებმა ისინი თავიანთ „სამფლობელოს“ არ გააკარეს.

ძველი სახლი თუ 42 კვ.მ-ზე მიწის ფართზე იყო განთავსებული, ეს ახალი 5-სართულიანი (სარდაფის ჩათვლით) 180 კვ.მ. ფართზე დგას. კუბლაშვილებმა სახლის მშენებლობისას მიწა ბუკიას ბაღიდანაც მიითვისეს, ანუ იმ ტერიტორიიდან, რომელიც ბუკიებს არ ეკუთვნოდათ. სახლის ერთი ნაწილი სახელმწიფოს კუთვნილ ტერიტორიაზეა (0/138) აშენებული. საქმეში სამი ნოტარიუსი ფიგურირებს, ერთის ოფისი ბუკიას ბაღის სიახლოვეს გამსახურდიას (დღევანდელი პეკინი) გამზირის დასაწყისში მდებარეობს. მოქმედი წესით ყველაფერი ამ ნოტარიუსს უნდა გაეფორმებინა, მაგრამ მასთან მხოლოდ ნაწილია გაფორმებული, მეორე საბუთი კოსტავას ქ. №67-ში გაფორმდა, ყველაზე მთავარი დოკუმენტი კი დიდუბეში ნოტარიუს ეკატერინე ჩაჩანიძესთანაა გაფორმებული, რაც ასევე დიდ ეჭვს ბადებს.

ვერ წარმოიდგენთ რამხელა ძალისხმევა დამჭირდა ყველა ეს საბუთი რომ მომეპოვებინა, ორი თვის წინანდელ ამბავს გიყვებით. იუსტიციის სახლში საჯარო რეესტრის თანამშრომლები ხან იმას იმიზეზებდნენ არ გვაქვსო, ხან გამზადებული არ არისო. ბოლოს დავემუქრე, ამ დოკუმენტაციას მაინც ამოვიღებ, მაგრამ ეს რომელიმეს სამსახურის ფასად დაგიჯდებათ-თქო, მერე კეთილი ინებეს, თუმცა 20 წუთი მაინც მალოდინეს და როგორც იქნა გადმომცეს. ვფიქრობ, იუსტიციის სამინისტროში კვლავაც მრავლად არიან ზურაბ ადეიშვილის კუდები. ამ სახლთან დაკავშირებული უკანონობა რომ დაეფარათ, ყველაფერი აურიეს, სახლი იმ მისამართზე დაარეგისტრირეს, რომელიც არ არსებობს. საქალაქო სამსახურებმა გასცეს ნებართვა, რომ ჭაობში აშენებულ პატარა სახლზე, რომელიც უკვე ინგრეოდა, სამი სართული დაეშენებინათ. ფაქტობრივად ახალი სასახლე აშენდა, რომელიც როგორ მიიღეს ექსპლუატაციაში, კიდევ საკითხავია, უპრობლემოდ დაარეგისტრირეს საჯარო რეესტრში და ახლა რაში აწყობდათ თავიანთი ნაკეთები უკანონობის გამომზეურება.

ეს მიტაცება-გაყალბება ხომ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში დაიწყეს და 2004 წელს, სააკაშვილის ინაუგურაციის შემდეგ, როცა ნაციონალები ოფიციალურად მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში, კუბლაშვილები უფრო შორს წავიდნენ. მათ ამ სახლის წინ არსებული ღობე აიღეს და ბუკიას ბაღი მთლიანად მიიერთეს. ისინი ხმამაღლა აცხადებდნენ, ეს ბაღი ჩვენი ეზო იქნებაო. მიხეილ ბუკიას რომ არ ევაჟკაცა, რომელიც, როგორც გითხარით, საპატრიარქომ ამ ბაღის მომვლელ აგრონომად დანიშნა, ასეც მოხდებოდა. სხვათა შორის, გასული წლის პირველ ოქტომბრამდე კუბლაშვილებს ამის პრეტენზია ჰქონდათ და იმედოვნებდნენ, რომ ბუკიას ბაღს საკუთრებაში მიიღებდნენ. ასე რომ, საკუთარ უმწიკვლოებაზე საუბარს თავი დაანებოს კოტე კუბლაშვილმა.

მე ამ საქმეს ასე არ დავტოვებ, აუცილებლად შევიტან საჩივარს კუბლაშვილების წინააღმდეგ. იგივეს გააკეთებენ ლეილა ბუკიას ახლობლებიც, მათ შორის ჯონი ბუკია, რომელსაც ოფიციალურად აქვს ნაყიდი და ფული გადახდილი, იმ მიწის ფართობში, რომელზეც კუბლაშვილების სასახლე დგას. თავის დროზე ამ ადამიანმაც ბევრი იდავა, მაგრამ კუბლაშვილებს როგორ მოერეოდა“.

ეს, აბა, გამოიყურება დღეს ბუკიას ბაღი

ყველა ამ უკანონობაზე, რის შესახებაც ჩვენმა რესპონდენტმა ისაუბრა. დოკუმენტური მასალა „საერთო გაზეთს“ ხელთ აქვს.ვ თუ საგამოძიებო ორგანოები ამ თემით დაინტერესდებიან, მიხეილ ბაბუნაშვილი მათაც მიაწვდის. ჩვენ არავის ფუნქციაში ვიჭრებით და არც ვინმეს უდანაშაულობის პრეზუმფციას ვარღვევთ, მაგრამ ფაქტია, საბუთების გაყალბების და თაღლითობის სუნი უდის ამ ყველაფერს ეს ქმედებები კი სისხლის სამართლებრივი კუთხით, დასჯადია. სააკაშვილის ჯიბის პოლიცია – პროკურატურას და სასამართლოს ბევრად უფრო მსუბუქი დანაშაულისთვის საციხედ გაუმეტებია უამრავი ადამიანი. სასჯელის შეკრებითობის პრინციპის დანერგვაც სხვა ნაციონალებთან ერთად კოტე კუბლაშვილის სინდისზეცაა.

ახალ ხელისუფლებას ნაციონალები ხშირად უკიჟინებენ, რომ ისინი თითიდან გამოწოვილი ბრალდებებით აკავებენ ყოფილ ჩინოსნებს. ვფიქრობთ, ჩვენი წინამდებარე წერილში მოხსენიებული რბილად რომ ვთქვათ, დარღვევები, ნამდვილად არ არის უსახური და თითიდან გამოწოვილი. კაცს, რომელსაც ქვეყნის პირველ მსაჯულობაზე აქვს პრეტენზია და აცხადებს, რომ მას საიმპიჩმენტო არაფერი ჩაუდენია, ეტყობა თავისი წარსული დაავიწყდა. დაავიწყდა როგორ გახდა შევარდნაძისდროინდელი ყველაზე ღარიბი ჩინოვნიკი, უმდიდრესი ადამიანი, რომლის ქონებაც მარტო „ბუკიას ბაღში“ უკანონოდ მიტაცებულ მიწაზე აშენებული უზარმაზარი ქონებით არ შემოიფარგლება.

რატომ არიდებს მუდმივად თავს კოტე კუბლაშვილი თავის ქონების წარმომავლობაზე საუბარს? ვინ დაიჯერებს, რომ მის ვანიდან ჩამოსულ ცოლისდა, რომელიც მანამდე არავითარ ქონებას არ ფლობდა, უცებ გაუჩნდა იმხელა ფული რომ 4-სართულიანი სასახლე აიშენა.

იქნებ ჩვენი სამართალდამცავი სტრუქტურები მაია მესხის „ქონების“ წარმომავლობითაც დაინტერესებულიყვნენ, აღარაფერს ვამბობთ თავად კოტე კუბლაშვილზე, რომელიც ამ სასახლის გარდა სხვა სოლიდურ ქონებასაც ფლობს, დაინტერესებულიყვნენ ძმებ კუბლაშვილების ხე-ტყის ბიზნესითაც. მათ კუთვნილ საწარმოს ტყიბულის რაიონში წაბლის ხე აღარ დაუტოვებია. გამოხშირვისა და სანიტარული ჭრის მომიზეზებით, ასწლოვანი წაბლის ხეები პირწმინდად გაჩეხესო ამბობენ.

ხომ არ დადგა დრო, სამართალმა პური ჭამოს და კუბლაშვილის და მისი ჯალაბობის საეჭვო საქმიანობა ობიექტურად იქნეს შესწავლილი.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

„საერთო გაზეთი“
6-12.III.2013

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. წინა ნომერში

ბოლოს და ბოლოს დამასვენეთ და მითხარით: მე თვითონ მოვკვდი თუ მომკლეს?

2014 წლის 25 მარტს „რუსთავი 2“-ის ეთერში, გიორგი გაბუნიას გადაცემაში „არჩევანი“ ქვეყნის ექს-პრეზიდენტმა ისაუბრა სხვადასხვა თემაზე, მათ შორის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების თემაზეც. ინტერვიუ კიევში ჩაიწერა: „როცა ზურაბი გარდაიცვალა, რამდენიმე ხნის შემდეგ უცნაური რაღაცების ლაპარაკი დაიწყეს მისი ოჯახის წევრებმა, მისმა ძმამ, მეუღლემ. მეუღლეს ვთხოვე, რომ ჩემთან მოსულიყო, მოვიდა და მე ვუთხარი, რომ რაზეა, საერთოდ, ლაპარაკი, ნინო, შენ ხომ იყავი ადგილზე, როცა ეს მოხდა, სადაც მოხდა, ნახე ყველაფერი როგორც იყო, ყველაფერს ესწრებოდი, შენ გგონია, რომ ვინმე რამეს მალავს ან რამე სხვანაირად არის, თუ... არაო, არ მგონიაო, — თქვა. — შენთან რა პრეტენზია შეიძლება მქონდესო. მაგრამ არასოდეს არ დამავიწყდება, რა მითხრა: აი, ხომ იცით, ზურას, როგორც ყველა პოლიტიკოსს, ჰქონდა ბევრი ფულიო. მე ვუთხარი: მე ვარ პოლიტიკოსი, ნამდვილად არ მაქვს ფული და არა მგონია, ზურაბს ჰქონოდა ფული, საიდან მოიტანე. ერთ—ერთმა მითხრაო, რომ ორი დღით ადრე მისცა მას ძალიან დიდი თანხაო და აი, ამ თანხის ნაწილი მინდა რომ ამოვიღო მაინცო, იმიტომ, რომ ალბათ, იმ დაცვის თანამშრომელმა, სანამ ჩვენ მივიდოდით, ხომ არ წაიღეს ეს თანხა შემთხვევითო. აი, მე ვუთხარი, ეხლა გამოდის, რომ აქ ფულზე ვლაპარაკობთ—თქო და ჩვენ ვერ შვთანხმდებით ეხლა... სხვათა შორის, ეხლა, რა თქმა უნდა, როცა პრემიერ—მინისტრი ქვეყნის კვდება, ეს საგანგებო მოვლენაა, ახლა კი ჩვეულებრივი ადამიანისთვის ძნელი დასაჯერებელია, კი ორასი თუ რაღაცა მოიწამლა თბილისში გაზით, ესეთი მოშლილი სისტემა დაგვხვდა, მაგრამ რაც არ უნდა, რამდენიც არ უნდა ციფრები მოიყვანო, ჩვეულებრივი ადამიანი... ბუში რომ ჩამოვიდა 2005 წელს, პირველი ტრაპიდან რომ ჩამოვიდა, დავხვდით. მანქანაში რომ ჩაჯდა, პირველი, რაც მითხრა, ჟვანიას ამბავი რომ გავიგე, პირველი ჩემი რეაქცია იყო, რომ ეს არის რუსების გაკეთებული, ეს არის ახალი იუშენკოო და ეგრევე გამოვგზავნე „ეფ ბი აი“—ს ჯგუფიო. „ეფ ბი აი“—ს ჯგუფი ჩვენი ინიციატივითაც არ ყოფილა...

ახლა, დღეს რას აკეთებენ, რომ მაქსიმალური რაოდენობის ხალხს იჭერენ ციხეში, იქნებ რომელიმეს მერე უთხრან, რომ რად გინდა ახლა ხუთი—ექვსი წლით ჯდომა, სამი წლით გულგრილობისთვის, თქვი რა, რაც გვინდა ჩვენ და გაგიშვებ, რომ ვიღაცამ თქვას, რომ ეს არ იყო გაზით მოწამვლა, ეს, ელემენტარულად, დადგინდება ექსგუმაციით. ორი გზა არის: გამოქვეყნება მსოფლიოს საუკეთესო სააგენტოს ცხელ კვალზე გაკეთებული დასკვნის—ერთი და მეორე—ექსგუმაცია, რომელიც ეგრევე დაადგენს იყო თუ არა ძალადობრივი რამ იქ, ეგრევე“.

2014 წლის 26 მარტს, 14 საათზე პრესკონფერენცია ჰქონდათ ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრებს, სადაც პასუხი გასცეს ექს—პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებას (ტელეკომპანია „იმედზე“ „ქრონიკის“ პირდაპირ ეთერში):

რემა ჟვანიას განცხადებით, „ახლა, როცა ყველამ ვიცით, რომ მიდის ინტენსიური გამოძიება, ვაცადოთ ამ გამოძიებას, ნუ შევუშლით ხელს, როცა იქნება დასკვნა, თუ რომელიმე პოლიტიკური პარტია, ან პიროვნება იქნება ეჭვის ქვეშ, რომ არ არის ობიექტურად გამოძიებული, აქვს კიდევ მას შესაძლებლობა, უჩივლოს სტრასბურგის სასამართლოში“.

ნინო ქადაგიძის განცხადებით კი: „რაც შეეხება ჩემი და სააკაშვილის შეხვედრას, ჩვენ გვქონდა რამდენიმე შეხვედრა, ყველა მათგანის შინაარსი დაახლოებით იყო ერთი და იგივე. ჩვენ მუდმივად ვლაპარაკობდით გამოძიებაზე და შემიძლია შევაჯამო ეს შეხვედრა, მიშას სიტყვებით. მიშამ მითხრა, მთხოვე, რაც გინდა, ოღონდ გამოძიებას თავი დაანებეო. ეს არის მისი სიტყვები. ახლა რაც შეეხება თანხას, ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მე თანხაზე მქონდა ლაპარაკი, იყო მხოლოდ იმ კონტექსტში, რომ, როდესაც მე ვცდილობდი, რომ სხვა ვერსიებზეც მელაპარაკა, ერთ—ერთი ვერსია ჩემი იყო ის, რომ, იქნება, რახან დაცვის უფროსმა ამოიღო ჯიბიდან გასაღები, ღამე გახსნა მისი ორივე სეიფი, იქნებ აქ იყო ადამიანური ანგარების მომენტიც და ეს მკვლელობა მოხდა, შეიძლება, იმის გამოც, რომ ადამიანმა იქიდან რაღაც მოიპარა, შეიძლებოდა ეს თანხაც ყოფილიყო, მით უფრო, რომ მე ვიცოდი, ჩემი პირადი ნივთები, რომელიც იყო სეიფში, იყო დაკარგული. აი ეს იყო, ეს სულ რაც თანხაზე იყო ლაპარაკი... ახლა, რაც შეეხება ფოტომასალებს და ვიდეომასალებს, რომლებიც გავრცელდა, ეს მასალები გამოძიების პირველ ეტაპზე ნანახი არ მქონდა. ერთადერთი ფოტო, რომელიც მოხვდა იმ მასალებში, იყო სადაც ტუჩი აქვს გადმოწეული და ჩანდა სისხლჩაქცევა. ეს ფოტო მე რომ შემხვდა, მივედი და ადეიშვილს ვუთხარი, რომ ერთი ფოტო არსებობს—მეთქი და ასეთი დაზიანება არსებობს-თქო. ადეიშვილმა მითხრა, აბა, მოიტანეთ ფოტოებიო. მოიტანეს ეს ფოტოები და ის ფოტო იქ აღარ იყო. რაც შეეხება განსაჯაროებას მასალებს, გამოძიება არ არის დამთავრებული. მე არანაირი მოთხოვნა, რომ განსაჯაროება არ ყოფილიყო, არ მითხოვია არავისთვის, იმიტომ, რომ ბუნებრივია, სანამ გამოძიება არ დამთავრდება, ეს მასალები ვერ განსაჯაროვდება სხვადასხვა მიზეზის გამო. მათ შორის, პირველ ყოვლისა, გამოძიების ინტერესების გამო“.

2014 წლის 31 მარტს გაზეთ „კვირის პალიტრა“ (kvirispalitra.ge ნათია დოლიძე) აქვეყნებს ინტერვიუს: „მე დავინახე, როგორ მოკლეს ზურაბ ჟვანია“, სადაც ანზორი ს. ჰყვება, რომ:

—2005 წლის ორ თებერვალს, საღამოს 9 საათი იქნებოდა წყნეთში რომ ავედი. ღოჭინისხევში პატარა მეურნეობა მქონდა და პირუტყვის ყიდვას ვაპირებდი.

თორმეტს ოცი აკლდა, როცა უკან გამოვბრუნდი. რადგან გზა მოყინული იყო და საბურავები ცურავდა, ნელა მოვდიოდი. წყნეთი-თბილისის გზის ბოლო მოსახვევში დიდი სისწრაფით გზა მომიჭრა წყნეთისკენ მომავალმა ციმციმაანთებულმა ვაზ-07 მარკის მანქანამ. საჭე ვეღარ დავიმორჩილე, მოვცურდი და გზის საპირისპირო მხარეს სავალი ნაწილიდან ხუთი მეტრით გადავედი. ხრამში რომ არ გადავვარდი, ბუჩქნარმა და ნაძვის ბუჩქმა მიხსნა. გაიჩხირა ჩემი 06, ვეღარც წინ წავედი და ვეღარც უკან, მარჯვენა გიტარაც გატეხილიყო.

გზაზე ფეხი მიცურავდა, ამიტომ ტყის პირას ჩავედი, ასე, 150 მეტრი ჩავიარე, მივუახლოვდი იმ ადგილს, სადაც მაშინ ფიცრული (მოსაცდელი ფარდული-ავტ.), ახლა კი თანამედროვე „ბოქსი“ დგას, მანქანის ხმა გავიგონე და მალე გამოჩნდა კიდეც ქალაქის მხრიდან მომავალი „ტოიოტას“ მარკის შავი ჯიპი, რომელსაც თეთრი ვაზ-06 მოჰყვებოდა. მესამე მანქანა მოგვიანებით შევნიშნე. მივხვდი, რომ რომელიღაც თანამდებობის პირის ესკორტი იყო და მათთვის დახმარების თხოვნას აზრი არ ჰქონდა. უცებ წინ მომავალმა „ჯიპმა“ დაამუხრუჭა, ასე ათი მეტრი იცურა, ჩემამდე ხუთ მეტრში მოტრიალდა და შუა გზაზე, გარდიგარდმო გაჩერდა. აი, მაშინ ვიცანი პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას ჯიპი. ბატონ ზურაბს ჯერ კიდევ „მწვანეებიდან“ ვიცნობდი.

მე ფარდულის კუთხიდან ვაკვირდებოდი. თეთრი 06-დან გადმოვიდა მაღალი, შავთმიანი ბიჭი.

ბიჭს გრძელი პალტო გახსნილი ჰქონდა და ორი ცალი „სტეჩკინი“ მოჩანდა... ვიდრე ჯიპამდე მივიდოდა, ბიჭს ორ ადგილას გაუცურდა ფეხი, თითქოს ფეხსაც ითრევდა. მერე ჯერ ჯიპის მარცხენა მხარეს წავიდა, მაგრამ მობრუნდა, მარჯვნიდან მოუარა, უკანა კარი გააღო და ჩაჯდა. კარი მოხურა, მაგრამ არ დაიკეტა, რადგან პალტოს კალთა მოჰყვა. ბიჭი მანქანაში ჩაჯდა თუ არა, ყვირილი გავიგონე-რას შვრებით?! არ გამოვრიცხავ, ის დაზიანება, რომელიც ჟვანიას ტუჩზე ჰქონდა და ფოტოზეც აღბეჭდილია, სწორედ ამ დროს ძიძგილაობისას მიაყენეს. მალევე გაისმა ორი გასროლა, მანქანის ოდნავ ღია კარიდან გამოვარდნილი ბოლიც დავინახე.

ზურაბ ჟვანიას ხმა იყო. მანქანა ნამდვილად მისი იყო. ამის მერე უკანა მარჯვენა კარის დაკეტვა ისევ სცადა, თუმცა არც მეორე ცდაზე დაიკეტა, ისევ პალტოს კალთამ შეუშალა ხელი. მანქანა მყისიერად დაიძრა და თბილისისკენ დიდი სისწრაფით გაქროლდა. ის ორი მანქანაც უკან მიჰყვა. ყველაფერი სულ რაღაც ხუთ წუთში მოხდა. როგორც ჩანს, აქ მესამე მანქანიდან ჩემი ლანდი დაინახეს და გავიგონე გინება, — ეს ვინღაა აქო?! აღარ დავაყოვნე, ვისკუპე ტყისკენ და გავიქეცი. ამ დროს დავხედე საათს და პირველის თხუთმეტი წუთი იყო. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ყველაფერი ხუთ წუთზე მეტხანს არ გაგრძელებულა, მკვლელობა სადღაც პირველის ათ წუთზე მოხდა.

იმ მესამე შავ მანქანაში, თუმცა მარკა ვერ გავარჩიე, ან „მერსედესი“ იყო ან BMW, მინა ჩაწეული იყო და ჩანდა, რომ ვიდეოკამერით ვიღაც ამ ყველაფერს იღებდა. იმ ბიჭს, რომელმაც, სავარაუდოდ, ჟვანია მოკლა ნებისმიერ დროს ვიცნობ, მეტიც, მე ის ამოვიცანი და გოგლა ჟვანიასაც ვაჩვენე.“

როცა ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი ამბობდა, რომ მან დაკარგა ყველაზე ახლო მეგობარი, სანდო მრჩეველი და მოკავშირე, ჩნდება კითხვა, იმით ხომ მაინც უნდა დაინტერესებულიყო, რომ მისი პრეზიდენტობის პერიოდში, რომელიც არც ისე მცირე იყო, დახურულიყო გამოძიება და კითხვები პასუხგაუცემელი არ დარჩენილიყო.

ამასთანავე, აუცილებელი უნდა იყოს ქვეყნის ექსპრეზიდენტის მოწმის სახით დაკითხვა, კანონი მასზეც უნდა ვრცელდებოდეს მაშინ, როცა სხვა ქვეყნების პირველ პირებს სხვადასხვა მიზეზით აკავებენ. მაგალითად, იტალიის პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონს 2013 წლის აგვისტოში ფინანსურ მაქინაციებში მონაწილეობის გამო 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს და ასაკის გამო სასჯელი ერთწლიანი საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობით შეუცვალეს; უკრაინის ექსპრემიერ ტიმოშენკოს ოქტომბერში შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით მიუსაჯეს; ფრანგმა სამართალდამცავებმა ექსპრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ქალაქ ნანტერის დროებითი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს. სარკოზი გამოძიებამ დასაკითხად დააკავა 2014 წლის პირველ ივლისს. მას სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას, კორუფციასა და გამოძიების საიდუმლოების დარღვევას ედავებიან. საქმე ეხება 2007-2012 წლების პერიოდს, როდესაც საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტს იკავებდა.

კანონი ყველაზე და ყველასთვის უზენაესი უნდა იყოს, რომელიც არც ჩვეულებრივ ადამიანებს განასხვავებს და არც თანამდებობის პირებს. კანონი ყველასთვის ერთნაირი უნდა იყოს, მითუმეტეს, მაშინ, როცა ვსაუბრობთ, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორნი ვართ. ამ შემთხვევაში არც ქვეყნის ექს-პრეზიდენტი არის გამონაკლისი.

თინათინ გულიაშვილი
598 91 80 49

რა ბრალდებებს უყენებს მამუკა ნოზაძე ნინო ბურჯანაძეს და მის პარტიას?

„ახლა კი ვიცი, რომ დიდ თანხებზე იყო საუბარი. ჩემზე, როგორც მერობის კანდიდატზე, ერთი ლარიც კი არ არის დახარჯული. არანაირ მოგებაზე არ ყოფილან ორიენტირებულნი, იქ უკვე წინასწარ იყო ყველაფერი გათვლილი“.

*„საერთო გაზეთს“ ადვოკატი, გორის მერობის ყოფილი კანდიდატი **მამუკა ნოზაძე** დაუკავშირდა, რომელიც ნინო ბურჯანაძესა და მისი პარტიის წევრებს ბრალდებებს უყენებს და ათასნაირ გარიგებაში ამხელს.*

– მოგეხსენებათ, ბურჯანაძე-დემოკრატების გორის მერობის კანდიდატი ვიყავი, რასაც დღეს მწარედ ვნანობ, რაც ჩემი უდიდესი შეცდომა იყო. საერთოდ არ ვაპირებდი პოლიტიკაში გარევას, მაგრამ არაერთი თხოვნის შემდეგ გავრისკე და დავთანხმდი. ბურჯანაძის პარტიიდან არაერთი ადამიანი მომიგზავნეს, მათ შორის, გორის ადგილობრივი შტაბის ხელმძღვანელი თამარ კოდოშვილი და მთხოვეს ვყოფილიყავი მათი მერობის კანდიდატი. მითხრეს, ვიცით თქვენი წარსული, თქვენი ბიოგრაფია და სუფთა ადამიანი და პროფესიონალი იურისტი რომ ხართ, გორში თქვენზე ღირსეულ ადამიანს ვერ ვნახავთო და ბევრი ფიქრის შემდეგ მეც დავთანხმდი, რადგან მეგონა, ბურჯანაძის პარტიაში მართლაც წესიერი ხალხი იყო და თავად ეს ქალი მართლაც სამართლიანობისთვის იბრძოდა, თუმცა მწარედ მოვტყუვდი.

დავიწყებ იმით, რომ თამარ კოდოშვილი, რომელიც გორის შტაბის ხელმძღვანელი იყო (თუმცა არაოფიციალურად), ამავდროულად რეგიონის პარტიის თავჯდომარედ ითვლებოდა, არჩევნების მოგებაზე არ იყო ორიენტირებული. ჯერ ერთი, არაკომპეტენტური ადამიანი აღმოჩნდა, მეორეც, საეჭვო კითხვის ნიშნები ჩნდება მის ქმედებებთან დაკავშირებით. საერთოდაც ძალიან საეჭვო პიროვნებაა ეს ქალბატონი, ალბათ ხვდებით, რასაც ვგულისხმობ, არ დავკონკრეტდები. ვიმეორებ, საეჭვო პიროვნებაა, და ეს გამოჩნდა კიდეც, როცა საქმე თანხებს შეეხო. ბუნებრივია, გამოყოფილი იყო თანხები (საარჩევნო კამპანია არ ტარდება თანხების გარეშე, მითუმეტეს, ნინო ბურჯანაძემ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სახელმწიფოსგან დაფინანსება მიიღო მილიონი ლარი და ეს თანხები, უპირველესად, უნდა იყოს გამოყენებული სწორედ საარჩევნო კამპანიის პროცესში და ა.შ.), მაგრამ საარჩევნო პროცესს ეს თანხები არ მოხმარდა, ჩვენთვის არანაირი დაფინანსება არ ყოფილა. წარმოიდგინეთ, მე, როგოც მერობის კანდიდატს, მხოლოდ და მხოლოდ 2-ჯერ მომცეს 20-ლარიანი ბენზინის ტალონი. ეს ერთი, მეორე, ეს ქალი, თამარ კოდოშვილი არანაირ შეთანხმებას ჩემთან, როგორც მერობის კანდიდატთან, თუ როგორ უნდა წარმოებულიყო საარჩევნო კამპანია, არ ახდენდა, პირიქით...

– ცოტა დავიბენი, კი მაგრამ, მართლაც არ იყვნენ მოგებაზე ორიენტირებულნი?

– დიახ, როგორც გაირკვა, არანაირ მოგებზე არ ყოფილან ორიენტირებულნი, იქ უკვე წინასწარ იყო ყველაფერი გათვლილი. ამ ქალბატონმაც თამარ კოდოშვილმა, რომლის განათლების დონეც არის ნული და ძალიან საეჭვო რეპუტაციის ადამიანია, თავი ჩაისვა რაიონის სიაში, საკრებულოს წევრობის სიის პირველი ნომერი გახდა და გინდა თუ არ გინდა, ინერციით ერთი ადამიანის გასვლის შანსი თავიდანვე იყო, მას გარანტირებული ჰქონდა საკრებულოს წევრობა და არ იწუხებდა თავს. ხოლო ქალაქში ზაზა ვეკუამ ცენტრალური ოფისიდან ყოფილი ქრისტიან-დემოკრატი ზურაბ როსებაშვილი ჩასვა, რომელიც ძალიან კარგად იყო ნაციონალების დროს, აბსოლუტურად არაფერზე ხმას არ იღებდა და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, როგორც მედროვე გახდა საკრებულოს თავჯდომარის მოადგილე. ამ ადამიანს უამრავი პრემია აქვს აღებული, ქალაქში ამ პიროვნების ლობირება მოხდა და ჩასვეს ქალაქის სიაში. მოკლედ, ქალაქის სიიდან საკრებულოში გავიდა როსებაშვილი, გორიდან კი თამარ კოდოშვილი. კოდოშვილს, იმის მაგივრად, რომ დაეგეგმა ჩემთვის საარჩევნო კამპანია, მოსახლეობასთან შეხვედრა და ა.შ. პირიქით იქცეოდა, როდესაც მასთან მოსახლეობის წარმომადგენლები მიდიოდნენ ჩემი მხარდაჭერის მიზნით და თხოვდნენ ესა თუ ის საქმე დაგვავალეო, ეუბნებოდა, არ ღირს, ჩვენ მაინც წაგებული გვაქვსო. სხვადასხვა გარიგებებს აწარმოებდა ეს ქალბატონი და ამ ადამიანებში ენთუზიაზმსა და ბრძოლის უნარიანობას კლავდა, რადგან, როგორც აღვნიშნე, მას პირადად საკრებულოში მოხვედრა გარანტირებული ჰქონდა. წარმოიდგინეთ, მან მე ხმაც კი არ მომცა არჩევნებზე. მეტიც, დამიწყო ბრძოლა – საარჩევნო კამპანიის დროს ჩემი პლაკატების ჩამოხევას ჰქონდა ადგილი და მე განცხადების ტექსტი დავუტოვე მას (იგი, ამავდროულად, საოლქო კომისიაში წარმომადგენელი იყო) და მიზანმიმართულად ეს განცხადებაც კი არ ჩააბარა. ისევ მე მიწევდა ამის თაობაზე ბრძოლა, მე, ფაქტობრივად, საარჩევნო კამპანიის ჩატარების გარეშე მივიღე 7 %-მდე. სხვათა შორის, ბურჯანაძე-ერთიანმა ოპოზიციამ მარტო ჩემი პლაკატები დაბეჭდა და მისი გაკვრაც კი ვერ უზრუნველყო, გაუკრავი პლაკატები დღესაც შტაბში ინახება.

– არადა, თავად კოდაშვილმა არ გთხოვათ, გვერდში დაგვიდექიო?

– ეს ქალი, კოდოშვილი არის ერთი ჩვეულებრივი ჭორიკანა (ადამაინს, როდესაც ინტელექტთან აქვს პრობლემა ჭორაობის მეტს ვერაფერს აკეთებს), მისი ძირითადი ფუნქცია იყო ასინეთობა, ანუ ჩამოიტანდა ხოლმე ოფისში სხვადასხვა ინფომაციებს, ტყუილს სხვადასხვა პიროვნებების შესახებ, ერთმანეთს ატაკებდა ამ ადამიანებს, ერთს ეუბნებოდა, ამან შენზე ეს თქვაო, მეორეს ეუბნებოდა – ამან შენზე ეს თქვაო, მოკლედ, არაჯანსაღი და გულისამრევი სიტუაცია იყო. ეს ქალი, ბურჯანაძის რჩეული, საკრებულოშიც ჭორაობის მეტს არაფერს გააკეთებს. ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ პარტიის საქმიანობაში აქტიურად ერევა ბადრი ბიწაძე. დიახ, ძირითად საკითხებს რეგიონებში ეს პიროვნება წყვეტს, შეიძლება ითქვას, რომ ისიც ჭორების ყურის დამგდებია.

ჩემთვის ცნობილია ისიც, რომ მინიმალური თანხები იყო გამოყოფილი, თუმცადა სად და რა მიზნით დაიხარჯა კაცმა არ იცის. შტაბში ხელფასი არავისთვის გადაუხდიათ. ახალგაზრდების ჯგუფი იყო იქ, დადიოდნენ აქეთ-იქით, რაღაცებს აკეთებდნენ და ხაჭაპურის ფულიც კი არ მისცეს, მშივრები, რომ არ ყოფილიყვნენ.

– ჩვენთან ისიც კი დაიწერა, რომ ბურჯანაძეს ქდმ-თან გაერთიანებისთვის ნაცებმა სოლიდური თანხა მისცეს და მას მეორე ადგილისთვის არ უნდა ებრძოლა...

– ახლა კი ვიცი, რომ დიდ თანხებზე იყო საუბარი. ჩემზე, როგორც მერობის კანდიდაზე ერთი ლარიც კი არ არის დახარჯული და კოდოშვილს რამდენს აძლევდნენ, ნამდვილად არ ვიცი, ეს კონფიდენციალურია. ამ ყველაფრის შემდეგ საზოგადოებაში ბურჯანაძისა და კოდოშვილის მიმართ განწყობა არის ძალიან ცუდი. თუ მომავალ არჩევნებში ისევ კოდოშვილი ეყოლებათ, რა ხმებიც მიიღეს, იმასაც ვეღარ მიიღებენ. და კიდევ ერთი, მეორე ტურში კოდოშვილმა შემდეგი რამ გააკეთა – კომისიაში დამკვირვებლის 2 კანდიდატის ყოლის უფლება ჰქონდათ და პირველ ტურში, ვინც იყვნენ დამკვირვებლები, ის ადამიანები ამოყარა და ჩასვა ისეთი ადამიანები, რომლებიც „ოცნებასა“ და ოქრუაშვილს აწყობდათ და მას ეს უანგაროდ არ გაუკეთებია. ეს აზრი საზოგადოებაში მუსირებს. ერთ-ერთი ადვოკატი, შიდა ქართლის მაჟორიტარობის კანდიდატი მაგული გოგოლაძე (რომელიც მე მივიყვანე) დაჟინებით სთხოვდა, კომისიაში დამკვირვებლის სტატუსით ჩაჯდომას თავის უბანზე, რომ არჩევნები არ გაყალბებულიყო და ესეც კი არ გაუკეთა მაჟორიტარობის კანდიდატს. კოდოშვილს, ამავდროულად, ოქრუაშვილთანაც ჰქონდა კომუნიკაცია, ამის დასაბუთებული ეჭვი არსებობს, ვინაიდან ყოფილი ნაციონალია. მოკლედ, ორ ფრონტზე იბრძოდა ეს ქალი და ვინც თამასას აუწია, იმის მიხედვით ჩასვა ხალხი. მან ორი დამკვირვებლის ადგილი ვულგალურად, რომ ითქვას, გაყიდა და ჩასვა ის კანდიდატები, ვინც სურდათ ამ პარტიებს. აი, ასეთი კოდოშვილები ჰყავს ბურჯანაძეს პარტიაში, მაგრამ, იმედია, ხალხი აღარ მოტყუვდება, ისევე, როგორც მე მოვტყუვდი. უკვე მშვენივრად ვხედავთ, ვინც არის ეს ქალბატონი და რა თამაშსაც თამაშობს ეს პარტია.

„საერთო გაზეთს“ შიდა ქართლის მაჟორიტარობის ერთ-ერთი კანდიდატიც ესაუბრა, რომელმაც ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავა:

„პარტიის მხრიდან არანაირი ხელშეწყობა არ ყოფილა, არც პარტიული შეკრება გვქონია, არც მოსახლეობასთან წარგვადგინა ვინმემ და ა.შ. ასე მითხრა თამარ კოდოშვილმა: 3 უბანზე 100 ლარი მიაწოდე შენს დამკვირვებლებსო, მეტი არ გვაქვსო. ვსვამ კითხვას – სამ უბანზე 100 ლარი ეყოფოდა ამ ხალხს ? ეს 100 ლარიც ძლივს გამოვგლიჯე ამ ქალს. რომელ დაფინასებაზეა საუბარი. პარტიას, შტაბის წარმომადგენლების დავალიანება აქვთ, ეგ ხომ ცესკოდან ფინანსდება და გვითხრა, კოდოშვილმა, მიდით, „ლიბერთი ბანკშია“ თანხა გადმორიცხული და აიღეთო. ჩვენი წარმომადგენლები ვინც იყვნენ, მივიდნენ, მაგრამ არაფერიც არ დახვდათ იქ. მერე „საქართველოს ბანკში“ გაგვიშვა, იქაც არაფერი დაგვხვდა. შემდეგ გვითხრა, ბარათები უნდა დამზადდეს, ამას ველოდებით და აიღებთ თანხასო, მაგრამ მოგვატყუა. მე ვუთხარი, არ გირჩევ იურისტებთან თამაშს-მეთქი. ბოლოს გვითხრა, ბარათები რომ არ დამზადდა, უკან წავიდა ფინანსებიო. გადავამოწმეთ ცესკოში და იცით, რა გვითხრეს? რას ამბობთ, ქალბატონო, როდის ეგ ფული დავარიგეთ, რა არ აგიღიათო. გადავურეკე ისევ, ფული დარიგებულა და რაშია საქმე-მეთქი, არ ვიცი, იქ რაღაც გაუგებრობა მოხდა და ხელზე დარიგდებაო, მიპასუხა. ყველა არ ჰყავდათ სიაში და ნაწილს მისცეს საბოლოოდ თანხა, ნაწილს – არა. დამატებით სიებს გავაკეთებთ და დავარიგებთ ფულსო და რა ვიცი, დაარიგებენ? ეს კანონდარღვევაა და მეტი არაფერი. ძალიან ვნანობ, რომ მაგ ხალხს გავეკარე. ბურჯანაძის პარტია ერთ-ერთი უბინძურესი პარტია ყოფილა“.

ქეთი ხოვერიკი
592 53 53 03

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო...“

დიდი ეროვნული საქმე გაკეთდა – ამიერიდან ნიჭიერებით გამორჩეული ახალგაზრდების სწავლა-განათლების მიღებას საზღვარგარეთ სახელმწიფო დააფინანსებს, ოღონდ ერთი პირობით, სწავლის დამთავრების შემდეგ ეს ახალგაზრდები სამშობლოში უნდა დაბრუნდნენ და უცხოეთში მიღებული ცოდნა ქვეყანას უნდა მოახმარონ.

სტუდენტთა პირველი ნაკადი უკვე შეირჩა.

გთავაზობთ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვას, რომელიც მან სტუდენტებთან შეხვედრისას წარმოსთქვა:

–სტუდენტებს ეძლევათ საშუალება უცხოეთში გააგრძლონ სწავლა წამყვან უნივერსიტეტებში, მიიღონ განათლება და მიღებული ცოდნა და გამოცდილება მოახმარონ საკუთარ ქვეყანას. სწორედ მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს რომ სახელმწიფო იღებს ვალდებულებას დაგეხმაროთ თქვენ–განსაკუთრებით ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომლებმაც ობიექტურ და გამჭირვალე კონკურსში მიიღეს მონაწილეობა და გაიმარჯვეს, მოგცეთ ყველა საშუალება იმისთვის, რომ მიიღოთ განათლება, გაიღრმაოთ თქვენი ცოდნა იმ პირობით რომ თქვენ აუცილებლად დაბრუნდებით სამშობლოში და თქვენს ცოდნას, თქვენს ინტელექტუალურ რესურსებს მოახმართ საკუთარ სამშობლოს და საკუთარ ხალხს. ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა და ეს არის ის რისკენაც ჩვენ ყველანი ერთად მივდივართ. ჩვენ ყველანი ვეკუთვნით ჩვენს ქვეყანას და ვართ ვალდებული ჩვენს ხალხს და ქვეყანას ვემსახუროთ. ეს არის ჩემი ცხოვრების მთავარი მოტივაცია და მიზანი. სამწუხაროდ ყველა ადამიანს არ ეძლევა საშუალება, რომ ემსახუროს საკუთარ სამშობლოს. ჩვენ გაძლევთ ამის საშუალებას. ჩვენი მომაცალი, ჩვენი ქვეყნის მომავალი არის ჩვენს ხელში, თქვენს ხელში–შესაბამისად. მე როგორც ქვეყნის პრემიერ–მინისტრი, გიცხადებთ სრულ მხარდაჭერას.

მე მინდა მოკლე ისტორია მოგიყვეთ ჩემს შესახებ. იმიტომ, რომ მეც ერთ დროს ვიყავი სტუდენტი და მეც მსურდა გამეგრძელებინა სწავლა უცხოეთში. მივიღე მონაწილეობა ერთ-ერთ პროექტში, პროგრამაში, მივიღე წასვლა ამერიკაში, მივიღე ნაწილობრივი დაფინანსება და სულ რაღაც 5000 დოლარის გადახდა მაშინ არ შეეძლო ჩემს ოჯახს, არ ჰქონდა ამის საშუალება და მე ვერ წავედი ამერიკაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ მე ბრძოლა შევაჩერე. შემდეგ ვცადე და მოვხვდი საფრანგეთში სორბონის უნივერსიტეტში. იქ უფასოდ გავაგრძელე სწავლა, ჩამოვედი და ჩემს ქვეყანაში გავაგრძელე საქმიანობა.

სწორედ, მთავარი პირობა ჩვენი– სახელმწიფოს მხრიდან, მთავარი მოთხოვნა არის ის, რომ სახელმწიფო თქვენთან და თქვენ აიღებთ ვალდებულებას რომ თქვენს მიღებულ ცოდნას მოახმართ სახელმწიფოს და ქვეყანას, ჩვენს ხალხს. ხოლო ჩვენ ჩვენი მხრივ, ვიღებთ ვალდებულებას, რომ თქვენი ცოდნის, თქვენი უნარების შესაბამის და შესაფერის სამსახურს დაგახვედრებთ სამშობლოში დაბრუნებისთანავე. მე ვიცი რომ საუბარია სამიდან ხუთ წლამდე პერიოდზე, ამის შემდეგ თქვენ თუ გექნებათ სურვილი გააგრძელოთ მუშაობა საჯარო სექტორში ამის სრული თავისუფლება გექნებათ. მაგრამ მიმაჩნია, რომ ახლა მოგვეცა ის შანსი და ის მომენტი როდესაც ჩვენ ყველამ უნდა შევძლოთ კონსოლიდაცია, ჩვენი ერის კონსოლიდაცია, ჩვენი საზოგადოების კონსოლიდაცია. მე ხშირად ვიხსენებ ისრაელის მაგალითს, იმიტომ რომ ჩემთვის სამაგალითოა ის რაც ამ პატარა სახელმწიფომ შეძლო. ჩვენც ბევრი მსგავსება გვაქვს. ჩვენ ვართ პატარა ერი, მცირერიცხოვანი ერი, მაგრამ ვართ ძალიან ნიჭიერი ერი და ჩვენი ხალხის ნიჭიერების ნამდვილად მჯერა და მჯერა რომ ჩვენი სახელმწიფო ერთ დღეს იქნება ძალიან ძლიერი, ფეხზე გამართული. ასე რომ, მე მინდა სიამაყით აღვნიშნო რომ ეს ცენტრი შეიქმნა სულ რაღაც მოკლე ვადაში და ეს კონკურსი ჩატარდა ობიექტურად, სამართლიანად. ჩვენ გადმოვიღეთ საუკეთესო პრაქტიკა მსოფლიოს წამყვან სასტიპენდიო პროგრამებში, მიღებული ტექნიკა და პრაქტიკა დავნერგეთ, იმისათვის რომ მაქსიმალურად ყოფილიყო დაცული სამართლიანობა, გამჭირვალობა და ობიექტურობა. ეს არის მთავარი რომ არავინ არ იგრძნოს თავი დაჩაგრულად. თქვენ ხართ პირველი ნაკადი იმ სტუდენტებისა რომელიც სწორედ ამ პრინციპებით შეირჩა. მე დარწმუნებული ვარ, რომ თითოეული თქვენგანი არის ძალიან მოტივირებული და რომ გჯერათ თქვენი მომავლის. რწმენა არის ნომერ პირველი. რწმენის, მოტივაციის გარეშე არც ერთი საქმე არ გამოგვივა ჩვენ. გიყურებთ და ვგრზნობ, რომ თქვენ ხართ ისეთივე მოტივირებული როგორც მე. იცით რომ, თანამედროვე სამყაროში განათლება არის ყველაზე ეფექტური და ძლიერი იარაღი. ჩვენ ვისაუბრეთ საქართველოზე და მის მასშტაბებზე. ჩვენ ვართ პატარა ერი, პატარა სახელმწიფო და რა გვჭირდება ჩვენ იმისათვის რომ ვიყოთ კონკურენტუნარიანი? რა თქმა უნდა განათლება. სწორედ ამიტომ ჩვენს ქვეყანას სჭირდება განათლებული მომავალი თაობა. პირადად მე, როგორც მთავრობის მეთაური გავაკეთებ ყველაფერს რომ მაქსიმალურად გვერდში დაგიდგეთ იმისათვის რომ თქვენ გქონდეთ ხარისიანი განათლების მიღების ყველა საშუალება. ჩვენი ახალგაზრდები თავისი ცოდნით უნდა უწევდნენ კონკურენციას მსოფლიოს წამყვანი ქვეყნის ახალგაზრდებს. მე ვერ დამაჯერებს ვერავინ რომ ჩვენ არ შეგვიძლია სხვაზე უკეთ საქმის გაკეთება. როგორც უკვე აღვნიშნე, თქვენ ხართ საქართველოს მომავალი და თქვენ უნდა ქმნიდეთ ჩვენი ქვეყნის მომავალს და ჩვენ ერთად უნდა განვსაზღვროთ ჩვენი ქვეყნის ბედი. რა გვინდა რომ მივიღოთ, რა მიმართულებით მივემგზავრებით–ეს არის მთავარი. მნიშვნელოვანია რომ ეს პროექტი სწორედ ამას ითვალისწინებს რომ სასწავლებლად წასული სტუდენტები დაბრუნდებით სათანადო ცოდნით აღჭურვილები და მოახმართ საკუთარი ცოდნა სამშობლოს . ჩვენ გვჭირდება პროფესიონალი და სათანადო ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდები. თქვენს ცოდნას სახელმწიფო გამოიყენებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ და რა თქმა უნდა, სათანადოდ დავაფასებთ თქვენს ცოდნას. ამ პროექტის განხორციელებით ჩვენ დავამთავრეთ ის დრო როდესაც განსაკუთრებით ნიჭიერ ახალგაზრდებს უცხოეთში განათლების მიღებაზე მხოლოდ ოცნება თუ შეეძლოთ. დღევანდელი დღე არის ამის დადასტურება. ეს არის სტუდენტების პირველი ნაკადი , ჩვენ ამ პროექტს გავაგრძელებთ ბუნებრივია. სათანადო სახსრები უკვე გამონახულია ბიუჯეტში და მინდა გითხრათ რომ აბსოლიტურად თავდაჯერებული ვარ და ვიცი რომ ცენტრის მიერ შერჩეული თითოეული ახალგაზრდა, თითოეული თქვენგანი გვასახელებს უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და იქიდან ჩამოსვლის შემდეგ თქვენს ცოდნას და ენერგიას მოახმართ ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ხალხს. მინდა იცოდეთ და გახსოვდეთ, რომ თქვენ სამშობლო გიშვებთ განსაკუთრებული მისიით და გელოდებათ სათანადო კვალიფიკაციით აღჭურვილებს. ჩვენ თქვენს სწავლაში ვდებთ ინვესტიციას, ჩვენს რწმენას და ეს ინვესტიცია აუცილებლად მოხმარდება ჩვენს ქვეყანას და მთელი საზოგადოების კეთილდღეობას.

თამარ გულიაშვილი
598 76 01 83

საერთაშორისო განათლების ცენტრი

ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრი“ შეიქმნა ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ოპერაციული პროგრამის–საერთაშორისო განათლების საკონსულტაციო ცენტრის ბაზაზე.

ფონდის მისიაა დაეხმაროს ქართვლ სტუდენტებს და პროფესიონალებს ისარგებლონ საერთაშორისო განათლების შესაძლებლობებით, მიიღონ ინფორმაცია უცხოეთში სწავლის პირობების შესახებ.

საერთაშორისო განათლების ცენტრი და მისი რეგიონალური წარმომადგენლობები მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ საქართველოს მოქალაქეებს სათანადო ინფორმაციის მიწოდებითმათი ინტერესების შესაბამისი უნივერსიტეტებისა და დაფინანსების მოძიებაში.

ცენტრი არაის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც ფინანსდება ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“, ღია საზოგადოების ინსტიტუტისა და ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ.

ცენტრის თანამშრომლებს მომზადება აქვთ გავლილი ევროპასა და აშშ-ში. ამავე დროს ისინი არიან ამერიკის შეერთებული შტატების და ევროპის საერთაშორისო განათლების ასოციაციების წევრები, რაც ზრდის მათთვის შესაბამის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას.

ფონდს აქვს სარესურსო ცენტრი, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკით და ლიტერატურით სხვადასხვა უნივერსიტეტებისა და უმაღლესი სასწავლებლების შესახებ. ცენტრს აგრეთვე აქვს უახლესი ლიტერატურა ისეთი ტესტების მოსამზადებლად როგორიცაა TOEFL, SAT, GRE, GMAT, IELTS

ცენტრის პრიორიტეტები

ცენტრის უპირველეს პრიორიტეტად რჩება ღია საზოგადოების ინსტიტუტის ქსელური სტიპენდიების მიერ დაფინანსებული და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პროგრამების ადმინისტრირება

ორგანიზატორის მიმდინარე პროგრამები

1) სამაგისტრო პროგრამა: განათლების პოლიტიკა, მართვა და ადმინისტრირება;

2) ამერიკული უნივრსიტეტი ბულგარეთში – აუბგ;

3) სამაგისტრო პროგრამა ედინბურგის უნივერსიტეტში;

4) სამაგისტრო პროგრამა ესექსის უნივერსიტეტში;

5) ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი; (CEU)

სახელმწიფოს განვითარების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად ახალგაზრდების განათლება მიმაჩნია. მომავალ თაობაში ცოდნის ჩადებით ქვეყანა გაძლიერდება და ფესვებს გაიდგავს. საუკეთესო განათლება სახელმწიფოს განვითარების ერთ-ერთი მთავარი პირობაა.

სტუდენტებს საზღვარგარეთ სწავლის გასაგრძელებალად ფინანსების მოძიება სჭირდებათ. გასაბჭოების შემდეგ დავით სარავჯიშვილს, მის ოჯახს, ასევე სხვა ქველმოქმედებს – ზუბალაშვილებს, ხოშტარიას ყველაფერი წაართვეს რაც კი გააჩნდათ: სახლები, საწარმოები... მაგრამ ვერ წაართვეს ერთი რამ: კერძოდ, განათლებაში ჩადებული ინვესტიცია. საქმე ის არის, რომ ისინი საზღვარგარეთ აგზავნიდნენ ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებს, რომელთგან ზოგი ცნობილი მწერალი, მეცნიერი, ცნობილი მოღვაწე გახდა. განათლებაში ჩადებული ფული ექსპროპრიაცია არ ექვემდებარება.

საქართველოს მთავრობის ინიციატივა – ჩადოს ახალგაზრდების განათლებაში ინვესტიცია, არის ის, რასაც დრო ვერ მოერევა, დრო ვერ გაახუნებს. საქართველოს დღევანდელმა მთავრობამ დიდი ეროვნული საქმე გააკეთა.

2014 წლის 9 ივლისს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილმა სტუდენტებს პროექტი შესთავაზა, სადაც საუბარია, რომ მათ სახელმწიფო დაეხმარება ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ მეშვეობით და დაუფინანსებს საზღვარგარეთ სწავლას ერთი პირობით: საქართველოში დაბრუნდებიან და თავიანთ ცოდნას სამშობლოს მოახმარენ.

საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო ნარკომაფიას, ფაქტობრივად, ომი გამოუცხადა, ეს კი ძალზე სარისკო და სახიფათოა

დავით გაგნიძე: ირაკლი ღარიბაშვილს, ამ წესიერ და პატრიოტ ადამიანს, რომელმაც საქართველოზე გამავალი „სიკვდილის გზა“ ჩაჭრა, საზოგადოების მხარდაჭერა და თანადგომა ჭირდება



დავით გაგნიძე

ცოტა ხნის წინ შსს-სა და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, საერთაშორისო ნარკოტრეფიკის ფაქტი გამოავლინეს. სამართალდამცავებმა სატვირთო ავტომანქანების ჩხრეკისას დაახლოებით 2 ტონა და 790 კგ თხევადი ჰეროინი აღმოაჩინეს, რომელიც 93 ერთეულ 30-კგ-იან კასრებში იყო განთავსებული. საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახურის ცნობით, აღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერება 80% სუფთა ჰეროინს შეიცავდა, რომლის საბაზრო ღირებულება ასეულობით მილიონ დოლარს შეადგენს. გამოძიებით დადგინდა, რომ ხსენებული ავტომანქანები საქართველოში აზერბაიჯანიდან შემოვიდა და თურქეთის მიმართულებით მოძრაობდა. დაკავებულია ორი საქართველოს (მძღოლები) და ერთი თურქეთის მოქალაქე. ნაცმოძრაობამ, როგორც ყოველთვის ეს თემაც საქილიკო გახადა, გაურკვეველი წარმომავლობის სააგენტომ კი ის ინფორმაციაც გაავრცელა, ამოღებული ნივთიერება ავღანეთში წარმოებული ოლიფა იყო, რომელიც ევროპაში გაჰქონდათ სარეალიზაციოდ და თუ ტვირთს დროზე არ გაათავისუფლებენ, ავღანეთი დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტით გვემუქრებაო. აქ ჭკუათმყოფელმა ადამიანმა რა კომენტარი უნდა გააკეთოს, მხოლოდ ერთს ვიტყვით, მეთოდები დაგიძველდათ ნაცებო! ისე არ მგონია საქილიკოდ გქონდეთ საქმე, ავ ენებს თუ დავუჯერებთ ამ „ტვირთის“ დაკავების გამო დიდი უსიამოვნება შეექმნება თქვენს მთავარ „კასირს“ დავით კეზერაშვილს. რატომ და როგორ, ეს სხვა საუბრის თემაა.

საქართველო საერთაშორისო ნარკოტრეფიკში აქტიურად რომ იყო ჩართული, დიდი ხანია საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, თუმცა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლამდე არასდროს ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენს სამართალდამცავებს ამ ოდენობით ნარკოტიკი ამოეღოთ. მათ მხოლოდ ორჯერ ამოიღეს 5 კგ-მდე ჰეროინი, ისიც შევარდნაძის მმართველობის დროს. სააკაშვილის მმართველობისას კი, როცა თურმე „დაუნდობლად“ ებრძოდნენ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვას, ამგვარი არაფერი გვსმენია, არადა გაეროს 2010 წლის მონაცემებით, საქართველოს ტერიტორიაზე ტონობით ნარკოტიკი გაედინებოდა. „საერთო გაზეთში“ არაერთხელ გამოქვეყნებულა სტატიები ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებით, სადაც პროფესიონალი სამართალდამცავები აცხადებდნენ, რომ ავღანური წარმოშობის ნარკოტიკები საქართველოში სწორედ აზერბაიჯანიდან, „წითელი ხიდის“ გავლით შემოედინებოდა და თავიდან თურქეთის გავლით „მიეწოდებოდა“ ევროპას. მოგვიანებით ეს მარშრუტი ნაწილობრივ შეიცვალა, თურქეთში საერთაშორისო ანტინარკოტიკული ცენტრის ამოქმედების შემდეგ, ეს ქვეყანა უკრაინამ ჩაანაცვლა, სწორედ ამით ხსნიდა ჩვენი წყარო საქართველოსა და უკარაინის განსაკუთრებულ დაახლოებას. უკრაინაში დღეს მიმდინარე მოვლენებმა, როგორც ჩანს ნარკომარშრუტის უსაფრთხოებაზე უარყოფითად იმოქმედა და ძვირფასი „ტვირთი“ ისევ თურქეთში გადაამისამართეს.

ამ და სხვა საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით „საერთო გაზეთს“ გამოცდილი პროფესიონალი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი **დავით გაგნიძე** ესაუბრა, რომელიც გახმაურებულ დანაშაულობებთან დაკავშირებით, რომელთა გახსნაც ნაციონალებს არ აწყობდათ, დაითხოვეს სამართალდამცავი სისტემიდან.

დავით გაგნიძე: „მოდით, გავაანალიზოთ რატომ იღებდნენ წინა წლებში უმნიშვნელო რაოდენობის ნარკოტიკს და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ამოღებამ მკვეთრად იმატა. ნაციონალებს უნდათ მოგვაჩვენონ, რომ საქართველო ახლა გახდა ნარკოტრანზიტული ქვეყანა, მათი ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ ქვეყანაში ქაოსია და ა.შ. მე დღევანდელი ხელისუფლების დამცველი არ ვარ, მაგრამ სიმართლე უნდა ითქვას, ნამდვილად არ არის ასე. საქართველოში ნარკოტრანზიტი გუშინ და დღეს არ დაწყებულა, წინა საუკუნიდან მოდის, მაგრამ მაშინ არ ჩანდა, სულ თავიდან არც იყო დიდი პარტიები, მერე მოიმატა. ახლა იმიტომ გამოჩნდა, რომ მთავრობამ სერიოზულად დაიწყო ნარკოტრეფიკის წინააღმდეგ ბრძოლა. ნარკოტიკის ამხელა პარტიები არავითარ შემთხვევაში არ წამოვა, თუ წინასწარ არ იყო მოლაპარაკება სატრანზიტო ქვეყნის ხელისუფლების მაღალ ეშელონებთან. ადრე რეიჰანი და კურჯალი, თურქეთში მცხოვრები ირანელები, „კურირებდნენ“ ძირითადად საქართველოზე გამავალ ნარკოტიკს, მაგრამ ისინი წინასწარ ან წარმომადგენელს აგზავნიდნენ, ან თვითონ ჩამოდიოდნენ. კი შემოდის ირანიდან აზერბაიჯანის გავლით ნარკოტიკი საქართველოში, მაგრამ ირანში ნარკოტიკი არ იწარმოება, ეს ქვეყანა მკაცრად ებრძვის ნარკოტიკის უკანონო ბრუნვას, რამდენადაც ვიცი სიკვდილითაც კი სჯიან ნარკოგამსაღებლებს, თუმცა ირანიც შედის ე.წ. ოქროს სამკუთხედში, ისევე, როგორც თურქეთის ნაწილი, პაკისტანი, ინდოეთის ნაწილი და ავღანეთი. საქართველოში ავღანური „ოპიუმის“ ტრანზიტი გასული საუკუნის 60-იანი წლების შუა პერიოდიდან დაიწყო, ამიტომაც წამოიწიეს კანონიერმა ქურდებმა, საბჭოთა კავშირის ხელისუფლება თვითონ ხომ არ გამოდან ე.წ. ღამურების („ლეტუჩიე მიში“) რაზმი რომ ჩამოიყვანეს, მაშინ კიდევ უფრო გაგვიმყარდა ეჭვი, რომ ნარკობიზნესში სამხედრო მაღალჩინოსნები იყვნენ ჩართული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ნარკოტრაფიკის მაკონტროლებელი ხსენებული გენერალიტეტი ამერიკელებმა ჩაანაცვლეს, მაგრამ ნაწილობრივ. იმიტომაც არის ეს უბედურება აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ჯერ კიდევ როდის არსებობ-

ჩენდებოდა. მინდა გითხრათ, რომ მათ უზარმაზარი შემოსავლები ჰქონდათ ამ „ბიზნესიდან“. 1979 წელს კი უკვე საბჭოთა ჯარებიც შევიდნენ ავღანეთში, რისი მთავარი მიზეზი სწორედ ნარკოტიკები იყო. ავღანეთიდან მომავალ ნარკოტრასას, რომელშიც საქართველოც იყო ჩართული, წლების განმავლობაში რუსული სამხედრო გენერალიტეტი აკონტროლებდა. 80-იან წლებში საქართველოში, კერძოდ, თბილისში დააკავეს ნარკოტიკების დიდი პარტია, მაშინ ქავთარაძე იყო თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსი. რუსეთი-და ინფორმაციები, რომ სხვადასხვა საერთაშორისო სამედიცინო ორგანიზაციების (მათ შორის „წითელი ჯვარი და ნახევარმთვარე“) ავტომანქანები „ოპიუმის“ ტრანსპორტირებას რომ ეწეოდნენ. ისინი ოფიციალურად გადადიოდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე, ეტყობა იქ აბარებდნენ ამ ნარკოტიკს (სავარაუდოდ ოჩამჩირეში იყო ბაზა), მერე თვეში თუ კვირაში ერთხელ ჩამოდიოდა ამოუცნობი ვერტმფრენი, რომელშიც იტვირთებოდა და მიჰქონდათ. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, სად და ვისთან მიჰქონდათ. ასე რომ, ნარკოტრანზიტი

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

არასდროს გაჩერებულა საქართველოში, იმიტომაც არის საქართველოში მუდმივად ქაოსი და არეულობა. პირობითად ვთქვათ, თუ წითელ ხიდზე ერთი გრამი „ოპიუმი“ ერთი აშშ დოლარი ღირდა, ბათუმსა და ფოთში მისი ფასი გაათმაგებული იყო. ფოთიდან ძნელი იყო უკანონო ტვირთის გატანა, რადგან იქ დიდი წყალწყვის გემები არ შემოდიოდნენ, ნარკოტიკს სათანადოდ ვერ დამალავდი, ბათუმში კი ადვილი იყო, რადგან დიდი გემები პირდაპირ ადგებიან ნაპირს. აბა, საიდან ჰქონდა ამხელა ქონება ასლან აბაშიძეს? ფაქტია, ეს ყველაფერი რესპუბლიკის ხელმძღვანელის გარეშე ვერ მოხდებოდა, ბუნებრივია, რუსეთის გარეშე ვერ გააკეთებდა ამას“.

- ამერიკელებმა რუსული გენერალიტეტი 1991 წლიდან ჩაანაცვლეს?

- არა, უფრო მოგვიანებით, რადგან 1991 წელს საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია იყო, რომელიც ამ სიბინძურეში არ გაერეოდა. მას კი გადასცეს პოლიტიკური ძალაუფლება, მაგრამ რეალური ბერკეტები არ გააჩნდა, სინამდვილეში სულ სხვა, კულუარული თამაშები მიდიოდა, რუსეთი და ამერიკა ერთობლივად თამაშობდნენ. ნარკოტრასა, მოგეხსენებათ, ავღანეთში იღებს სათავეს, გადადის ირანში, იქიდან აზერბაიჯანში და შემდეგ საქართველოში. პოსტსაბჭოთა სივრცეში ამ მარშრუტის „მაკონტროლებელი“, ფაქტობრივად მხოლოდ საქართველოში შეიცვალა, ამის თქმის უფლებას ფაქტების ანალიზი გვაძლევს. აზერბაიჯანი ისევ ისე თამაშობს, როგორც თამაშობდა და ძალიან ჭკვიანურადაც თამაშობს, ის ლავირებას ეწეოდა ორივე ძალასთან (ამერიკა და რუსეთი), მათ ხელს არ უშლის და შეიძლება ითქვას, კარგად აკონტროლებს. ძალიანაც რომ გვინდოდეს, საერთაშორისო ნარკობიზნესს ჩვენ მარტო ვერ მოვერევით. 2008 წლის ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის დასავლელი ექსპერტები ღიად ალაპარაკდნენ, რომ ზოგიერთი მსხვილი ბანკი ნარკობიზნესიდან შემოსულმა ფულმა გადაარჩინა, ვატიკანის ბანკიც კი ყოფილა ამაში გარეული. ბოლო 30 წლის განმავლობაში ეს ბანკი ორჯერ მოხვდა მსგავს სიტუაციაში, მანამდე რამდენჯერ იყო, დაზუსტებით არ ვიცით. ებრძოდა კი საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო ნარკოტრფიკს? თავადაც იცით, რომ მხოლოდ ორჯერ ამოიღეს შევარდნაძის მმართველობისას დიდი პარტია ნარკოტიკი, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია, მაგრამ სააკაშვილის მმართველობისას ესეც არ გაუკეთებიათ, ისინი გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, უპრობლემოდ ატარებდნენ ნარკოტიკის დიდ პარტიებს. თუ ეს სიმართლე არ არის, მაშინ რატომ არ მოგვისმენია ნარკოტიკების ამოღების შესახებ ინფორმაცია, გაეროს ინფორმაციის ხომ მაინც გჯერათ, რომ ტონობით ნარკოტიკის ტრანზიტი ხდებოდა საქართველოში? კომუნისტები ნარკოტრანზიტში თუ მხოლოდ „მშრალ“ ფულს იღებდნენ, საქართველოს ხელისუფლებამ „ნატურით“ დაიწყო „ანგარიშსწორება“. ასეთი წესით ანგარიშსწორება 21-ე საუკუნიდან დაიწყო, რაშიც მსხვილი ბანკებიც არიან ჩართული. ამ ნარკოტიკს გასაღება ხომ უნდა? ბანკებს ფულის აღებას ურჩევნი-

ათ ნარკოტიკი მიიღონ. ავღანელ ფერმერებს გაზაფხულზევე აძლევენ კრედიტებს, შემოდგომაზე კი „ნატურით“ იბრუნებენ კრედიტს. ისე რომელი შემოდგომა, „ოპიუმის“ ყაყაჩოს უკვე სამი მოსავალი მოყავთ. სადღაც ამოვიკითხე, რომ ადგილზე, ანუ ავღანეთში ერთი გრამი „ოპიუმი“ თუ „ჰეროინი“ ერთი აშშ დოლარი ღირს, აზერბაიჯანსა და საქართველოში ერთი გრამის ფასი 200-300 დოლარია, ხომ წარმოგიდგენიათ ევროპაში რა ეღირება, „შემოსავლები“ ასეულ მილიონობით დოლარს უტოლდება.

დავით გაგნიძის განცხადებით, ავღანური ნარკოტიკი მხოლოდ ხსენებული ტრასით არ „მიეწოდება“ ევროპას, ყოფილა მეორე გზაც, შუა აზიის რესპუბლიკების გავლით ხვდება ჩეჩნეთში, გაივლის ჩრდილო კავკასიას და ზღვით მიემართება ევროპისკენ, ეს სოხუმის პორტიდან ხდება თუ ნოვოროსიისკის, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მესამე მარშრუტი ყოფილა ავღანეთი-ირანი-სომხეთი-საქართველო. გავიხსენოთ სომხეთიდან შემოსული სატვირთო ავტომანქანა, რომელზეც ასევე დიდი ოდენობით ნარკოტიკი აღმოაჩინეს. ნარკომაფია ფანტაზიას არ უჩივის, ადრე თუ მაისურებს ავლებდნენ „ოპიუმის“ ხსნარში, მერე „მეთოდები“ უფრო დახვეწილა. პაკისტანიც აქტიურად არის ჩართული ამ „ბიზნესში“, ნარკოტიკების შემცველი სამედიცინო პრეპარატები დასავლეთში უკვე ოფიციალურად შედის პაკისტანიდანო.

დავით გაგნიძე: „საქართველოს ხელისუფლება ამას წინ როგორ აღუდგება, მაგრამ ფაქტია, საქართველოს ტერიტორიაზეც ძალიან გაუჭირდება ნარკოტრეფიკთან ბრძოლა, უამრავი ტვირთები მოძრაობს, ყველაფერს ვერ გააკონტროლებ. იმიტომაც არის არეული სიტუაცია ჩვენს ქვეყანაში და ვერაფრით წყნარდება. ნარკოტიკების განსაკუთრებით დიდი პარტიების მოძრაობა 2001 წლიდან დაიწყო, ფაქტობრივად ამ პერიოდიდან იწყება ედუარდ შევარდნაძის გადაყენების პროცესიც. ავღანეთში ნატოს ჯარებიც 2001 წელს შევიდა, რომელიც 2014 წელს დატოვებენ ამ ტერიტორიას და საქართველოშიც გამოჩნდა სტაბილიზაციის პერსპექტივა. ამდენი დამთხვევა შემთხვევითი არ შეიძლება იყოს. ანტინარკოტიკული ცენტრი თავის დროზე საქართველოში უნდა გახსნილიყო, მაგრამ ამერიკელი დიპლომატის, რომელიც სინამდვილეში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოფიცერი აღმოჩნდა, ფრედ ვუდროფის მკვლელობამ შეუშალა ხელი და თურქეთში გახსნეს, რამაც ამ ქვეყანაზე ნარკოტრანზიტი მნიშვნელოვნად შეამცირა. რაღაცა პარტიები მაინც მოძრაობდა, მაგრამ იმდენი ნამდვილად არა. ნაცმოძრაობის ხელისუფლების დროს გაიჭრა ახალი

„გზა“ საქართველო-უკრაინა, ბულგარეთი და რუმინეთიც იყო ჩართული, მაგრამ ძირითადი მაინც უკრაინა იყო. ამიტომაც იყო ნაცხელისუფლება ასე „ჩახუტებული“ უკრაინის ნარინჯოვან ხელისუფლებასთან. გავიხსენოთ, როგორ დააკავეს ბელორუსიის საზღვარზე „ზედაზენის“ სასმელებით დატვირთული სატვირთო ავტომანქანა, რომელშიც 85 კგ „ჰეროინი“ აღმოაჩინეს. მერე გამობრძანდა ცეზარ ჩოჩელი, ჩემი რეპუტაციის შელახვა უნდათ, სპეციალურად მომიწყვესო. თუ მართლაც მოუწყვეს, 5 კგ-ს „ჩაუდებდნენ“, არ ეყოფოდა? ამიტომ არ მჯერა მისი ამ განცხადების“.

- მოდით, სამ ტონამდე „ჰეროინის“ ამოღების ფაქტზე უფრო კონკრეტულად ვისაუბროთ, რომელიც თურმე „ოლიფა“ ყოფილა.

- მე ეჭვი არ მეპარება, რომ მართლაც „ჰეროინი“ იყო. წელანაც გითხარით, ამდენ „საქონელს“ ისე არავინ გამოუშვებს, თუ სატრანზიტო ქვეყნის ხელისუფლებას წინასწარ არ მოელაპარაკა, ასელობით მილიონ დოლარზეა საუბარი და სასწორზე არავინ შეაგდებს ამხელა თანხას. ჩვენ ვარაუდის დონეზე უნდა ვიმსჯელოთ, ფაქტებს არავინ დატოვებს, შენით უნდა მიხვდე, მთლად ზუსტად რომ ვერც გათვალო, სწორი მიმართულებით მაინც წახვალ. დავუშვათ, ადგილზე მართლაც ერთი დოლარი გადაიხადეს ერთ გრამში, ანუ ჯამში 2790 დოლარი, ევროპამდე ტრანსპორტირება ხომ უნდა, მითუმეტეს ირანის გავლით, სადაც უმკაცრესი მეთოდებით ებრძვიან ნარკობრუნვას. ე.ი. ძალიან დიდი ქრთამი უნდა გადაიხადოს, ამდენ ფულს უაზროდ რომელი ჭკუათმყოფელი გადაიხდის, მითუმეტეს, რომ მას ნარკოდილერი ელოდება, რომელმაც უნდა „დაურიგოს“ ეს „ჰეროინი“ ნარკორეალიზატორებს. ეს თუ დროულად ვერ მიაწვდის „საქონელს“, ის ნარკოდილერი სხვისგან შეიძენს, ხომ გითხარით, რამდენიმე მარშრუტი მოქმედებს. ამიტომ წინასწარ არის საჭირო მოლაპარაკება, წინააღმდეგ შემთხვევაში ბაზარზე ქაოსს გამოიწვევს, ეს ბაზარი კოსოვოში „ფუნქციონირებს“. აბა რა გგონიათ, რისთვის დაჭირდათ მსოფლიოს „მამებს“ კოსოვოსთვის ავტონომიის მინიჭება? სხვათა შორის უკანონო იარაღის ბაზარიც მანდ არის. „მიმწოდებელმა“ წინასწარ უნდა დაალაგოს სიტუაცია, თორემ შეიძლება სიცოცხლის ფასად დაუჯდეს, მარტო ფულის დაკარგვაზე არ არის საუბარი. იქ დრო ფული ღირს. გადავავლოთ სტატისტიკას თვალი, ჩვენმა სამართალდამცავებმა შარშან 116 კგ ნარკოტიკი დააკავეს, წელს აპრილის თვეში ტონამდე, ახლა სამ ტონამდე, რამდენადაც ვიცი ამის შემდეგაც ამოიღეს ტონანახევარი. ვიღაცამ, რომელიც ან წინა ხელისუფლების წარმომადგენელია, ან მათთან არის „შეკრული“ და რა თქმა უნდა ნარკომაფიასთანაც, ამ „მიმწოდებლებს“ უთხრა, გაატარეთ „ტვირთი“, პასუხისმგებლობას მე ვიღებო, მაგრამ საქმეში უკვე სხვა, ჯანსაღი ძალები ერთვება და ამ უკანონო ტვირთებს აკავებენ. დასკვნა ერთია, ირაკლი ღარიბაშვილის გუნდი მხართემოზე არ არის წამოწოლილი, რეალურად მუშაობს. აქვე ისიც მინდა ვთქვა, რომ ირაკლი ღარიბაშვილს, ამ წესიერ და პატრიოტ ადამიანს, რომელმაც საქართველოზე გამავალი „სიკვდილის გზა“ ჩაჭრა, საზოგადოების მხარდაჭერა და თანადგომა ჭირდება. ამ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც ამხელა ტვირთი ავკიდეთ, არავინ არაფერს ეხმარება, სამაგიეროდ დიდ პრეტენზიებს უყენებენ. მე იმას განვიცდი, რომ ამ უმოქმედობით მეორე შანსი, ნათელი წერტილი ისევ არ დავკარგოთ.

სამ ტონამდე „ჰეროინი“ ზუსტად როდის ამოიღეს, ისიც არ ვიცით, რადგან თარიღი არ უთქვამთ. რა გამოდის, ე.ი. ამ ამოღების მერე მიდიოდა ჭიდაობა, გაეხმაურებინათ თუ არა ეს ფაქტი. ძალზე სერიოზულ ძალებთან უწევს ირაკლი ღარიბაშვილს ბრძოლა, ხომ ნახეთ, იმასაც ამბობენ „ჰეროინი“ კი არა ოლიფა იყო, ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ დაადგინაო.

ნატოს ჯარები საკუთარი თვალით უყურებენ როგორ მოყავთ ავღანელებს „ოპიუმის“ ყაყაჩო, მაგრამ ხმას არ იღებენ. ხალხს თვალში ნაცარს აყრიან ოლიფა იყოო, ვის ატყუებენ? შს მინისტრ ლექსო ჭიკაიძის წესიერებაშიც არ მეპარება ეჭვი, მას პირადად არ ვიცნობ, მაგრამ მამამისს კარგად ვიცნობდი, ერთად ვართ ცხინვალში ტყვედ ნამყოფი. 1989 წლის 21 დეკემბერს დაგვიჭირეს თელავის მილიციის ხუთი თანამშრომელი, მათ შორის ლექსოს მამაც იყო, სულ ათი კაცი ვიყავით, ხუთი კაციც მილიციის აკადემიიდან იყო. მაშინ ოსებმა ქართველი „არაფორმალები“ შეიპყრეს, ჩვენ ჩავედით და გავათავისუფლებინეთ, მაგრამ ჩვენ დაგვიტოვეს. მერე შს მინისტრის მაშინდელი მოადგილე გივი კვანტალიანი ჩაერია საქმეში, განგაში ატეხა და მალევე გამოგვიშვეს. ლექსო ჭიკაიძე შეიძლება გამოუცდელია, მაგრამ, როგორც გითხარით, წესიერი ადამიანია.

სააკაშვილმა კორუმპირებულები გვეძახა და ერთი ხელის მოსმით ქუჩაში გამოგვყარა. ბოლოს და ბოლოს გაგვაგებინონ სადმე თუ არის ჩვენი ადგილი. აბსურდული მიზეზით დამითხოვეს სამსახურიდან, სს-ის საქმეც არის აღძრული ფაქტზე, სადაც მეც ვფიგურირებ, მაგრამ საქმე ვეღარ გაგრძელეს, რადგან თვითონაც იცოდნენ უდანაშაულო ვიყავი. შსს-ს მაშინდელმა ხელმძღვანელობამ (მინისტრი ვანო მერაბიშვილი) „გულმოწყალება“ გამოიჩინა და მხოლოდ გათავისუფლება მაკმარეს, თუმცა პენსია დამაკარგინეს და ფაქტობრივად უსახსროდ დამტოვეს. ყურით მოთრეულ „დანაშაულში“ დამდეს ბრალი, ჩემს რეპრესირებას სულ სხვა რეალური მიზეზი ჰქონდა, ადამიანების გატაცებას და ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებს უკავშირდება, რეალურ დამნაშავეებზე გასვლის მცდელობა არ მაპატიეს. რომ დამცლოდა, გარწმუნებთ, ეს საქმეები დიდი ალბათობით გაიხსნებოდა.

კონკრეტულად რა დანაშაულობების გახსნაზე მუშაობდა ჩვენი რესპოდენტი და რატომ არ აწყობდა სააკაშვილის რეჟიმს ამ საქმეების გახსნა, ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში ვისაუბრებთ.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

გაგრძელება. დასაწყისი იხ. წინა ნომერში

ჯოჯოხეთის ფილიალი დედამიწაზე, ანუ ქართული აბუ-გრეიბის კოშმარები

(ფრაგმენტები ლადო ბედუკაძის წიგნიდან)

(2012 წელი, 18 სექტემბერი).

ჩანაწერის წამების კომიტეტში დატოვებაზე კატეგორიულ უარზე ვიყავი.

— დავიღუპებით გიორგი, — ვეუბნებოდი მე. როგორ ვენდოთ უცნობ ადამიანს, მით უფრო, ამ სისტემის ფუნქციონერს?

- ხომ გითხარი, ჩემი ძველი ნაცნობია, მეგობარია. ნუ გეშინია, — მპასუხობდა ქართულად გიორგი ფოფხაძე, თან ურუმოვას ემასლაათებოდა და ბოლოს ფლეშკაც გადასცა.

ნამდვილად დავიღუპეთ, — გავიფიქრე მე და ეს განცდა არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ შემახსენებს თავს.

ლადო ბედუკაძე

2012 წლის 13-14 სექტემბერს საქართველოს შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმციის თანახმად, სტრასბურგის ადამიანის უფლებებათა დაცვის წამების კომიტეტის წევრები, მათ შორის ქალბატონი ურუმოვა თბილისს ესტუმრა. შეხვდნენ შსს მინისტრ ახალაიასაც. ვინ იცის, იქნებ მაშინ გახდა ცნობილი რეჟიმისთვის ჩემი განზრახვის შესახებ?! ფაქტია, ამ დღის მერე საეჭვოდ გააქტიურდა პროცესები. საპყრობილის დირექციაში იბარებენ ჩემს ყოფილ თანამშრომლებს და ეკითხებიან ჩემს შესახებ, ტეხავენ, როგორც გიორგი ფოფხაძემ გამიმხილა, მის პირად კომპიუტერს. დიდ ხანს ორუცნობიან განტოლებასავით ამოუხსნელი რჩება კითხვები: ვინ, რატომ, რისთვის?

18 სექტემბერია. საქართველოს მთავარი პროკურორი ბრიფინგისთვის ემზადება. გაფითრებული, შეშინებული სახით და აკანკალებული ხმით პროკურატურის პირველი პირის, შეფის **ზურაბ ადეიშვილის** წინასწარ შემუშავებულ სცენარს ახმოვანებს: **დანაშაული გახსნილია. ბედუკაძის მიერ შექმნილი და ჩამოყალიბებული დანაშაულებრივი დაჯგუფება დიდი ოდენობით თანხის მიღების სანაცვლოდ ასრულებდა ერთ-ერთი პოლიტიკური ძალის დაკვეთას. დაკავებული არიან ამ დანაშაულში მხილებული პირები. ბედუკაძის მიმართ გამოცხადებულია ძებნა.**

ბორის ფარულავა („ბასტი“)

დათა აკობია („ბუბუ“)

ასეთი სპექტაკლები ოხრად დაუდგამთ. არც ეს გასჭირვებიათ.

საქმეს პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტი იძიებს. საჭირო ოქროს მოწმეები საკმარისად ჰყავთ: საპყრობილის უსაფრთხოების უფროსი **ლევან ფურცხვანიძე,** ამავე საპყრობილის თანამშრომელი დათა აკობია და ყოფილი პატიმარი, ბიზნესმენი **ნუგზარ მაჭარაშვილი**. ეს ის ნუგზარ მაჭარაშვილია, **თამაზ ელიზბარაშვილთან** შეხვედრისას რომ მახლდა, სანამ საზღვარგარეთ წავიდოდი.

ბევრი მოწმე არცაა საჭირო. ბევრს არც ითხოვენ მოწმეებისგან. მათი გეგმა ასეთია, რასაც შემდეგ მრავალი თვეების განმავლობაში დაჟინებით იმეორებენ და წარუმატებლად „ამტკიცებენ“: პოლიტიკური კოალიცია „ ქართულ ოცნება“ აკრძალული, ბინძური თამაშის წესებს მიმართავს. ეკონომიკური ტერმინით — დამკვეთია, შემსრულებელი ბედუკაძე და მისი ე.წ. დაჯგუფებაა. ძირითადი მიზანია- პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დისკრედიტაცია.

მოწმეები ადასტურებენ „ფაქტს“, თუ სად, როგორ და რა ვითარებაში მოხდა კოალიციის ერთ-ერთი ლიდერის ღარიბაშვილის მიერ დაჯგუფების ხელმძღვანელი ბედუკაძისადმი შეპირებული თანხის გადაცემა, დანაშაულის დაგეგმვა.

მძიმე მისიის შესრულება საპყრობილის უსაფრთხოების უფროსს **ლევან ფურცხანიძეს** ეკისრება. იგი **ზურაბ ადეიშვილის,** იგივე „ადეს“, ვერსიის თანახმად, ბედუკაძის მეკავშირეა საპყრობილეში. ფურცხვანიძეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირადად ემუქრება. აშანტაჟებენ და მისიის წარმატებით შესრულების შემთხვევაში პირობას აძლევენ, რომ მის ოჯახს ეკონომიურად დაეხმარებიან. დიდი-დიდი სამი თვე მოუწიოს ჩაჯდომა. მომავალში დაუფასებენ. თუ არადა, გაანადგურებენ. ფურცხვანიძეს სხვა გზა არც აქვს, ყველაფერზე თანახმაა.

ასეთივე დაპირებები გაისმის ყველა დანარჩენი დაკავებულის მიმართ. ერთ-ერთი დაკავებული, გვარად **ცომაია,** ადასტურებს კიდეც ამას თავის სასამართლო ჩვენებაში.

კარანტინის კადრების გადამღებ **დათა აკობიას** სომხეთის საბაჟო პუნქტთან აკავებენ საქართველოს დატოვების მცდელობისას. რატომღაც არ იჭერენ მის გამცილებელ, თანმხლებ პირს, რომელიც შემდგომში, მისივე განმარტებით, მთელი ამ პროცესის თუ „ჟურნალისტური გამოძიების“ ორგანიზატორია. ეს არის **გიორგი ლომია**. რა თქმა უნდა, ეს ჩემში მრავალ გაუქარწყლებელ ეჭვს ბადებს...

დათა აკობიას აღიარებითი ჩვენების ნაწილს სასწრაფოდ ტელევიზიით ავრცელებენ — ბედუკაძეა მისი „დამკვეთი“, ბედუკაძემ მისცა სამგზავროდ ფულადი თანხა 400 დოლარი. აკობიას არანაირ ბრალდებას არ უყენებენ. პირიქით, გამოძიების მნიშვნელოვან მოწმეს სოდ-ის დაცვის პროგრამაში რთავენ და განსაკუთრებულად იცავენ.

ანალოგიური ჩვენება და მოპყრობაა ბიზნესმენ **ნუგზარ მაჭარაშვილისადმი,** რომელიც წინასწარგანზრახვით მიაბეს ამ საქმეს.

მაგრამ **ბუბა ფარულავა,** „ბასტი“, კერკეტი კაკალი გამოდგა. სცემენ, აწამებენ, ფრჩხილებს აძრობენ, მაგრამ ვერ ტეხენ და ვერ ალაპარაკებენ, სასურველ ჩვენებას მაინც ვერ იღებენ. „ბასტის“ დღემდე არ ახსოვს, არ იცის, 18 სექტემბრის შემდეგ ერთი კვირა სად ჰყავდათ.

ვერ გატეხეს. არადა, ბევრსაც არ სთხოვდნენ. კამერის წინ უნდა დაადასტურებინა ფაქტი, რომ ეს ყველაფერი ბედუკაძემ დაავალა. საქმის თანამონაწილენი არიან: გენერალი **თამაზ თამაზაშვილი** და ბიზნესმენი **თამაზ ელიზბარაშვილი**.

ფსიქოლოგიური ზეწოლა არ წყდება თავისუფლებაში გირაოთი მყოფ ბიზნესმენ **თამაზ ელიზბარაშვილსა** და პატიმრობაში მყოფ გენერალ **თამაზ თამაზაშვილზე**. ეს ადამიანები საქმის მეტი დამაჯერებლობისთვის სჭირდებათ. გეგმის მიხედვით, ერთი — ბედუკაძის ფინანსური დასაყრდენია, მეორე — მეკავშირე პოლიტიკურ ძალებთან.

თამაზ ელიზბარაშვილს პროკურატურაში იბარებენ და ოთხი საათის განმავლობაში ჰკითხავენ, იძიებენ. ბრძანებას და მოვლენების შემდგომ განვითარებას ელიან.

აი, რას წერს თავად **თამაზ ელიზბარაშვილი** „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე ამ მოვლენების შესახებ:

„მე ვარ ის ადამიანი, ვისი დაჭერაც უნდოდა 19 სექტემბერს საკაშვილის მონა მთავარ პროკურორს **მურთაზ ზოდელავას**. *წინასწარ დაასონინა კიდეც ტელევიზიით 18 სექტემბერს, დადასტურებულიაო, პატიმართა წამების ციხეში ლადო ბედუკაძეს ჯერ თამაზ თამაზაშვილი და შემდეგ თამაზ ელიზბარაშვილი უკვეთავდაო.*

19 სექტემბერს ჩემი დაკითხვა პროკურატურაში 5 საათი გაგრძელდა. ეტყობა, დაკითხვას მალალჩინოსანი პროკურორები მონიტორზე უყურებდნენ. ყოველ 10–15 წუთში ურეკავდნენ გამომძიებელს, რომელიც გადიოდა დაკითხვის ოთახიდან და რამოდენიმე წუთში უკან ბრუნდებოდა.

უკან დაბრუნებულს სახეზე ფერი არ ედო. ასე გაგრძელდა 4 საათი. ბოლო ზარის შემდეგ დაბრუნებულმა გამომძიებელმა უკნიდან მხარზე ხელი დამადო, საოცარი სითბო ვიგრძენი. სკამზე ვიჯექი, თავი შემოვატრიალე, ავხედე, გამომძიებელს ადამიანის სახე და ფერი დაბრუნებოდა. გამიღიმა, დაჯდა მაგიდასთან და დაკითხვა გააგრძელა.

მალევე მოვრჩით, მერე ჩვენება ვიდეო-კამერის წინ წავიკითხე, ესეც ასეო, მითხრა გამომძიებელმა. ახლა ბორკილებს დამადებთ და გლდანში გამიშვებთ-მეთქი?

ძალიან მოგენატრაო? — გაეცინა გამომძიებელს.

ლიფტამდე გამომაცილა — თუ დაგვჭირდით, დაგირეკავთო.

გაოცებული ვიყავი. ჩემს თავს ვეკითხებოდი: ნეტა, რა შეიცვალა დაკითხვის მეოთხე საათზე? ანუ 19 სექტემბრის 16 საათზე რაღაც მოხდა, რამაც მურთაზ ზოდელავას და ნაძირალა ზურაბ ადეიშვილს ხელი ააღებინა ამ ბინძური საქმის შეკერვაზე.

ლადო ბედუკაძე ჩემი მეგობარია. მე ის გლდანის ციხეში პატიმრობისას გავიცანი. პატიმრობისას-თქო, და, ისე არ გამიგოთ — ეს კრიმინალი ვინ არისო. მე ვიყავი ზურაბ ადეიშვილის პირადი პატიმარი.

სწორედ მისი ბრძანებით მაწამეს 14 დღე გლდანის ჯოჯოხეთის კარანტინის საკანში.

მოკლედ აღგიწერთ, რა არის კარანტინი და კარანტინის საკანი. პატიმარი ციხეში შესახლებისას გადის შემოწმებას, რომელიც დაცინვის, გინების და მინიმუმ სახეში ერთი სილის გარტყმის ფონზე მიდის. სრულიად აშიშვლებენ, უკანალში რამე ხომ არ გაქვს დამალული, ბუქნს აკეთებინებენ რამდენიმეჯერ და ა.შ. შემდეგ შეჰყავთ კარანტინის საკანში, რომელიც ნახევრად სარდაფშია.

საკანში რკინის სამი 2-სართულიანი საწოლია, ანუ ექვსი ეგრეთ წოდებული კოიკა. არც ლეიბი, არც ბალიში და ადიალა. წარმოიდგინეთ, პატიმარმა უნდა დაიძინოს რკინის კოიკაზე, რომლის სიგრძე-სიგანე შედგება 10 სანტიმეტრი სიგანის ღეროებისაგან, მათ შორის არის 12-ფურცლიანი რვეულისხელა სიცარიელე.

სრულიად შეგნებულად, 6-კოიკიან კარანტინის საკანში ათავსებენ 20–22 პატიმარს. წარმოიდგინეთ, საკანში, რომელიც ნახევარსარდაფშია და მხოლოდ ერთი პატარა ფანჯარა აქვს ზუსტად მიწის დონეზე და იქედანაც ჰაერის ნაცვლად მიწა და მტვერი შემოდის. არ არის პლასტმასის ჩანგალი,

თამაზ ელიზბარაშვილი

კოვზი, დანა, თეფში. არის მხოლოდ 6 პლასტმასის ბინძური, ძველი ჭიქა, ამდენივე პლასტმასის მცირე ზომის ჯამი. არც ხელსაწმენდი, არც ტუალეტის ქაღალდი. საკანში 24 საათი ანთია შუქი და ტუალეტში, რომლის კარებიც ბოლომდე არ იხურება მუდმივად მოჩხრიალებს წყალი.

არც კბილის ჯაგრისი და პასტა, არც პირსახოცი, ერთადერთ ჰიგიენის საშუალება სარეცხი საპონია. არის კიდევ ცოცხი საკნის დასაგველად, მას ასევე სხვა დანიშნულებაც ჰქონდა, თურმე, სამწუხაროდ.

დილით 7 საათზე საკნის „კარმუშკა“, (საკნის მასიურ რკინის კარზე, შუაგულში კიდევ პატარა კარი, საიდანაც ხდება საკვების მიწოდება) იღება და კონტროლიორი თითო პატიმარს თითო პურს აწვდის. ეს პური არის პატიმრის მთელი დღის ნორმა.

ამ წერილში სრულად არ მაქვს დაწერილი, რა ხდებოდა ჩემსა და ჩემ ოჯახის წევრებზე 18 სექტემბრამდე 1 კვირით ადრე, რაც მე შევამჩნიე, იყო თვალთვალი, უკან დაგვყვებოდნენ კუდის მანქანები.

18-ში, ზოდელავას ტელევიზიით გამოსვლის შემდეგ, ჩემთან მოვიდა ჩემი ბიძაშვილის მძახალი, ყოფილი სოდის მალალჩინოსანი და გამომკითხა, თუ რა კავშირი მქონდა ლადო ბედუკაძესთან, სად გავიცანი ვინმე ნუგზარ მაჭარაშვილი და მომცა „მეგობრული“ რჩევა“.

19 სექტემბერს გამთენიისას გლდანის მე-8 საპყრობილედან დაკავებული თანამშრომლები ცალ-ცალკე, სხვადასხვა მანქანებით ე.წ. მოდულის შენობაში გადაჰყავთ. ერთმანეთს დიდ ოთახში ახვედრებენ.

მნიშვნელოვან ფიგურას ელოდებიან.

მოულოდნელად ოთახში **ბაჩანა ახალაია** შემოდის. სათითაოდ ხელს ართმევს და ესალმება ყველას.

— გვერდში უნდა დაგვიდგეთ, ბიჭებო. სამი თვე მოგიწეთ ჩაჯდომა. 333-ე მუხლია. უფლებამოსილების გადამეტება. დიდი არაფერი. ყველას დაგიფასდებათ, გპირდებით.

გამოძიებას შემდგომში ამ „დაპირებისათვის“ არანაირი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია. სამართლებრივად დანაშაულს არ წარმოადგენსო.

ყველაფერ ამის შესახებ მე მოგვიანებით ვიგებ. ახლა კი ბრიუსელის მახლობლად, პატარა ქალაქ ოვერეისში **მერაბ ბლადაძის** სახლში მარტო ვარ. უცნაური ღამე იყო წუხელ. მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. მოუსვენრად ვიყავი, რაღაც უცნაური წინათგრძნობა მიბიძგებდა საქართველოში, სახლში დამერეკა. დავაპირე კიდეც, თუმცა გადავიფიქრე, შეეშინდებათ, აფორიაქდებიან-მეთქი.

გამთენიისას ძლივს მივლულე თვალი.

შუადღის 12 საათზე, მზის მცხუნვარებამ გამაღვიძა. რაღა დროს ვარჯიში და სირბილია. უკვე გვიანია, გავიფიქრე.

„მეგობარი“ ბლადაძე მეოთხე დღე და ღამეა სახლში არ მოსულა. ეს ამბავიც ძალიან მაკვირვებს.

კომპიუტერი ჩავრთე.

„**FACEBOOK**“-ზე აგერ უკვე წელიწადზე მეტია „**Antivirus Kaspersk**“-ის სახელით ვარ დარეგისტრირებული. მეგობრებში ბევრი ცნობადი სახე, პოლიტიკოსი და ჟურნალისტი მყავს. კედელს ვათვალიერებ. ჟურნალისტი დარეჯან მეფარიშვილის პოსტი თავზარდამცემია. უცებ წნევა, ალბათ, 200-ზე ამივარდა, თვალებში ვეღარ ვხედავ. „გამოვლენილია ბედუკაძე-ფურცხვანიძის დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც დანაშაულს ანგარებით სჩადიოდა, იღებდა ინსპირირებულ კადრებს, რომ ის შემდეგ მესამე დამკვეთი პირისთვის გადაეცა. დაკავებულია აღნიშნული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები: ფარულავა, ფურცხვანიძე. ბედუკაძის მიმართ გამოცხადებულია ძებნა. დაკავებულთა „აღიარებითი“ ჩვენებები ვრცელდება: ფურცხვანიძე, მაჭარაშვილი... — იუწყებიან ფეისბუკზე. მეტი აღარც წამიკითხავს, ვერ შევძელი. მოვლენების შემდგომი შესაძლო განვითარება ჩემთვის ისედაც გასაგები და კარგად ნაცნობი იყო.

ვაიმე, ჩემო ცოლ-შვილო! როგორ დაგღუპეთ, გიღალატეთ, მიგატოვეთ ღვთის ანაბარა..— ეს იყო ჩემი პირველი ფიქრი და შემდეგ:

— გვიღალატეს, გაგვყიდეს! ვის სურდა, ვის შეეძლო, ვის აწყობდა ყველაზე მეტად, ვის უნდა ეღალატა, ვის?

რა ადვილი იყო, თურმე, განსაცდელში სხვისთვის რჩევის მიცემა, დარიგება, ნუგეში, იმის თქმა, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რამდენჯერ მინახავს ამგვარ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანი. ვეღარ ვაზროვნებ, ავტომატურად მათემატკურ აზროვნებას ვრთავ, ფაქტების დალაგებაა საჭირო, ანალიზი, ცივი განსჯის უნარი.

პირველი ნაბიჯი: **გიორგი ფოფხაძეს** ვურეკავ. ტელეფონზე დაკავებაა. ახლა **ბლადაძესთან** ვრეკავ.

პასუხობს.

— ეს რა მიქენით, რას მერჩოდით? — ვეუბნები.

— ჩემგან რა გინდა? — იუკადრისა ბლადაძემ.

— ინფორმაციამ გაჟონა, გძინავთ? ფოფხაძეს ვერ ვპოულობ, სასწრაფოდ დამირეკოს. — ვეუბნები მას.

ისევ ფოფხაძესთან ვრეკავ. როგორც იქნა მპასუხობს.

— გიო, დავიღუპეთ, ბიჭები დაიჭირეს, ოჯახს დამიწიოკებენ, სასწრაფოდ „ფეისბუკი“ ჩართე...

ფოფხაძე გაკვირვებული და გაოცებული ხმით მპასუხობს: „არაფერი არ ვიცი, ვნახავ, ეხლავე ვნახავ, გადმოგირეკავ“.

მაშინ არც მიფიქრია, მართალს მეუბნებოდა თუ ტყუილს ფოფხაძე, მაგრამ, ახლა ვხვდები, წარმოუდგენელი იყო, ამის შესახებ არ სცოდნოდა.

დრო ნელა გადიოდა. ყოველი წუთი, წამი საუკუნედ მეჩვენებოდა...

კვლავ ფოფხაძესთან დაკავშირებას ვცდილობ.

თბილისსა და ბრიუსელს შორის სხვაობა სამი საათია. (დრო თბილისისაა)

„**FACEBOOK**“-ით ვწერ:

„17:08 — გიო, აქ ხარ?

17:41 — გიო, აქ ხარ? — პასუხი არაა. — მისმინე, არაა დალოდების დრო, გიო.

17:48 ძლივს პასუხი გამცა: არ ველოდები, ვმუშაობ.

— მივიდნენ ჩემს სახლში უკვე, გიო. რა გავაკეთო, ვიცი მაგათი მეთოდები მე.

17:49 - Popkhadze Georges: დღესვე ეხლავე, ევროპარლამენტარებთან ვარ, ხუთ წუთში, — მწერს ფოფხაძე.

ვცდილობ სახლში დავრეკო, გავარკვიო, რა ხდება. ვერ ვუკავშირდები ვერავის. ტელეფონები გათიშულია. სოციალური ქსელით ვცდილობ დაკავშირებას. მეზობელს ვწერ: „გამირკვიე, გთხოვ, ჩადი ჩვენთან, რაღაც ხდება, გთხოვ“. ამ მომენტამდე არ ვიცი და უკვე აღარც მაინტერესებს, ვინ იყო და ვინ არის გიორგი ლომიას მიერ მოძებნილი „სუფთა ძალა“, რომელიც დახმარებას დაგვპირდა, ეჭვიც მეპარება: ეს მათგანაც ხომ არ მოდის? სასწრაფოდ გადაწყვეტილებების მიღება და მოქმედებაა საჭირო.

შალვა რამიშვილი საკაშვილის წინააღმდეგ მებრძოლი ჟურნალისტია, რუსთავის მე-6 დაწესებულებიდან ვიცნობ, პატივს ვცემ მის ნიჭს, ვინც რა უნდა, ის იფიქროს, უნდა დავუკავშირდე, ჩემთან ოჯახში ტელევიზია მინდა გაგზავნოს, დარწმუნებული ვარ, ზეწოლას ექნებოდა ადგილი, ბავშვებს შემიშინებდნენ....

რამიშვილს ვერ ვპოულობ. საიტზეც არ ჩანს, „**FACEBOOK**“-ით დარეჯან მეფარიშვილს ვწერ და დახმარებას ვთხოვ:

17:35 სთ. UTC+04

Antivirus Kaspersky: დარეჯან, ყველაფერი კონტროლდება, ვიცი, მაინც გწერ, ძალიან გთხოვ, დამეხმარე, შალვა დამაკავშირე, რამიშვილი. დიდ ავანტიურას აქვს ადგილი.

ამ სიტყვებს ვწერ სხვა ჟურნალისტებსაც.

დარეჯანი პირდაპირ ნომერს მწერს: 59954....

Antivirus Kaspersky: მადლობა, თუმცა ვერ ვრეკავ. საიტზეც არაა.

ეხლა გამახსენდა, რომ **Antivirus Kaspersky**-ი არავინ იცის, ვინაა. არც ლადო ბედუკაძეს იცნობს ვინმე.

ხელახლა ვწერ.

Antivirus Kaspersky: დარეჯან, ლადო ვარ, ბედუკაძე, ჩემთან, სახლში პოლიციაა. ძალადობას აქვს ადგილი, პროვოკაციაა, დაურეკე შალვას, ძალიან გთხოვ, მივიდეს, თამაზაშვილიც ტყუილად გარიეს. ვისაც ეძებენ, მე ვარ, ლადო ბედუკაძე.

დარეჯან მეფარიშვილი: დავურეკავ, მაგრამ სად მოვიდნენ?

17:53-**Antivirus Kaspersky:** შსს-ს მიერ საპყრობილეში წამებასთან დაკავშირებული

14 gv.

13 gv.

ჯოჯოხეთის ფილიალი დედამიწაზე, ანუ ქართული აბუ-გრეიბის კოშმარები

გავრცელებული კადრები დადგმულია.

დალაგებულად ვერ ვწერ, აზრებსაც ვერ ვაყალიბებ, ცუდად ვარ...

Antivirus Kaspersky: ალბათ აწამებენ ბიჭებს ეს არაკაცები...

დარეჯან მეფარიშვილი: მეცხრე არხი მოვა ახლა, არ იცოდნენ ეს ამბავი. რაც ეხება რამიშვილს, არ მპასუხობს, ეტყობა, გასულია.

Antivirus Kaspersky: შენი დაპოსტილიდან გავიგე ეს ამბავი, აწამებენ ბიჭებს, ოჯახს დამიწიოკებენ.

კვლავ ერთსა და იმავეს ვწერ დარეჯანს.

დარეჯან მეფარიშვილი: მოვლენ.

* * *

სახლში ვრეკავ. მეუღლე მპასუხობს. დიდება უფალს. ანერვიულებულია, ხმაზე ვატყობ.

— პოლიცია იყო, ჩხრეკა ჩაატარეს, ნივთები წაიღეს, კომპიუტერი, კასეტები. — ცდილობს სიდინჯე შეინარჩუნოს.

— თქვენ როგორ ხართ, ბავშვები. — ვეკითხები მე.

— ახლა არა გვიშავს. ანას შეეშინდა, მანქანაში ვყავდი ბავშვებთან ერთად ჩაკეტილი მთელი ოთხი საათით. ბრძანებას ელოდნენ რაღაც. ცუდად ვარ, ძალიან შეგვეშინდა.

— ტელევიზია მოვა, აუცილებელია ეს. კარები გაუღე, დაელაპარაკე, ეს თავის დაზღვევის ერთადერთი გზაა ახლა, მოუყევი ყველაფერი, პოლიციელებს თუ ზედმეტი არ მოსვლიათ, არ უუხეშიათ, არაფერი არ თქვა, ნუ გავაღიზიანებთ...

დარეჯანი მწერს: შენი ნომერი მომწერე, დაგირეკონ ჟურნალისტებმა

Antivirus Kaspersky: +32475267056

* * *

კვლავ ფოფხაძეს ვურეკავ.

— მაცალე, ადვოკატთან ვცდილობ დაკავშირებას, — მეუბნება ის.

— ბრიფინგი ჩავატაროთ, გიო, დღესვე სასწრაფოდ, — ვეხვეწები ფოფხაძეს.

ამასობაში თბილისიდან მიკავშირდებიან.

— გამარჯობათ, იმედა დარსალია ვარ. თქვენი სკაიპი მომწერეთ, ჩაგწერთ, ძალიან გვინდა ცხრიანის გამოშვებისთვის მოვასწროთ. თქვენს ოჯახშიც ვიყავით, თქვენი მეუღლე ჩავწერეთ.

— ჩემი სკაიპია- Lado323.— ვეუბნები მე.

ინტერვიუს ვწერთ. დღემდე ვერ ვიხსენებ, რა ვისაუბრე, მხოლოდ გავრცელებული ფოტოდან ვიღდგენ, რა მეცვა: კოსტუმი, ჰალსტუხი...

* * *

ამ სახლიდან გამგზავრებას ვგეგმავ. სახლის პატრონიც უკვე ზედმეტად საეჭვოდ მეჩვენება.

პირადი ნივთები ჩავალაგე. ბრიუსელამდე ერთი საათის სავალია ავტობუსით. გვიან ღამით ფოფხაძეს ვხვდები ბრიუსელის ცენტრში. კადრებით აღშფოთებული ქართველი ემიგრანტები სახელდახელოდ შეკრებილან.

მივედი.

„აგერ პალაჩაც მოვიდაა“, — ასე თქვა შენზე „ფოფხამ,“- მეუბნება საიდუმლოდ შემდგომ **გიორგი ლაფანაშვილი,** ემიგრანტი, რომლის სახლშიც შემდეგ 2 კვირა დავყავი.

2012 წლის 19 სექტემბერის საღამოს ბრიუსელის ცენტრში ჟურნალისტი, ქალბატონი **ირმა ინაშვილი,** ჩემი მასპინძლები, ბატონები: **ფოფხაძე** და **ბლადაძე** ვიდეო-მიმართვას წერენ ქართული მედიისთვის, რომლის შესახებაც მე მოგვიანებით ვგებულობ.

აი, რას აცხადებს ბრიფინგზე ჟურნალისტი **ირმა ინაშვილი**: ***„მოგესალმებით, დღეს არის 19 სექტემბერი, ბრიუსელის დროით ზუსტად 6 საათია, მე მინდა გავაკეთო მოკლე განცხადება და მოგაწოდოთ დამატებით ინფორმაცია იმ პროცესებთან დაკავშირებით, რაც საქართველოში ვითარდება და კონკრეტულად, გავრცელებულ ვიდეო-მასალასთან დაკავშირებით, დღეს უკვე შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ეს მასალები არის პირადად ჩემი მოპოვებული. მე გეტყვით, როგორ დაიწყო ეს ისტორია. ისტორია დაიწყო მაისის თვეში, როდესაც მე დამიკავშირდნენ ვანო მერაბიშვილის სახელით და მოვაწოდეს ეს ვიდეო, შემზარავი ვიდეო-კადრები, რაც თქვენ ყველამ ერთად ნახეთ.“***

აღნიშნულ ფაქტს ქალბატონი ირმა მალევე უარყოფს და იტყვის, რომ „მოიტყუა“ მერაბიშვილთან დაკავშირებით.

„ამის შემდეგ მე ასევე გავიგე, რომ არის ადამიანი, რომელმაც გადაიღო ეს ვიდეო-მასალა და შემატყობინეს, რომ ამ ადამიანს თურმე დაუტოვებია საქართველოს საზღვრები დაახლოებით იმავე პერიოდში. თავისთავად საინტერესოა ფაქტი, როგორ მოახერხა ამ მასალის გადამღებმა საქართველოს საზღვრის დატოვება და მე ჩავთვალე, რომ ეს სულაც არ მოხდა შემთხვევით და იყო ძალოვანების გარკვეული შტოის მხრიდან მხარდაჭერა“, — აგრძელებს ინაშვილი ვიდეო-მიმართვაში და გვერდით ბლადაძე და **ფოფხაძე** უდგანან, ადამიანები, რომლებმაც შესანიშნავად იციან ჩემი მდგომარეობის და იმის შესახებ, რომ მე არავითარი ძალოვნები არ მიჭერდნენ მხარს.

„და მე ჩავთვალე, რომ ეს სულაც არ მოხდა შემთხვევით“, — ამბობს ქალბატონი ირმა და მე მიჩნდება კითხვა: რატომ „ჩაქთვალა“ ქალბატონმა ინაშვილმა, რომ მე ძალოვნებთან ვიქნებოდი დაკავშირებული?

ბრიფინგიდან. ბრიუსელი, 19 სექტემბერი

ირმა ინაშვილის ბრიფინგიდან: **„საინტერესოა ის, რომ თქვენ ნახეთ მხოლოდ ფრაგმენტი ამ ვრცელი ვიდეო- მასალიდან, დაახლოებით 10 წუთის მასალა, მე კი ახლა შემიძლია გაჩვენოთ თქვენ, ხელში მიკავია ეს ჩიპი, სადაც არის საათნახევრიანი მასალა და პირდაპირ გეტყვით, რომ ეს მასალები დაეგზავნა ყველა ევროსტრუქტურის წარმომადგენელს, ყველა პირველ პირს ევროსტრუქტურებისას, დღეს უკვე უდევს მაგიდაზე ეს კადრები, მაწვდიან ინფორმაციას მე-9 არხთან დაკავშირებით და „მაესტროსთან“ დაკავშირებით, თითქოსდა ხელისუფლება გარკვეულ სპეცოპერაციას გეგმავს და ამზადებს შურისძიებას. მე ხელისუფლებას მინდა მივმართო: არც „მაესტროა“ შუაში და არც მე-9 არხი, პირადად ჩემ, ჟურნალისტ ირმა ინაშვილის, მოპოვებულია ეს მასალა. ერთ მომენტზეც გავამახვილებ ყურადღებას — ხელისუფლებამ, რაღაცნაირად გაჟონა ინფორმაციამ, და შეიტყო, რომ ჩვენ 20 სექტემბრისთვის ბრიფინგს ვამზადებდით ბრიუსელში და თითქოსდა გადაფარა ეს ბრიფინგი და მანამდე დაიწყო ამ თემაზე საუბარი, ჩვენ გვაქვს ასევე ინფორმაცია, საიდან მოხდა ამისი გაჟონვა და მომავალში ეს იმდენად რეზონანსული საქმეა, რომ ყველა გვარი დასახელდება და ყველაფერ ამაზე ღიად ვისაუბრებთ.“**

ინფორმაციის გაჟონვა, „იმდენად რეზონანსული საქმე“, სადაც „ყველა გვარი დასახელდება და ყველაფერ ამაზე ღიად ვისაუბრებთ“, დღემდე არ ჩანს....

2012 წლის 20 სექტემბერს, ხუთშაბათს, 19:07-ზე ირმა ინაშვილის „საგანგებო“, ახალი განცხადება ვრცელდება:

„ბოლო ორი დღის განმავლობაში სხვადასხვა ადამიანები და, რაც უფრო გასაკვირია, ჟურნალისტები მეკითხებიან,- რატომ არ გამოვაქვეყნე ჩემს ხელთ არსებული ვიდეო-მასალა უფრო ადრე: ივნისში, ივლისსა, თუ აგვისტოში. ამ კითხვას არაერთგზის ვუპასუხე, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია, კიდევ ერთხელ გავაკეთო შესაბამისი განმარტება. ვიდეო-კადრები მე ივნისის დასაწყისში მოვიპოვე“, — ამბობს ის, ანუ იმ დროს ასახელებს, როცა მე ყველა მტკიცებულება ლომიას გადავეცი.

თუმცა აქ ერთი პატარა შეუსაბამობაა: სხვადასხვა დროს ქალბატონი ინაშვილი სხვადასხვა რამეს აცხადებს. ერთგან ამბობს, რომ კადრები მას უკვე მაისის თქვეში გააჩნდა „მომიტანეს და მითხრეს: თქვენ შეგწევთ ძალა და იმოქმედეთ!“

ირმა ინაშვილი: ***„ცხადია, ჯერ უნდა დავრწმუნებულიყავი, რომ ეს კადრები არა იმიტირებული, არამედ ნამდვილი იყო.“***

— არც ქალბატონი ინაშვილი და სასამართლო გამოძიება მერეც კი არ დაინტერესებულა და არ მოუნდომებია „არ დარწმუნებულა“, იმ მასალის ავთენტურობა დაედასტურებინა, რომელიც ქალბატონ ინაშვილს „აპრილში, მაისსა თუ ივნისში“ გააჩნდა.

მაგრამ მივყვეთ მის განცხადებებს.

ირმა ინაშვილი: ***„უნდა მომეძებნა სანდო ადამიანი, რომელიც არც პოლიტიკასთან და არც „ობიექტივთან“ კავშირში არ იყო. მაგალითად, მეცნიერი, რომელიც დიდი ხნის წინ დაგეგმილ სამეცნიერო კონფერენციაზე მიემგზავრებოდა. ასეთი კაცის მოძებნას გარკვეული დრო დასჭირდა. ალბათ, გესმით, რომ ორ დღეში ეს ვერ მოხერხდა. მოხერხდა ორ კვირაში, მაგრამ ეს კაცი მიდიოდა არა ბრიუსელში, არამედ სულ სხვა, შორეულ ქვეყანაში, სადაც ვიდეომასალა ჩაიტანა.“***

როგორც ჩანს, „მეცნიერმა“ ვიდეოკადრები „ჩაიტანა“, თუმცა, დღემდე არ მოგვეცა საშუალება, მადლობა გვეთქვა ადამიანისთვის, რომელიც სულ სხვა, „შორეულ ქვეყანაში“ მიდიოდა, მაგრამ „მოახერხა“ და აღნიშნული კადრები დანიშნულების ადგილას მიიტანა, ანუ ის მეცნიერი უკვალოდ გაქრა...

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს ფინანსთა მინისტრს — ნოდარ ხადურს

ასლი პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს — დავით ონოფრიშვილს

თქვენს მიერ მოტყუებულ და იმედგაცრუებულ 80 წელს გადაცილებულ მეანაბრეთა ერთი ჯგუფის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო ხელისუფალნო! გასული წლის 21 მარტის № 42069 განცხადებაზე ფინანსთა მინისტრმა ხადურმა გვაცნობა, რომ საშინაო ვალის გადასაჭრელად შექმნილია საქართველოს სახელმწიფო კომისია, რომელიც ვალის ანაზღაურების მექანიზმს წარუდგენს საქართველოს მთავრობასა და პარ-

ლამენტს, მათგან სათანადო დადგენილებამდე ვალების გაცემას ვერ განვახორციელებთო და 16 თვის განმავლობაში სამჯერ ერთი და იგივე დაშტამპული წერილი გამოგვიგზავნა. როგორც მისი ამ საქციელიდან ჩანს, მას თავმოყვარეობა არა ჰქონია, რადგან კომპიუტერში ჩადებულ ერთსა და იგივე ყალბ პასუხს გვიგზავნის და გვიგზავნის. თუ მართალია და წელიწდნახევრის განმავლობაში ვერ მოახერხა მასალების ხელისუფლებაში წარდგენა, მაშინ რად გვინდა ისეთი უნიათო მინისტრი, რომელიც საკითხს სამ თვეში კი არა, 16 თვეშიც ვერ წარუდგენს ხელისუფლებას დასამტკიცებლად?! რომელიც 80 წელს გადაცილებულ თავის მოქალაქეებს მხოლოდ ტყუილებით კვებავს?

ანაბრების მთხოვნელი 80 წელს გადაცილებული მოხუცები, ჩვენ ხომ ისეთი ხალხი ვართ, რომლებიც კაბინეტებში ჯდომით, შარვლების საჯდომების ცვეთით კი არ ვიღებდით 6 და 7-ათასიან ხელფასებს, პლუს 15-20-ათასიან პრემიებს და მათ თქვენსავით რესტორნებში დროის სატარებლად კი არ ვხარჯავდით, არამედ, ძირითადად, მძიმე მრეწველობებში დღედაღამ 200-300 მანეთზე ვმუშაობდით (მძიმე მრეწველობებში სამუშაოები ძირითადად ორ-სამცვლიანი იყო), იქიდან მიღებული ფულით ბევრ რამეს ვიკლებდით, კაპიკს კაპიკზე ვადებდით, ჩვენ იმ ფულებს სიბერისთვის და დასამარხად სახელმწიფო ბანკში ვინახავდით.

ნაცვლად იმისა, რომ ოთხმოც წელს გადაცილებულ, დამაშვრალ-დამსახურებული, ღვაწლმოსილი მოხუცებისთვის ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდებს, ხელისუფლებას ჩვენი ოფლით შეძენილი თანხები დაგებრუნებინათ, წამლის ფული მაინც რომ გვქონოდა და სიცოცხლე გაგვეგრძელებინა, თქვენც მიშას გზით წახვედით და ცდილობთ, ჩვენი ნაოფლარი ფულიც კი არ დაგვიბრუნოთ, რომ უპუროდ და უწამლოდ, რაც შეიძლება მალე ამოვწყდეთ! ოღონდ თქვენს 20 და 30-ათასიან არმად მისაღებ პრემიებს არაფერი შეეხოს. ამას ეძახით თქვენ ერისშვილობას და დემოკრატიას?! თქვენ ხალხის შექმნილი ბიუჯეტიდან ათასებს რესტორნებში დროის სატარებლად ფანტავთ და ჩვენი ოფლით შექმნილი და შეძენილი ფულის იმ მეთორმეტედ ნაწილსაც არ გვაძლევთ, რაც შევარდნაძის პარლამენტმა მიიღო! წამლები მაინც რომ ვიყიდოთ. ეს ხომ სავალალო კი არა, სატირალია!

ამ მოხუცი ხალხის დიდი ნაწილი ზამთრობით ნახევრად ლოგინებში ვწევართ, რადგან ღუმელები მთელი დღე რომ ჩავრთოთ და ნორმალურად გავთბეთ, თქვენს მიერ მოგდებული მათხოვრული პენსიები მარტო გაზის გადასახადსაც არ ეყოფა, დანარჩენი კომუნალური ხარჯები როგორღა გადავიხადოთ?! არ გადავიხდით და თქვენი ფულით გაუმაძღარი კაპიტალისტები მეორე დღესვე გამოგვირთავენ. ამიტომ ჩვენ ღუმელებს მარტო ჩაის და წვნიანის გასაკეთებლად ვიყენებთ.

რა თქმა უნდა, ჩვენს გასაჭირს ვერ გაიგებთ, ვინაიდან თქვენი მშობლები ჩვენი ყოფისგან ძალიან შორს არიან. თავის გასამართლებლად, ალბათ, თქვენც ერთ მიშასდროინდელ გაცვეთილ ფრაზას გვესვრით: რა ვუყოთ, საქართველო ძალიან ღარიბი ქვეყანაა და ამიტომ ვერც თქვენს ანაბრებს გიბრუნებთ და პენსიებსაც იმიტომ მეტს ვერ გაძლევთო. თუ ღარიბია, ჩვენთან შედარებით 40-ჯერ და 50-ჯერ მეტ ხელფასებს რატომ იღებთ?! აღარ ვლაპარაკონ თქვენს 30-ათასიან პრემიებზე! რომელთა მიმატებით ჩვენთან შედარებით 200-ჯერ მეტს რომ იღებთ! თუ ღარიბია, თქვენც დაინიშნეთ 150 ლარები, რომ ხალხს გაუგოთ და მათზე იფიქროთ. ჩვენს მაგიერ პასუხს მაღალი ღმერთი მოგთხოვთ! თქვენც და თქვენს შვილებსაც, ეს ხომ ბიბლიაში შავით თეთრზე წერია და ჩვენი მოგონილი არ არის! თქვენ თუ ქრისტიანები ხართ ქრისტიანულად რატომ არ იქცევით?

ომის წლებში, ინგლისში ცხოვრება რომ ჭირდა, მაშინ ინგლისის დედოფლის საკვამურიდან ბოლი არ ამოდიოდა, რადგან ის მოსახლეობას ანგარიშს უწევდა. თქვენს ქვეყანაში კი, აღარ ვლაპარაკობ ჩვენი ასაკის მოხუცებზე, 77 ათასი ბავშვიც კი, ჩვენი მომავალი თაობა, შიმშილით იხოცება, იხილეთ „იუნისეფის“ მკვლევარების დასკვნა. ამ დროს ზოგი თქვენგანი 100 ათასებს მარტო პრემიების სახით იღებთ!

მინისტრო ხადურ! ის 131 მილიონი, რომელიც შენი სამინისტროდან გავიდა და ყოვლად დაუმსახურებლად, პრემიების სახით რომ გაიცა, იმ 131 მილიონით, ნახევარზე მეტ მეანაბრეებს ხომ გაისტუმრებდი! თქვენ როდესაც ხელისუფლებაში მოხვედით, სააკაშვილმა მთელი საქართველოს გასაგონად განაცხადა: ეგ რომ კარგი კაცი ყოფილიყო, სამუშაოდან ხომ არ გავაგდებდიო, რაც ძალიან არ მესიამოვნა, მაგრამ ახლა რომ ვუკვირდები, ის მართალი ყოფილა.

პრემიები ე. წ. წამახალისებელი ფულადი თანხები, ჩვენსობასაც იყო, რომლის მაქსიმსლური სიდიდე, ხელფასის 40%-ს არ აღემატებოდა. ესეც იმ შემთხვევაში ეძლეოდა, როდესაც საწარმო გეგმას გადაჭარბებით შეასრულებ-

და. მაგალითად, გეგმიური 15 ელმავლის ნაცვლად 17 ელმავალს გამოუშვებდა ქარხანა და თანაც ყველა გეგმიურ ძირითად და დამხმარე მასალის ხარჯვაშიც ეკონომია თუ იქნებოდა. მაგალითად, ყოველი ელმავლის გამოშვებაზე 200 ტონაზე მეტ შავ ლითონს, 60 ტონაზე მეტ ფერად ლითონს, 100 მეგავატზე მეტ ელექტროენერგიას, 600 კუბომეტრზე მეტ გაზს, 500 კუბომეტრზე მეტ წყალს, გარკვეული რაოდენობის საცხებ-საპოხ მასალებს და ა.შ. თუ არ დავხარჯავდით, მაშინ გვაძლევდა სამინისტრო პრემიას. თუ რომელიმე ამ მაჩვენებელში გადახარჯვა იქნებოდა, არავითარი პრემია არ გვეძლეოდა.

ახლა გვითხარით, თქვენ რაში იღებთ ხუთმაგ და ათმაგ პრემიებს?! თქვენ პრემიებს კი არ იღებთ, არამედ ღარიბ ქვეყანას ღლეტთ და აპარტახებთ!

მეანაბრეების წიგნაკების ნომრები: 6494, 038325, 100495, 6492, 109510, 41256, 26631, 33575, 07100371, 32063, 88236, 40186, 0753020.

აღნიშნულ მეანაბრეთა სახელით
ავთანდილ ჟურხული
გურამიშვილის გამზ., სახლი 12-ა, კორპ. 2, ბ. 34.
ტელ.: 593 36 00 15.

ყვავების ფარშევანგის ფრთებით

საგანმანათლებლო პასკვინადა

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ვეცდები, მოვერიდო ავტორიტეტული ტონით საუბარს, სიტყვები თუ ფრაზები სასაუბრო თემის შესაფერისად შევარჩიო, მაგრამ არც ის კმარა, მხოლოდ განაცხადო, რომ ყოველგვარ მანკიერებას იწვევს მსუნაგობა და ვერცხლისმოყვარეობა. როცა აცხადებენ, კერძო სასწავლებლების მესვეურები მომხმარებლური ფსიქოლოგიის დიდ გავლენას განიცდიანო, საკამათო არ არის, მაგრამ ცოტა გაუგებარია ის მდგომარეობა, როდესაც საჭიროებისამებრ ნიანგად გარდასახულნი ცრემლებს ღვრიან მხოლოდ იმისთვის, რომ გული აუჩუყონ მას, ვისაც იქვე გადასანსლავენ და აჰა, იწყება კიდეც სინდისისა თუ პასუხისმგებლობის გამოცდა და ამაზე საქმის მოჭირნახულე ამბობს: „რექტორები არ იღვწიან მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის.

არც ამ უკანასკნელთ ესმით მათგან თავიანთი წუხილისა თუ სურვილის გამოძახილი. ვერც იმ სინათლის სხივს ხედავენ, რომელიც შეიძლება გამოქვაბულის ბოლოდან მართლაც მოჩანდეს“.

„კრიტიკოსები ცილს გვწამებენ და აჭარბებენ“, — თავს იმართლებენ კომერციული სასწავლებლების მოსაგრეთა თანამზრახველები. მათ მხარს უბამენ ამგვარი უნივერსიტეტებისა და კოლეჯების კურსდამთავრებულნიც შემდეგი მოტივით — „გუგული ქებას ასხამს მამალს იმის გამო, რომ ის გუნდრუკს უკმევს გუგულს“. რწყილზე ნალის დამჭედებელ კვაზიმეცნიერებს არ უნახავთ, ალბათ, არც თუ დიდი ხნის წინ, ყალბი დიპლომების გაყიდვის ბრალდებით, სამართალდამცველების მიერ გაბაწრული თუ მასმედიით გამოჭენებული ზუგდიდის საზოგადოებრივი კოლეჯი „გამას“ დირექტორი გიორგი ფარულავა და კომერციული სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ფატი შენგელია. ამ სტატიის ავტორს, პირადად, ასეთი „ფარშევანგისფრთებიანი ყვავების“ ხილვისას ინგლისელი პოეტის ტედ ჰიუზის ეს სტროფები გაახსენდა:

„ცხელი, მხურვალე სისხლი
აქვთ ღორებს,
მათი ნაკბენი ხომ ცხენისაზე
უფრო მწვავეა — ისინი ლიბოს,
ნაცარს და კატის მძორსაც კი ჭამენ.

მე ყველაფერი ეს ჩამოვთვალე,
დიდხანს ვუცქერდი. მალე მდუღარით
გაფუფქავდნენ და დანით გაფხეკდნენ,
როგორც საფეხურს სახლის კიბეზე“.

ხშირ შემთხვევაში, დღესაც, დაუსაქმებელნი არიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა თუ ევრიატლანტიკური სივრცის სხვადასხვა სასწავლებლების დიპლომირებულები. საეჭვო რეპუტაციის კომერციული სასწავლებლის კურსდამთავრებულს კი ნებისმიერი საკვანძო თანამდებობაზე აღმოაჩენს ადამიანი. „მაგათზე ნაკლები რითი ვართ, — იმოძღვრებიან ჩაის ფაბრიკის საამქროებში, რაიმილიციის კაზემატებსა და სპეცკომენდატურის დილეგებთან დაფუძნებული „უმაღლესების“ კურსდამთავრებულნი.

უფრო გასაგებად რომ ჩავწვდეთ სტატიის შინაარსს, გავყვეთ, გარკვეულწილად, პრობლემათა მოგვარების ფორმულირების გზას. აქ ზაუმური იდეებითა და ბურახის პატრიოტიზმით ადამიანი ფონს ვერ გავა. რა თქმა უნდა, კომერციული სასწავლებლების უმეტესობა ვერ ასრულებს ცოდნისა და კვლევა-ძიებების მასტიმულირებელი კატალიზატორის სასიკეთო როლს. ცოდნისა და კვლევა-ძიებების ადგილი ჩვენში უჭირავს უნიათო, დუნე ეკლექტიზმს, რომელიც მოკლებულია მეცნიერულ საბუთიანობას და სიზუსტეს. დადებითი ამოცანები, რომელთა ხორცშესხმა იკისრეს კერძო უმაღლესმა სასწავლებლებმა — ცოდნის მიცემა, მისი სრულყოფა, საკაცობრიო ღირებულებების წვდომა, შეუსრულებელი დარჩა და აქტუალობას უკვე ვერ ინარჩუნებს. ამ ტიპის სასწავლებელთა მესვეურების მთავარ მიზნად ბანალურობა და დევალვირებულობა წარმოჩინდა. ამგვარად, ცოდნის დაფუძნება, ფაქტობრივად, არ მოხდა, რადგან ამ „უმაღლესებში“ მეცნიერულ ცნობიერებას სისტემური ხასიათი არ ჰქონდა.

სასურველია, რომ გაქვავებული, დოგმატურ-სქოლასტიკური მიდგომა შეიცვალოს ახლებური თვალთახედვით, რომელიც დაიკავებს სამეცნიერო-საგანმანათლებლო სისტემის რეანიმატორის ადგილს. სათანადო ამპლიფიკაციებმა განათლებისა და მეცნიერების პარადიგმატული საყრდენის განმტკიცებას უნდა შეუწყოს ხელი. მანამდე კი, სახელგატეხილი კერძო სასწავლებლების გარკვეული ნაწილის გაუქმება და მათი დიპლომების დეზავუირება გარემოცემულობების წესრიგს ერთგვარად დააბალანსებს, რაც შემდგომი სასარგებლო ცვლილებების ლეგიტიმაციასაც გაამყარებს.

ნუგზარ გულორდავა,
ASCP აკადემიკოსი

რატომ არის ჯანმრთელობისთვის საშიში ქართულ ბაზარზე არსებული კოსმეტიკა?

ოთარ წიწილაშვილი

ბევრ კოსმეტიკაზე ნახეთ წარწერა — რამდენი ფირმა თუ კომპანია მოიხმარს ამ კომპონენტებს — ეს დანაშაული არ არის? ვინმე აგებს ამაზე პასუხს? ჩაატარეს თუ არა კვლევა, რამდენად კანცეროგენულია ზოგიერთი მათგანი? რატომ არ ხდება ამის ღიად დაფიქსირება, ვინ ბლოკავს ამ საკითხებს? რა თქმა უნდა, კოსმეტიკური ფირმები და მათი მფარველები მსოფლიო ბაზარზე. ეს ხომ დანაშაულია ისეთივე, როგორც გენმოდიფიცირებული სურსათის შემთხვევა და იქნებ უფრო უარეს შედეგსაც მოიტანს მომავალში, ვიდრე საკვები პროდუქტი?

ქალბატონები ხშირად აღნიშნავენ, რომ ესა თუ ის ნელსაცხებელი არ მოუხდათ, კანი უფრო ფორებიანი გახდა ან ნოჭები არ გაიშალა, რატომ? იმიტომ, რომ ასეთი მალამოების ხმარების შემდეგ სახის კანის ქსოვილური სუნთქვითი ფუნქცია ფერხდება, ზემოთჩამოთვლილი ინგრედიენტები იწვევენ ამ უკანასკნელის გაღიზიანებას და, ხშირ შემთხვევაში, დასაბამს აძლევენ ახალწარმონაქმნი

ნი არანაირ კლინიკურ ანუ ლაბორატორიულ შემოწმებას არ გადიან მწარმოებელ ქვეყანაში. თორემ ეტიკეტზე არსებული ინგრედიენტები რომ მავნებელია, ეს მეცნიერთათვის ცნობილია, ამაზე რას იტყოდით?

— არასაიმედო და მავნე კოსმეტიკიდან, რომელიც დღეს ჩვენში ასე მრავლად იყიდება, შემიძლია გამოვყო სახის მალამოები. ფრანგები აღნიშნავენ, რომ მათი ფუძე, რაზედაც ისინი ამ ნელსაცხებლებს ამზადებენ, ყველასთვის ერთია. კერძოდ, ეს გახლავთ ზეითუნის ზეთი, ფუტკრის სანთელი და სპერმაცეტი. ამ მასალის გადაზელვით ახდენენ მის ჰაერშერეულ მდგომარეობაში გადაყვანას, რაშიც დამამზადებლები იყენებენ გამოხდილ წყალს.

ხშირ შემთხვევაში, იმის ნაცვლად, რომ სახის კანს მისცემოდა შესაძლებლობა, უკეთესი იერი ჰქონოდა, პირიქით ხდებოდა. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ სახის კანში შეჰქონდათ ისეთი ნივთიერებები, როგორიც არის ქოლესტერინი ან იზოქოლესტერინი, ლანოლინი, რომელიც არის სახეზე თმის ზრდის მაპროვოცირებელი საშუალება, ასევე ამ თვისებების მქონე კაკაოს ზეთი და, აქედან გამომდინარე, პროდუქცია ნაკლებშედეგიანი იყო.

თუ გავშიფრავთ, შეიძლება ითქვას, რომ ეს გახლავთ დანაშაული, რადგანაც დაუშვებელია კოსმეტოლოგიაში ისეთი ინგრედიენტების გამოყენება, როგორიც არის: **ბორაქსი, — თუთიის ზეჟანგი, ლანოლინი, სხვადასხვა ვიტამინები. გადით ბაზარზე და**

ბის დაწყებას, სიმსივნეს.

ფერუმარილის დამზადების ტექნოლოგიაში ცინკის ოქსიდანტი, ასევე ვერცხლისწყალი, აზოტმჟავა, ხელოვნურად ახდენენ სახის კანზე ზოგჯერ მიმაკვდინებელ გავლენას.

ვის შეუძლია დაამზადოს უნივერსალური, დადებითი ზემოქმედების მქონე ნელსაცხებელი? იმას, ვინც კარგად იცის ქიმია ანუ თუ იცი ამ ნივთიერებათა უარყოფითი ზემოქმედება უჯრედზე და საერთოდ კანზე, შესაძლებლობა გეძლევა, უარი თქვა ასეთი ინგრედიენტების გამოყენებაზე.

— რა არის გამოსავალი?

— ხშირ შემთხვევაში კოსმეტიკური მასალის დამზადება ხდება რძის პროდუქტებზე (ნაღები, არაჟანი, რძე, მაწონი), როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, ისინი თუ ძვირფას საკვებ პროდუქტად ითვლებიან და ასეც არის, კანზე მათი შეტანა პირიქით მოქმედებს. რაც ძირითადად ხელის შემწყობი ფაქტორია კანის დაბერებისა.

მკვლევარები ამბობენ, რომ ცილა ორგანიზმისთვის აუცილებელი, საჭირო ნივთიერებაა, მხოლოდდამხოლოდ მათი საკვებად მიღების სახით, საჭმლის მომნელებელი სისტემის გზით, მონელების ანუ ჰიდროლიზის შემდეგ, როცა ისინი უფრო მარტივ კომპონენტებად იშლებიან. მაგრამ თუ, მაგალითად, კვერცხის ცილას შევიტანთ სისხლში არტერიული გზით — სისხლის მიმოქცევა გაჩერდება და ორგანიზმი დაიღუპება.

ასე აგვარებს ორგანიზმი თავად და ხშირ შემთხვევაში მისთვის საჭირო ნივთიერებების აუცილებელ მიღებას ბუნებრივი გზით. ამიტომ დაუშვებელია ბევრი იმ ნივთიერების მიღება არაბუნებრივად, რადგანაც მან შეიძლება დამღუპველად იმოქმედოს ორგანიზმზე.

პირადად მე, როგორც მეცნიერი ამ მიმართულებით დაუშვებლად ვთვლი, გამოყენებულ იქნას სპერმაცეტი კოსმეტიკაში, აღნიშნული ინგრედიენტი ჩემს მიერ შექმნილ სახის მოვლის საშუალებებში შევცვალე დეკეულის ბარძაყის ძვლის ტვინით, რომელიც სპეციალური საშუალებებით იწმინდება, რადგანაც ისიც შეიცავს არასასურველ ნივთიერებებს და ვიყენებთ მხოლოდ მის სასარგებლო კომპონენტებს — ის არის უნიკალური საშუალება, **სპერმაცეტის შემცველი უსაფრთხო კომპონენტი კოსმეტიკაში.** მთავარი მასში გახლავთ ის, რომ მისი მიღებისა და დამუშავების პროცესი არის მეტად რთული და საჭიროებს გარკვეულ ცოდნას.

ამ მხრივ უნიკალური მალამო „ოთომალი“.

საერთოდ, დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს სურნელოვანი ინგრედიენტების დამატება ნელსაცხებლებში, მათ ხშირად კანცეროგენული ეფექტი აქვთ და საშიშია ჯანმრთელობისთვის. ამიტომ მეტად ყურადღებამისაქცევია დღეს ჩვენს ბაზარზე არსებული კოსმეტიკის შეძენა, რათა სხეული გალამაზების ნაცვლად ისე არ დავაზიანოთ, რომ ჯანმრთელობისთვის პრობლემები არ შეგვექმნას.

P.S. აგვისტოდან, კანონის მიხედვით, კანონის დამრღვევი სასურსათო პროდუქციის არამარკირების გამო ისჯება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წესით, ეს არის 500-ლარიანი ჯარიმა, შემდეგ არის პროდუქციის ამოღება და მარკირების მოთხოვნა. სხვა შემთხვევაში ის ვეღარ შევა სავაჭრო ობიექტებში.

თუ სურსათის შემადგენლობაში შედის ერთი, ორი ან მეტი ინგრედიენტი, რომელთაგან ერთ-ერთი გენმოდიფიცირებულია, მაშინ წარწერა — „გმო“ — უნდა განთავსდეს შემადგენლობაში ინგრედიენტთა ჩამონათვალში გენმოდიფიცირებული ინგრედიენტის გასწვრივ, ასევე ექვემდებარება სავალდებულო აღნიშვნას ეტიკეტზე ნედლეულის წარმოშობის ქვეყნის მიერ წარმოდგენილი დეკლარაციის შესაბამისად.

„გმო“-ს შემცველი მცირე ზომის დაფასოებულ სურსათზე, რომლის ზედაპირი 10 სმ-ზე ნაკლებია, აუცილებელია განთავსდეს ინფორმაცია „გმო“-ს არსებობის შესახებ.

სასურსათო პროდუქტების პრობლემის გადაწყვეტა მართლაც მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, რადგანაც იმპორტის რაოდენობის წილი ქვეყნის ბაზარზე ძალზე დიდია, თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამავე ბაზარზე გაურკვეველი და ჯანმრთელობისთვის საშიში კოსმეტიკა სერიოზულ კვლევას საჭიროებს.

ემილერ კასრელიშვილი
599 110 200

საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით პროფესორ ოთარ წიწილაშვილს.

— ბატონო ოთარ, რამდენად სარისკოა ქვეყნის ბაზარზე არსებული პარფიუმერია ადამიანის ჯანმრთელობისთვის, მათი იაფი ფასი გვაფიქრებინებს, რომ ისი-

„და ნაკვალევს წვიმა შლის“ და თბილისში კვალს ტოვებს

უფროსი თაობის კინოს მოყვარულებს, ალბათ, კარგად ახსოვთ ცნობილი ფილმი, რომლის დასახელება სათაურში გამოვიტანეთ. თუმცა ახლა ფილმის შესახებ არ გვექნება საუბარი. სამწუხაროდ, ჩვენს დედაქალაქში ეკოლოგიური თვალსაზრისით საქმე ცუდად არის.

წვიმის მოსვლა, განსაკუთრებით ზაფხულში, წლების წინ ხალხს უხაროდა, ჰაერს გაასუფთავებსო. თუმცა „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდში, როდესაც მათ ასფალტი დააგეს ქუჩებში, მაგრამ სანიაღვრე კოლექტორები გააუქმეს, ხალხს სიხარული შიშით შეეცვალა – არავინ იცოდა მოვარდნილი წყალი ვის სახლში შევარდებოდა. ახლა ჩამოთვლა, თუ რომელი უბნები და რამდენი მოქალაქე დააზარალა წვიმამ, უაზროა, რადგან მოსახლეობას ყოველივე კარგად ახსოვთ.

ბოლო დროს მოსახლეობა შეამჩნევდა, რომ ყოველი წვიმის შემდეგ მანქანების სახურავებზე ჭუჭყი და ტალახია. გამოდის, რომ დედაქალაქში ატმოსფერო დაბინძურებულია, თორემ როგორ შეიძლება ავტომანქანა, რომელიც ღია ცის ქვეშ დგას, გატალახიანდეს? თუმცა საამისოდ უამრავი მიზეზია.

დავიწყოთ იმით, რომ დედაქალაქის ქუჩები სათანადოდ, ან ზოგჯერ საერთოდ არ სუფთავდება. თბილისის მერიის ყოფილი მესვეურები მიზეზად უსახსრობას ასახელებდნენ. თუმცა დასუფთავების გადასახადი მოსახლეობისთვის საკმაოდ მაღალია და სულზე დღეს 2,5 ლარს შეადგენს. არაფერს ვამბობთ წარმოება-დაწესებულებებზე, რომლებიც უფრო ძვირს იხდიან ნაგავში. მიზეზად იმის დასახელება, რომ მოსახლეობა არ იხდისო, მტკნარი სიცრუე იქნება, რადგან გადაუხდელობის კი არა, დაგვიანების შემთხვევაში, მოსახლეობას შუქს უთიშავენ. ალბათ, დიდი მათემატიკოსობა საჭირო არ არის, რომ გამოვითვალოთ, საკმარისია თუ არა მოსახლეობის მიერ გადახდილი თანხა დედაქალაქის დასასუფთავებლად.

როგორც დასუფთავების თანამშრომლებმა, მეეზოვეებმა გვითხრეს, მათი ხელფასი 150-200 ლარის ფარგლებში აქვთ, ხოლო დასუფთავების სპეცმანქანებზე მომუშავეები 450 ლარამდე იღებენ. სამაგიეროდ, „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერი მომღერლები თუ მსახიობები, რომლებიც ფორმალურად იყვნენ გაფორმებულნი დასუფთავების სამსახურში ზოგი ალპინისტ-დამლაგებლად და ზოგი რად, თბილისის მერიის ბიუჯეტიდან სოლიდურ თანხებს იღებდნენ ხელფასის სახით. ამ ლოგიკით დედაქალაქის მოსახლეობა თავიანთი გადასახადებით მუქთახორებს ინახავდა და რა ბიუჯეტი ეყოფოდა მათ „ხელფასებს“?

ყველა ქალაქში, განსაკუთრებით ევროპაში მიღებულია ქუჩების მორწყვა. მსგავსი პრაქტიკა ჩვენთანაც იყო, მხოლოდ შორეულ წარსულში. გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, რამდენი ხანია, თბილისის ქუჩები წყლით არ დასუფთავებულა, თუ წვიმას არ ჩავთვლით. პირადად მე დიდი ხანია სარწყავი მანქანები თბილისის ქუჩებში არ მინახავს. მერიის ყოფილი თანამშრომლები არასაკმარის სატრანსპორტო საშუალებაზეც საუბრობდნენ, მაგრამ ვინც ერთხელ მაინც ყოფილა დედაქალაქის მერიაში, ნახავდა უამრავ მსუბუქ ავტომანქანებს წარწერით – „დასუფთავების სამსახური“. ვინ სარგებლობდა ამ მანქანებით, ძნელი დასადგენი არ უნდა იყოს. იმის თქმა, რომ იმ თანხით სპეცტექნიკის შეძენა სჯობდა მსუბუქი ავტომანქანებისა, მაგრამ ნაცებს მოსახლეობა და ქვეყანა სულაც არ ადარდებდათ, ყველამ კარგად უწყის. მათი გულგრილობის შედეგად მივიღეთ ტალახიანი წვიმები.

თბილისის ახლად არჩეულ მერს დავით ნარმანიას ზოგიერთებმა დაცინვა დაუწყეს, როდესაც მან განაცხადა, დედაქალაქში მილიონ ხეს დავრგავთო. იცინოდა სწორედ ის ხალხი, რომლებმაც თბილისის მწვანე საფარი თითქმის გაანადგურეს. გავიხსენოთ იპოდრომი, „დინამოს“ ჩოგბურთის კორტები... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. ყოველივე ამას ისიც ემატებოდა, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო თბილისის მერიის საქმიანობაში ვერ ერეოდა. თუმცა რომც ჩარეულიყო, მედოლე-მომღერალი მინისტრი მაინც არაფერს მოიმოქმედებდა.

გაუქმებულმა ელექტროტრანსპორტმა ვერც საცობები განტვირთა და არც მგზავრთა პირობები გაუმჯობესებულა. პირიქით კი მოხდა, დაბალი ხარისხის საწვავი, რომელიც ტყვიის მაღალი შემცველობით გამოირჩევა, დედაქალაქის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე დამანგრეველად მოქმედებს. მოსახლეობის ჯანმრთელობაზე შეიძლება ჯერჯერობით მკვეთრად არ აისახება, მაგრამ თუ ქმედითი ზომები არ მიიღო დღევანდელმა ხელისუფლებამ,. შორს არ არის ის დრო, იფეთქოს სხვადასხვა დაავადებებმა.

„ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდში ხალხი მწარედ ხუმრობდა, ესენი, ალბათ, ჰაერის გადასახადსაც დაგვიწესებენო. ხუმრობა იქით იყოს და, თურმე დაუწესებიათ. მოსახლეობას ჯერაც ვერ გაგვიგია, როგორ ჰაერს ვსუნთქავთ თბილისში. თუ დღევანდელი ხელისუფლება სააკაშვილის მსგავსად ქართულ პრესას არ კითხულობს, ჩვენდა საუბედუროდ, კიდევ ბევრი ტალახის წვიმის მომსწრენი გავხდებით და ქალაქში კიდევ უფრო დაბინძურდება ჰაერი. გასაგებია, რომ ახლადარჩეულ საკრებულოს და მერს უამრავი პრობლემა დახვდათ უწყებაში, მაგრამ პირველი, რაც უნდა გააკეთონ, ვფიქრობთ, დედაქალაქის სასუფთავებაა.

გია ბურდული
551 71 27 07

დიდუბისა და სამგორის „ნაციონალმა“ გამგებლებმა ტერიტორიები საღორეებად აქციეს!

ვინ მიხედავს მათხოვრებს?

დიდუბისა და სამგორის „ნაციონალმა“ გამგებლებმა ლევან მხეიძემ და გიორგი ხახნელიძემ 2 წელია თავიანთი დაქვემდებარებული ტერიტორიები საღორეებად აქციეს!

გადით დიდუბეში რკინიგზის სადგურის წინა ტერიტორიაზე – მოედანზე. „სადგურის მოედნის“ წინ ტროროუარზე 10 ცალი 30 კვ.მ რკინის სიმახინჯეები ჩადგეს და ტერიტორია „სიმახინჯე კვადრატში“ აქციეს, ნახეთ, რა ხდება ყოფილი სასტუმრო „კოლხეთის“ ირგვლივ, „ბავშვთა სამყაროს“ ირგვლივ, „დინამოს“ სტადიონის ირგვლივ და თითქმის ყველგან.

სიბინძურე სუფევს ყველგან.

დიდუბის რაიონზე მეტად არანაკლებ გარევაჭრობის ცენტრად და დიდ ნაგვის ბუდედ იქცა სამგორის რაიონი. არა მგონია, სამგორის რაიონის გამგებელი ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდეს!

ნახეთ მეტრო-სადგური „სამგორის“ მთელი ტერიტორია ყველა მხრიდან

გარე ვაჭრობა – ჯიხურები ტროტუარზე, ნაგავი, სიბინძურე!

მთაწმინდის გამგებელმა მელიამ საქართველოს და თბილისის მთელი გამზირი გარევაჭრობის და სიბინძურის ერთგვარ ნიმუშად აქცია. თავისუფლების მოედანზე ფოტოატელიეს (თანამედროვე ფოტოატელიეს) წინ გაზეთების კიოსკთან

ტომრებით კიტრისა და პომიდვრის გასაღების ცენტრი გაიხსნა, მწვანილიც ხშირად იყიდება იქვე.

რუსთაველის გამზირზე ყოველი მეორე, მესამე შენობის წინ გარევაჭრობაა, ნაგავია...

კლასიკური გიმნაზიის სკვერი გამგებელ დავით ავალიანის დროიდან უპატრონოდ არის მიტოვებული და ყვავები დაეპატრონენ ნაგავს და რა იქნებოდა მელიას დროს, ხომ გასაგებია?

ყოფილი წიგნების მაღაზია „საუნჯედან“ „სტაჟიანი“ მათხოვრები და „რუსთაველის“ მეტრომდე 5-12 წლის გოგონები 2-3 წლის ბავშვებთან ერთად მათხოვრობენ. იქვე ყველაფერს ანაგვიანებენ, რომლებსაც არავინ არ აქცევს ყურადღებას, მათ შორის, იმ მარკეტების, ბანკების თუ კვების ობიექტების მფლობელები, სადაც ეს ყველაფერი ხდება.

ბევრ უცხოელს ეზარება უკვე რუსთაველზე თუ ყოფილ „პლეხანოვზე“, აღმაშენებელზე, ძველი თბილისის უბნებში გასეირნება.

არავინ არავის ყურადღებას არ აქცევს, არავინ არავითარ ღონისძიებას არ ატარებს, არავინ, არავის არ საყვედურობს, ან არ აგებს, არ არ სჯის...

რას აკეთებს მერიის ზედამხედველობის სამსახური?

საფინანსო სამსახური?

კეთილმოწყობის სამსახური?

გამგეობები?

მერია?

მიხეილ მუმლაძე
არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩვენი საქართველოს“ ლიდერი

P.S. „მათხოვრების“ სიმრავლე უკვირთ უცხოელ ტურისტებსაც.

ერთმა ტურისტმა მითხრა, ბელორუსიაშიც ითხოვენ ქუჩაში მოწყალებას, მაგრამ ასე ყოველ ნაბიჯზე ტროტუარებზე ჩამომსხდარნი არ არიან.

ვიცოდი, საქართველოში გაჭირვება იყო, მაგრამ ასეთ რამეს არ ველოდი, მერია, გამგეობა არავითარ ღონისძიებას არ ატარებს?

მე ვუპასუხე, „უგულავას“ მერია და მელიას გამგეობას ეგ საკითხები არ აინტერესებს და იმიტომ მოიშორა ქართველმა ხალხმა-მეთქი.

სხვათა შორის, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარესთან ირაკლი შიხიაშვილთან ზუსტად 1 წლის ეინ ვიყავი სპეციალურად მიღებაზე, სადაც განცხადებაში მეწერა ქალაქ თბილისის ყველაზე მთავარი აქტუალური პრობლემის შესახებ.

ირაკლი შიხიაშვილმა ზოგადად რომ გადახედა ჩემს საკითხებს, მითხრა, აქ ყველაფერი გასაკეთებელია, მოდი, მათხოვრების პრობლემებით დავიწყოთ, მომიმზადე ეს საკითხი, მისი გადაჭრის გზები და თბილისში და საქართველოში ეს საკითხი გადავჭრათ, შემდეგ სხვა საკითხებიო.

მე მართლაც მოვამზადე ეს საკითხი, მისმა თანაშემწეებმა იცოდნენ ჩემს შესახებ, მაგრამ ერთი წლის მანძილზე ირაკლი შიხიაშვილმა (ისე იყო დაკავებული) ჩემი მეორედ მიღება ვეღარ მოახერხა და მათხოვრების საკითხის მოგვარება ამიტომ გადაიწია.

მ. მ.

1. შეჯიბრი ციგურებით სირბილში
2. საქონლის გასარეკი წყებალი ძე. რომში
3. ატმის ჯიში
4. პოეტი . . . მაშაყრიანი
5. წყნარი, შშეიდი, თვინიერი
6. კობტა, ლამაზი, შნოიანი
7. ხმლის არამჭრელი მხარე
8. მაგარი ლითონი
9. იგივეა, რაც წანწალი
10. სულხან საბა . . .
11. კორეული ტექნიკა
12. მალეევიჩის ნახატი „შავი . . .“
13. ფეერადი შეეშხეფების გამვები
14. ზეთი, ქონი, კარაქი
15. ალენ დელონი – „თავგადასავლების მაძიებელნი“
16. მეგდლის თანამეშეე
17. სამკურნალო დაწესებულება
18. ბორცის ამონაზარდი სხეულზე
19. ერაყის, მატერის მატყლი
20. სამოთხის ბაღი
21. სამოდელო სააგენტო თბილისში
22. მკირე ხმა, ჩქამი
23. ნარკოტიკული ნივთიერება
24. ძვირფასი ლითონი
25. რობერტ სტეერეს მეტსახელი
26. მეცნიერთა კამთი
27. წაღებულელი
28. „ბარსელონას“ ფეხბურთელი ალია . . .
29. კოვბოების შეჯიბრი
30. ჩიტის ძველი შესატყვისი
31. ხელით სატარებელი ტახტი
32. ტალღების რიტმული მოძრაობა
33. რეჟი მომღერალი ქალი
34. ჰოლანდია
35. ქიშპობა
36. ფეხბურთი ამერიკაში
37. ეშნოდ მაღალი, ახმახი
38. პერის ნათესი
39. ინდოელი ქალის კაბა
40. სამხ. აფრიკის აღმ. ცენტრი
41. რომაელი იმპერატორის ტიტული
42. ჯაჭვის პერანგით შეიმოსილი კავალერისტი
43. ეკსპერტიზაზე მოწვეული სპეციალისტი
44. მსახიობი ულ . . .
45. საამქრო
46. ამ 6/კუნძულზეა იტალია
47. . . . ბელეჩი
48. მომღერალთა გუნდი
49. სასახლის მცველი მეომარი
50. ლუდხანა ინგლისში
51. მეურთნელი
52. სალამანდრას სახეობა
53. ურალის იქითა მხარე რუსეთში
54. მწკლარტე ნაყოფიანი მთის მცენარე
55. პეროს ზღაპრის პერსონაჟი
56. მომღერალი . . . კლეპტონი
57. პიჭაკის ბორტის გადანაკეცი
58. ქალთან მოკეკვეკვე მამაკაცი
59. ლითონის ნიშანი ფორმის ტუჯზე
60. რბილი ტყავი
61. ფრანგი მსახიობი . . . ემე
62. შტატი ამერიკაში
63. ბალახის მოსათიბი იარაღი
64. ვინც მარცხენა ხელს ხმაროობს
65. გერმანელი მეკარე ოლივერ ...
66. მსახიობი რასელ . . .
67. ერთად შეკრილი ხალხი
68. ამაზონის მტაცებელი თევზი

თავსატეხი

ზ	ო	რ	გ	ე	■	■	■		■	პ	ო	რ	შ	ე
	■	■	■			ს			■		■	■	■	
					■	ი	■		■					
	■		■		■	დ					■		■	
					■	რ	■		■					
■	■		■	■	■	ი	■	■	■	■	■		■	■
ქ					■	■	■	■	■	კ	ი	ა	ნ	ო
ე	■	■	■		■	ჰ					■	■	■	
რ	■				■	ე	■		■					
ქ	■		■		■	ლ					■	■	■	
ი					■	ი	■		■					
■	■		■	■		ო				■	■		■	■
გ	რ	ა	ფ	ა	■	■		■	■					
	■	■	■								■		■	
					■	■		■	■	ჭ	ვ	ა	ლ	ა
	■	■	■								■	■	■	
					■	■	■	■	■					

ვერტიკალურად: აყალო, ბაჭია, გოშია, ელიტა, ეფენი, ვიერი, ზუმბა, იამბი, ისაკა, კიფერ, ნანტი, ოფისი, პითია, ტიბრი, ჩალმა, ცვარი, წყრთა, ხველა.

თარაზულად: აკელა, ანდრო, აქცია, ახალი, ბელტი, დერბი, თოხლი, იურთი, ლინკე, მაცნე, ფესტი, ფანტი, რეჩხი, ქვინი, ღიობი, ყალბი, შოშია, წუმპე, ჯოტია, ჰინდი.

სავიდან ერთი

■	1	■	2	■	3		4		5		6	
7						■		■		■		■
■		■		■	8							
9						■		■		■		■
■		■		■	10			11		12		■
13		14		15		■	■		■		■	16
	■		■		■	17						
18						■			■		■	
	■		■		■	19						
20						■	■		■		■	
	■		■		■	21						

ვერტიკალურად: 1. კოლოფი, კედარი, კარეტა. 2. სილაღე, სეტერი, სულელი. 3. ჩოკინა, ბულონი, ხარაჩო. 4. ქუსლი, ხინჯი, ტოლმა. 5. სარმა, რიეზი, კორტი. 6. მუხლი, პოსტი, შარფი. 11. სტაპელი, რეკლამა, კრონოსი. 12. ტყემალი, პროტონი, პლანერი. 13. ზედაშე, კაზუსი, პიპეტი. 14. სურამი, ტუტუცი, მონეტა. 15. ტარიფი, რიტორი, ფუფალა. 16. ნოქარი, მესერი, ნიკალა.

თარაზულად: 3. მინარეთი, ჩიხარეში, ჭალადიდი. 7. ვასიკო, სოფელი, დონარა. 8. ფელეტონი, კანავარო, სოლოლაკი. 9. მერანი, ყადაღა, ჯოყოლა. 10. ბარნოვი, ნაირიტი, კოსმოსი. 13. ჭედილა, ფოლადი, კამერა. 17. სეკრეტი, სარქალი, პასტელი. 18. ზაზუნა, ზენიტი, ზუმერი. 19. ტრეზეგე, კრაზანა, კარცერი. 20. სიტარა, სულელი, სალარო. 21. კრამერი, პლენერი, პლატინა.

ეიფრეორდი

■	18	■	10	■	11	5	16	5	30	7	5
27	7	1	5	3	21	■	28	■	21	■	24
■	8	■	11	■	12	5	14	12	7	1	5
33	28	4	5	13	5	■	2	■	12	■	9
■	30	■	29	■	2	28	7	9	28	30	7
22	7	8	28	4	7	■	4	■	30	■	■
16	■	6	■	21	■	20	7	20	7	9	7
9	7	25	5	30	5	■	■	5	■	■	26
28	■	28	■	13	■	31	5	17	28	30	7
19	5	30	19	7	■	7	■	6	■	■	13
7	■	7	■	■	■	6	■	30	5	32	5
■	23	■	3	15	5	9	10	5	■	15	■
33	28	19	5	■	■	13	■	■	■	5	■
■	4	■	4	■	2	5	30	13	5	4	7
2	28	30	7	5	■	7	■	■	■	5	■

ა-5
ბ-
გ-
დ-
ე-28
ვ-
ზ-
თ-
ი-7
კ-
ლ-
მ-
ნ-
ო-21
პ-
ჟ-
რ-30
ს-
ტ-
უ-6
ფ-
ქ-
ღ-
ყ-
შ-18
ჩ-
ც-
ძ-
წ-
ჭ-
ხ-
ჯ-24
ჰ-

გამოვიდა ჟურნალ „რიწის“ ახალი ნომერი, რომელსაც მისი რედაქტორის ზაურ კალანდიას წინასიტყვაობა უძღვის:

„თქვენს წინაშეა ჟურნალ „რიწის“ ახალი, განახლებული ნომერი.

ყველას გვახსოვს, სეპარატიზმის უპირველესი სამიზნე რა იყო; ქართული უნივერსიტეტი, კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო თეატრი და აფხაზეთში ქართველ მწერალთა უძლიერესი ფრთა ანუ უფრო მარტივად რომ ვთქვათ – ქართული სიტყვა!..

ორ საუკუნეზე მეტია, ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას ვირუსივით შემოჩენილი, ვითომ უხილავი მტერი გულ-ღვიძლს უკორტნის, ბაგრატის მთაზე, თამარის ხიდზე, სოფელ ბედიაში თუ ილორის წმინდა გიორგის ტაძარში ფრესკასა და წარწერებს შლის, ქართველთათვის ყველაზე დიდი განძი კი, მოგეხსენებათ, ენა და ანბანია...

ქართველად დაბადება ღვთის წყალობაა ქართველთათვის, თუმცა, ეტყობა, დიდი ტანჯვაც ახლავს თან ამ ბედნიერებას.

ვერ დათმო საქართველომ მშობლიური ენა და ლტოლვად იქცა საკუთარ სამშობლოში.

გოლგოთის გზა იწვნია სამასი ათასმა ქართველმა.

ჟურნალმა „რიწამ“, როგორც ქართული სიტყვის ბაირახტარმა აფხაზეთში საკუთარი ხალხის ბედი გაიზიარა...

გმირობა სხვა არაფერია, თუ არა თავგანწირვა...

მსგავსი თავგანწირვა დღესაც გრძელდება...

„სულ ახლახან გავიგე, რომ ყოველთვე, იმ დღეს, როცა ჩვენი ჟურნალი გამოდის, თუდმე ადამიანთა ერთი ჯგუფი საგანგებოდ ნავით გადმოცურავს მდინარე ურუგვაის მის წასაკითხად; ალბათ, ოცნი იქნებიან, მათი წინამძღოლი სამოცი წლის პროფესორი ყოფილა, რომელიც კარგა ხანს საპატიმროში ჰყოლიათ გამოკეტილი. დილაადრიან გამოდიან აისანდუდან და არგენტინის ნაპირზე გადმოსხდებიან, იყიდიან ხოლმე ჩვენი ჟურნალის „კრიზისის“ ერთ ეგზემპლარს, მერე შედიან კაფეში, ერთი რომელიმე ხმამაღლა კითხულობს, დანარჩენები უსმენენ, როცა კითხვა დამთავრდება, იწყებენ მსჯელობას. ასე გადის მთელი დღე. საღამოხანს, კითხვასა და სჯა-ბაასს რომ მორჩებიან, ჟურნალს კაფეს პატრონს საჩუქრად დაუტოვებენ და შინ ბრუნდებიან, ჩვენს სამშობლოში, სადაც ჟურნალი აკრძალულია.



„თუნდაც მარტო ამისთვის ღირს ამ ჟურნალის გამოქვეყნება“, – ვფიქრობ გულში“.

ეს ვრცელი ამონარიდი ურუგვაელი მწერლის, ჟურნალისტის და გამომცემლის ედუარდო გალეანოს საოცარი წიგნიდანაა (ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, მთარგმნელი მერი ტიტვინიძე, 2014 წელი).

გამოვა „რიწა“ და... მოგვაწყდება მკითხველი, აქაფებულ ენგურს გადმოლახავს აფხაზეთის ქართველობა, წაიკითხავენ ჟურნალს და უკან გაბრუნდებიან სამშობლოში ურუგვაელი პატრიოტებივით-მეთქი, ვერ შეგპირდებით, თუმცა ოცნებას კაცი არ მოუკლავს... მით უმეტეს, არც მე ვარ ედუარდო გალეანო, ჩე გევარას, სალვადორე ალიენდესა და ხულიო კორტასარის თანამებრძოლი და მეგობარი... ერთს კი ვიტყვი, ჩვენ ის გვწყინს და გვტკივა, რაც დაიკარგა, ბევრს ჰგონია, ჩვენდაწილად (გალელების, ოჩამჩირელების, სოხუმელების, გაგრელების...) დაიკარგა... ამის შეხსენებაც გვინდა თითოეული ქართველისთვის!

კიდევ: აფხაზეთის მიწა, როგორც ჩვენი, ისე იქ ჩარჩენილი გაუბედურებული ქართველების ოფლითა და სისხლით დღესაც ირწყვება!

ლტოლვილთა ყოველი დღე, ყოველი მზის ჩასვლა-ამოსვლა ლოცვა, სინანული, გოდება და სიყვარულია მშობლიურ მიწა-წყალზე!

„რიწას“ „კრიზისივით“ მხოლოდ სამშობლოსავით უცემს გული!...

„რიწასაც“ სულიერივით, როგორც იქ, მამულში, ისე აქ – სამშობლოში, ლტოლვილობაში თავისი აღმართ-დაღმართები ჰქონდა და აქვს.

ეს უფრო ისტორიული „ქართლის ჭირია“, რომელიც, სამწუხაროდ, თავს იჩენს ხოლმე ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში.

ამ მავნე ჩვევისგან დღესაც არა ვართ თავისუფალი!

მიუხედავად ამისა, ღვთის წყალობით, დღეისთვის „აღმართები“ გვიჩანს...

ასე იქნება მომავალშიც...

თუმცა ჯერ კიდევ შორია „ოდაბადემდე“!

ქართველი კაცი ბუნებით ოპტიმისტია. ის, შეიძლება, ზედმეტად მიმნდობია, იოლად ტყუვდება, მაგრამ არ ნებდება, არ ურიგდება გასაჭირს... რაც მთავარია, უფლის სწამს, ამ იდეით ვართ ჩვენც – მანახლებული რიწელები – ერთიანი საქართველოს საკეთილდღეოდ!“

„რიწელების“ სახელით ზაურ კალანდია
26.05.2014 წელი

`saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი
მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

– უარს ვამბობ სამკვიდროდან ჩემი წილის მიღების შესახებ ძმის სასარგებლოდ. რა ფორმით, რა ვადაში უნდა გავაკეთო ეს?

– თქვენ უფლება გაქვთ, უარი თქვათ სამკვიდროს მიღებაზე როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. უარის თქმისთვის, კანონმდებლობით დადგენილია სამთვიანი ვადა, რომელიც აითვლება იმ დღიდან, როცა თქვენ შეიტყვეთ ან უნდა შეგეტყოთ, რომ მიწვეული ხართ სამკვიდროს მისაღებად. საპატიო მიზეზის შემთხვევაში, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ არაუმეტეს ორი თვისა, თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივად შეუდექით სამკვიდროს ფლობას – ამ დროს, ეს ვადა შეადგენს 6 თვეს.

* * *

– შრომითი კანონმდებლობის მიხედვით, როგორია სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი?

– სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად მთლიანად წარმოგიდგენთ საქართველოს შრომის კოდექსის მე–4 მუხლის შინაარსს.

მუხლი 4. სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი და შრომითი ქმედუნარიანობის წარმოშობა

1. ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან.

2. 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა ძალაში რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართაც.

* * *

– ხდება თუ არა სასჯელის გადავადება ფეხმძიმე ქალებისათვის?

დიახ, ხდება. სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამას ითვალისწინებს.

მუხლი 75. სასჯელის მოხდის გადავადება ორსული ქალისათვის

1. სასამართლოს შეუძლია გადაუვადოს სასჯელის მოხდა ორსულ ქალს, მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე.

2. თუ მსჯავრდებული უარს იტყვის შვილზე ან თავს აარიდებს შვილის აღზრდას მას შემდეგ, რაც იგი გააფრთხილა პრობაციის ბიურომ, სასამართლოს შეუძლია ამ ორგანოს წარდგინებით გააუქმოს სასჯელის მოხდის გადავადება და მსჯავრდებული სასჯელის მოსახდელად გაგზავნოს განაჩენით დანიშნულ ადგილას.

3. როდესაც შვილი 1 წლის ასაკს მიაღწევს, სასამართლო გაათავისუფლებს მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოხდისაგან ან სასჯელის მოუხდელ ნაწილს შეუცვლის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით ანდა მიიღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოსახდელად შესაბამის დაწესებულებაში დაბრუნების შესახებ.

4. თუ მსჯავრდებული სასჯელის მოხდის გადავადების პერიოდში ახალ დანაშაულს ჩაიდენს, სასამართლო მას დაუნიშნავს სასჯელს ამ კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

* * *

– ჩემი ქალიშვილი განქორწინებულია მეუღლესთან. მათ ჰყავთ ერთი მცირეწლოვანი შვილი. განქორწინების დროს ჩემს ქალიშვილს არ მოუთხოვია ალიმენტის საკითხის განხილვა. შეგვიძლია თუ არა, ახლა მოვითხოვოთ ალიმენტის გადახდა ბავშვის სასარგებლოდ?

–შეგიძლიათ. ალიმენტის მოთხოვნა ყოველთვის შეიძლება ბავშვის სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე.

* * *

—ჩემი ახლობელი სასამართლო წესით გარდაცვლილად გამოცხადდა. მისი მეუღლე გათხოვდა. რამდენიმე წლის წინ ქმარი დაბრუნდა. რა ბედი ელის ქალის ქორწინებას?

–თუკი განქორწინების შემდეგ, სასამართლოს მიერ გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო–უკვლოდ დაკარგულად აღიარებული მეუღლე გამოჩნდება,მაშინ გაუქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება გარდაცვლილად გამოცხადების ან უგზო–უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ. ქორწინება შეიძლება აღდგეს მეუღლეთა ერთობლივი განცხადების შეტანით სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში, ხოლო თუ ისინი სასამართლოს გზით იყვნენ განქორწინებულნი – სასამართლოში. ქორწინების აღდგენა დაუშვებელია, თუკი გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის მეუღლე უკვე დაქორწინებულია სხვა პირზე.

სახალხო მკურნალი (მცენარეული კანაცვა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი.

სახალხო მკურალ ირმა სიხარულიძესთან. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, აღმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან განიკურნა ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ მძლეოსნობაში. ახალგაზრდობაში რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. ირმა სიხარულიძესთან 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვაღიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 557 358 900, 34 21 63

doqtori keisi saqarTvelozec winaswarmetyvelebda

სურვილი იმისა, რომ გავიგოთ, რა მოგველის მომავალში, ადამიანთა ბუნების მთავარი თვისებაა. ამიტომ ითვლება წინასწარმეტყველთა სიტყვები ასე მნიშვნელოვნად ყველასთვის. მაგრამ თუკი ნოსტრადამუსის და ვანგას წინასწარმეტყველებები ყველასთვის ცნობილია, შედარებით ნაკლებად ცნობილია ედგარ კეისის წინასწარმეტყველებანი, რომელიც, შეიძლება ითქვას, არ ჩამოუვარდება ნოსტრადამუსსა და ვანგას თავისი ზუსტი პროგნოზებით.

ახლა არ მოვყვებით კეისის ძველ წინასწარმეტყველებებზე და იმ მოვლენებზე, რომლებიც ზუსტად აღწერა მან ჩვენს წელთაღრიცხვამდე მომხდარ შემთხვევებთან დაკავშირებით.

2001 წელი ჩვენი წელთაღრიცხვით – დედამიწის მაგნიტური პოლუსის გადახრა, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული იესო ქრისტეს მეორედ მოსვლასთან.

ამას გარდა, კეისს აქვს ჩატარებული დაუჯერებელი არაორდინარული კვლევები, რომლის თანახმადაც, დარვინის მთელი თეორია თავდაყირა დგება. დარვინის აზრით, ჰუმანოიდები დედამიწაზე დაახლოებით 10 მილიონი წლის წინათ გაჩნდნენ.

კეისი კი აღნიშნავს, რომ სულიერი არსებები 200 000 წლის წინათ გამოჩნდნენ დედამიწაზე. ხოლო ადამიანის დნმ ევამდეც არსებობდა იმ არსების ორგანიზმში, რომელიც 200 000 წლის წინათ ცხოვრობდა. რიჩარდ ჰაიგლენდი და სხვა მეცნიერები აღწერენ სიცოცხლეს მარსზე, რომელიც სწორედ 200 000 წლის წინათ შეწყდა.

როგორც ჩანს, მარსს ასტეროიდი დაეჯახა, რამაც მისი განადგურება და შემდეგ ტრანსფორმირება მოახდინა. არსებობს მოსაზრებები, რომ თავის დროზე მარსზე ოკეანეებიც იყო, ცისფერი ცა დაჰყურებდა მარსს, ღრუბლებითა და ჟუჟუნა წვიმით ინამებოდა მარსის მიწა. ასტროფიზიკოსი ტომას ვანფლენდერი, ირწმუნება, რომ კოლოსალურმა აფეთქებამ, რაც ასტეროიდის დაცემამ გამოიწვია, დაღუპა მარსი. სხვა შეხედულება აქვთ გრემ ჰენკოკსა და რობერტ ბიუზელს მარსის საიდუმლოსთან დაკავშირებით.

კეისის განმარტებით, თანამედროვე ადამიანი შეიქმნა სულიერი და ენერგეტიკული ფორმებისაგან. სიცოცხლის ასეთი ფორმა მის ნაშრომებში აღწერილია, როგორც გონებრივი ფორმები, რომლებსაც მატერია გამოსტყორცნის, როგორც ამებას. ასეთი ორგანიზმების არსებობას კეისი ჰომინიდების პლანეტაზეც ვარაუდობდა.

ედგარ კეისი, რომელიც 1945 წელს გარდაიცვალა, ერთ-ერთი ყველაზე უცნაური წინასწარმეტყველი გახლდათ. მართალია, ვანგა ბრმა იყო და ისე წინასწარმეტყველებდა, მაგრამ კეისი თვალებს ხუჭავდა, იძინებდა და შემდეგ მოვლენებს ნატურალურად აღწერდა, ამიტომაც უწოდეს მას „მძინარე წინასწარმეტყველი“. თანაც, გამოღვიძებული კეისი აღნიშნავდა, რომ არაფერი ახსოვდა იმის შესახებ, რასაც ძილის დროს ლაპარაკობდა. მის სიტყვებს სტენოგრაფისტი იწერდა. „ადრეულ ასაკში“ კეისი ადამიანებს მკურნალობდა. მიუხედავად იმისა, რომ მას არ ჰქონდა სამედიცინო განათლება, ზუსტ დიაგნოზებს სვამდა და მკურნალობის კურსსაც ნიშნავდა. **კეისიმ იწინასწარმეტყველა ორივე მსოფლიო ომი. პირდაპირ დაასახელა ამ ომების დაწყებისა და დამთავრების თარიღები.** წინასწარ განსაზღვრა 1929 წლის ეკონომიკური კრიზისი. პირველმა მან გაახმოვანა, რომ მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმი დამარცხდებოდა და სსრკ გაიმარჯვებდა.

„მე-20 საუკუნე დამთავრებული არ იქნება, დადგება კომუნიზმის კრახი, კომუნისტები ძალაუფლებას დაკარგავენ“, – აღნიშნავდა გარდაცვალებიდან ცოტა ხნით ადრე ედგარ კეისი. მანვე იწინასწარმეტყველა, რომ კომუნიზმისგან გათავისუფლებულ რუსეთს დიდი კრიზისი ელოდა, მაგრამ ღირსეულად გამოვიდოდა ამ კრიზისიდან. კეისი წინასწარმეტყველებდა, რომ რუსეთიდან წამოვიდოდა გადარჩენის იმედი მსოფლიოსთვის, არა ბოლშევიკური რუსეთიდან, არა კომუნისტური, არამედ თავისუფალი რუსეთიდან.

იგი ამბობდა, რომ 2010 წლიდან რუსეთი გაერთიანებას დაიწყებდა, ამის განხორციელებაში კი მთავარ როლს ბელორუსია, ყირგიზეთი და უკრაინა შეასრულებენ. შემდეგ სომხეთი და ყაზახსტანი მიემატებიანო. სხვათა შორის, რაოდენ გასაკვირიც **არ უნდა იყოს, ამ წინასწარმეტყველებაში საქართველოცაა ნახსენები, როგორც დამოუკიდებლობის მოტრფიალე ქვეყანა, რომელიც თვითონვე გადადგამს შემხვედრ ნაბიჯს რუსეთისკენ.** არ ვიცი, რამდენად სარწმუნოა კეისის ეს წინასწარმეტყველება, მაგრამ ასე კი არის აღწერილი.

უნდა აღინიშნოს, რომ კეისი ჩინეთზეც წინასწარმეტყველებს. ერთხელაც იქნება ჩინეთი ქრისტიანობის აკვანი გახდებაო. „დღესდღეობით ჩინეთი გამოფხიზლების ფაზაშია“, - წერდა ამერიკელი წინასწარმეტყველი.

გლობალურ დათბობებზე კეისი ჯერ კიდევ 1930 წელს ლაპარაკობდა.

ნიუ-იორკი, კონეკტიკუტი და სხვა რაიონები აღმოსავლეთ სანაპიროზე ისე განადგურდება, რომ პირწმინდად აღიგვება პირისაგან მიწისა, გაიღვიძებს ვულკანი ჰავაიზე და სამი თვის განმავლობაში კალიფორნია ზღვის ფსკერზე აღმოჩნდება. გრენლანდიაზე ახალი წყლები წარმოიქმნება, გაჩნდება ახალი მიწები კარიბის ზღვაში.

კეისის პროგნოზის თანახმად, კლიმატური და სეისმოლოგიური კატაკლიზმები მთელ პლანეტას მოიცავს, რის გამოც შეიცვლება იგი. კეისის ყველა წინასწარმეტყველება ტრაგიკულად მთავრდება, მხოლოდ ერთია, სადაც იმედია გამოთქმული. ამერიკელი წინასწარმეტყველი აღნიშნავს, რომ რუსეთი გახდება სამყაროს გადამრჩენელი, განსაკუთრებით აღმავლობა დაიწყება აღმოსავლეთ ციმბირიდან. ამ შემთხვევაში კეისის წინასწარმეტყველება ვანგას სიტყვებს ჰგავს, 1979 წელს ვანგა ამბობდა, რუსეთი ჩაიბარებს პლანეტის ბედ-იღბალსო.

იაპონიის დიდი ნაწილი წყალქვეშ დაინთქმება და ბევრი ქალაქი და დასახლებული ადგილი მსოფლიოში ასევე ოკეანისა და ზღვის ფსკერზე აღმოჩნდებიან, შეიქმნება ახალი წესრიგი, სადაც ადამიანები ადამიანებით ვაჭრობას დაიწყებენ. ანტარქტიდაზე მიწას აღმოაჩენენ. მანვე იწინასწარმეტყველა მიწისძვრები, რომლის შედეგად დაღუპული ადამიანების რიცხვი ზუსტად ჰქონდა დასახელებული. განსაკუთრებული ხაზგასმით ამერიკელი წინასწარმეტყველი ნიუ-იორკის დაცემაზე მიანიშნებდა. ჯერ ის დაინგრევა, მერე მოჰყვება სხვა დიდი ქალაქებიცო, წერდა.

კეისის 14256 ჩანაწერში მოცემული წინასწარმეტყველებებიდან ზოგი ახდა, დანარჩენი წლების განმავლობაში ხორციელდება. თუმცა დოქტორ კეისი ჩვენს გვერდით აღარ არის, მაგრამ ის ისევ დაბრუნდება, როგორც მითითებული აქვს თავის ერთ-ერთ ჩანაწერში. „მე აღვდგები ისე, როგორც მსოფლიოს განმათავისუფლებელი“, - ამბობს იგი.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ედგარ კეისი მაიას ტომებზეც წერს. იგი მიუთითებს, 2004 წელს დედამიწას მოევლინება მეხუთე ფუძისეული მზის რასის წარმომადგენლები.

ეს ინფორმაცია პირველად დოქტორ გრეგორი ლიტლის ინტერვიუშიც გაჟღერდა, რომელიც მან მიჩ ბეტროსს მისცა თავის სატელევიზიო გადაცემაში. მიჩი მიუთითებდა, რომ დოქტორი ლიტლი კეისის წინასწარმეტყველებებზე ლაპარაკობდა, რაც ინდიელების წინასწარმეტყველებებს შეესაბამებოდა: 21-ე საუკუნის დასაწყისში ახალ, მეხუთე სამყაროში გადავალთო.

ინტერვიუში დოქტორი ლიტლი თანხმობის სამ დარბაზზეც საუბრობდა. მისი სიტყვებით, ერთ-ერთი მათგანი გიზში სფინქსის მარჯვენა თათის ქვეშაა. მეორე პასადენშია, ბაჰამის კუნძულებზე, მესამე კი პიედრას ნეგრასში, გვატემალაში. ქალაქ პიედრას ნეგრასში ინდიელთა რამდენიმე პირამიდა და სასახლეა – ეს არის ხანდაზმული თანამედროვე მაიას ტომის კარლოს ბარიოსის სამშობლო.

გრეგორი ლიტლი მიუთითებს, რომ მეხუთე რასის შვილები ფლობენ ახლანდელზე მეტად განვითარებულ ტვინსა და გონებას, გაცილებით მეტ სასიცოცხლო ენერგიას, მათ ორგანიზმში უფრო მეტი ფოსფორია, ვიდრე რომელიმე ცოცხალ ორგანიზმში დღეს.

დოქტორი ლიტლი, რომელიც კეისის წინასწარმეტყველებების მკვლევარია, აღნიშნავს, რომ ფოსფორი ბერძნული სიტყვაა და პირდაპირი თარგმანით „ნათლისმატარებელს“, „კაშკაშას“ ნიშნავს.

მოამზადა ანა ვადაჭკორიამ

ქოზიფას მამათა მონასტრის
განვითარების ფონდი

დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან
0 901 500 540
თიბისი ბანკი
ა/ნ GE88TB1117236080100001

ასტროლოგიური პროგნოზი

ვერძი – აქტიური და ენერგიული გახდებით, ოპტიმისტური განწყობა დაგეუფლებათ.

კურო – ეს პერიოდი ეკონომიკურ სტაბილურობას მოგიტანთ. თამამად შეგიძლიათ, ხარჯოთ ფული. ფინნსური ოპერაციები ამჯერად ძალზე სარფიანად წარიმართება.

ტყუპები – შექმნილი ვითარება ხელს შეუწყობს თქვენი პიროვნული თვისებების და შემოქმედებითი მონაცემების გამოვლენას. გაგიჩნდებათ სურვილი, სიამოვნება მიანიჭოთ ყველას.

პირჩხიბი – ძალაუფლების და წინსვლის სურვილი თანამშრომლებთან სიტუაციის დაძაბვას გამოიწვევს.

ლომი – ხელსაყრელი დროა განათლების დონის ასამაღლებლად. ენთუზიაზმი დაგეხმარებათ სამსახურებრივი პრობლემების მოგვარებასა და საქმიან პარტნიორებთან ხელშეკრულებების დადებაში.

ქალწული – აქტიური და ინტენსიური ურთიერთობები პარტნიორებთან შესამჩნევ პიროვნებებად გაქცევთ. გაგიჩნდებათ სურვილი, იპოვოთ საკუთარი ადგილი საზოგადოებაში, თუმცა თქვენი წინსვლა დამოკიდებული იქნება იმაზე, რამდენად შეძლებთ მოწინააღმდეგეთა დამარცხებას.

სასწორი – თუ გსურთ, შეინარჩუნოთ ეკონომიკური სტაბილურობა, საჭიროა რამე პრინციპულად განსხვავებულს მოჰკიდოთ ხელი.

მორიელი – ოჯახის წევრებსა და თანამშრომლებზე ზრუნვა მნიშვნელოვანი საქმეების კეთებისგან მოგაცდენთ. შექმნილი ვითარება ხშირად გიბიძგებთ ნაჩქარევი გადაწვეტილებების მიღებისა და წინდაუხედავი ნაბიჯების გადადგმისკენ.

მშვილდოსანი – თქვენს ყურადღებას მთლანად ოჯახური საქმეები მიიპყრობს. არამდგრადი კონომკური მდგომარეობიდან გამოსავალს იპოვით იმ შემთხვევაში, თუ უცხოელ პარტნიორებთან შეძლებთ კავშირის დამყარებას.

თხის რქა – თქვენი ყურადღება ძველ საქმეებზე იქნება მიპყრობილი. ნუ აიღებთ საკუთარ თავზე ზედმეტ პასუხისმგებლობას.

მერწყული – დროა, ოჯახური კავშირების განმტკიცებას ან პარტნიორის ძიებას შეუდგეთ. ეს პერიოდი არაჩვეულებრივია სასიყვარულო ურთიერთობებისთვის, თუმცა შეეცადეთ, პარტნიორის თავისუფლება არ შეზღუდოთ.

თევზები – თქვენი სწრაფვა განახლებისკენ კონკრეტულ სახეს შეიძენს. მოგეცემათ შანსი, შეიცვალოთ ბინა, პროფესია ან სამუშაო ადგილი.

ISSN 2233-3983